დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 13 - 19 იანვარი

N3 1574

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მტერი

4

MEGOBARI Act



# ვამხილოთ ფარული დასი!

# ვამხილოთ DEEP STATE!

2-3

# აქტი



ან ქართული სახელმწიფო გაანადგურებს ფარულ დასს, ან ფარული დასი გაანადგურებს ქართულ სახელმწიფოს!

6

ამერიკელი ხალხი კოლექტიური ჯოჯოსგან, ანუ

5



## ჯოჯო: ჯო უილსონი და ჯო ბაიდენი

ჯო ბაიდენისა და ჯო უილსონისაგან უნდა გათავისუფლდეს!

## გონდო ქურდაძე:

ბიძინა ივანიშვილი გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ გახდება მეორე ისტორიული პირი, ვინც შეძლებს ქვეყნის უსისხლოდ გაერთიანებას!

8-9



7

„ბატონო ბიძინა, ის, რაც ამერიკამ დაგიწესათ, სანქცია კი არა, ჯილდოა!“

## თბილისში დაკავებული კანონიერი ქურდის გელა ჯოჯუას ძმა ბიძინა ივანიშვილს მიმართავს!





## გოჩა ჯოჯუა:

მინდა, ბიძინა ივანიშვილმა იცოდეს, რომ ჩემი ძმა გელა ჯოჯუა არც პირადად მისი, არც საქართველოს სახელმწიფოს და, მითუფრო, არც ქართველი ხალხის მტერი არასოდეს ყოფილა!

10

# ვამხილოთ DEEP STATE!

# ვამხილოთ ფარული დასი!

ბოლო ხანებში ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში უაღრესად პოპულარული გახდა არაფორმალური, ასე ვთქვათ, ფარული მმართველობის აღმნიშვნელი ტერმინი Deep State **(დიფ სთეითი)**, რომელსაც **სიღრმისეულ სახელმწიფოდ** ან **ჩრდილოვან სახელმწიფოდ** თარგმნიან (**deep** — ღრმა, **state** — სახელმწიფო), მსგავსად რუსული გაუგებარი კომპოზიტისა **дип стейт — глубинное государство** და უკრაინული ტერმინისა **Глибинна держава**. ტერმინს აქვს თურქული ძირებიც derin devlet, რაც ისევ და ისევ **ჩრდილოვან სახელმწიფოზე,** ანუ **დიფ სთეითზე** მიანიშნებს. სხვათაშორის, **დონალდ ტრამპი** პირველი საპრეზიდენტო მმართველობის პერიოდში ყოფილი თუ მოქმედი საჯარო მოხელეების მიმართ, რომლებსაც საბოტაჟში სდებდა ბრალს, **დიფ სთეითის** წევრებადაც მოიხსენიებდა. მის მიერვე გამოიცა განკარგულება არასასურველი საჯარო მოხელეების გათავისუფლებისა და სასურველი კადრების დანიშვნის შესახებ, რომელიც **ბაიდენმა** გააუქმა. ბიუროკრატიის მიმართ არსებული გულისწყრომის საფუძველზე 2023 წელს **ტრამპმა** წარმოადგინა 10-პუნქტიანი გეგმა **„დიფ სთეითის"** დასაშლელად და ძალაუფლების ხალხისათვის დასაბრუნებლად, რაც **ბაიდენის** მიერ გაუქმებული მისი განკარგულების აღდგენას ითვალისწინებდა. გამოდის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ გლობალური ომის პარტია** ჩაანაცვლა ტრამპისათვის უფრო გასაგები ტერმინით **Deep State**.

უკრაინული ვიკიპედიის ცნობით,

> **დიფ სთეითი** ანუ глибинна держава (გლიბინნა დერჟავა) წარმოადგენს პოლიტოლოგიურ კონცეფციას, რომლის თანახმადაც აშშ-ში არსებობს სახელმწიფო მოხელეთა კოორდინირებული ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც არ ყოფილან არჩეულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **გავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების არსებობის პირობებშიც კი.**
>
> აღნიშნული ტერმინი, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა **ჩრდილოვანი მთავრობების** მოსახსენებლად თურქეთსა და პოსტსაბჭოთა რუსეთში, დამკვიდრდა აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული იმ სახელმწიფო ინსტიტუტების აღსანიშნავად, რომლებსაც გააჩნდათ ძალაუფლება, მაგრამ არ წარმოადგენდნენ უცილობელი შეთქმულების მაპროვოცირებელ ძალას.
>
> **დონალდ ტრამპის** მომხრეებმა აღნიშნული ტერმინი გამოიყენეს დაზვერვისა და აღმასრულებელი ხელისუფლების იმ თანამშრომელთა და თანამდებობის პირთა მისამართით, რომლებიც გავლენას ახდენდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა არხებით გაჟონილი ინფორმაციების საფუძველზე. ეჭვი მათი მხრიდან მანიპულირების მცდელობებთან დაკავშირებით განსაკუთრებით გამძაფრდა მას შემდეგ, რაც **„ვაშინგტონ პოსტისა"** და **„ნიუ-იორკ ტაიმსის"** ფურცლებზე ჩინოვნიკების მხრიდან გაჟღერდა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში **პრეზიდენტ ტრამპის** მრჩევლის **მაიკლ ფლინის** გადადგომის მოთხოვნა.
>
> **ტრამპის** ადმინისტრაციის აზრით, **„დიფ სთეითი"** ლახავდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავტორიტეტს. **ტრამპის** ზოგიერთი მოკავ-




## ოფიციოზის სიტყვა

# «ქართული ოცნების»

***როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, რამდენიმე სახელმწიფომ დააწესა ფინანსური სანქციები და სავიზო შეზღუდვები ქართველი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიმართ.***

უნდა აღინიშნოს, რომ, რაც უფრო ღრმად აქვს ფესვები გადგმული **გლობალურ ომის პარტიას** სხვადასხვა ქვეყანაში და რაც უფრო ძლიერია ამა თუ იმ ქვეყანაში **„დიფ სთეითის"** მეტასტაზები, რომელიც **გლობალური ომის პარტიის** არაფორმალური გავლენის მთავარ ინსტრუმენტად გვევლინება, მით უფრო ანტიქართულია შესაბამისი ქვეყნის დამოკიდებულება ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

უკლებლივ ყველა კონკრეტული პოლიტიკოსი და ბიუროკრატი, რომელიც ანტიქართული განცხადებებით გამოირჩევა, იქნება ეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტარი, ევროპარლამენტარი, დიპლომატი თუ ჩინოვნიკი, **არის „დიფ სთეითის" ქსელის წევრი, რომელიც არა ამერიკელი ან ევროპელი ხალხის ინტერესების მიხედვით, არამედ გლობალური ომის პარტიის კარნახით მოქმედებს.**

ამერიკის არჩეული პრეზიდენტის გუნდი აკეთებს დამაიმედებელ განცხადებებს ამერიკულ ოფიციალურ სტრუქტურებში „დიფ სთეითის" განადგურების შესახებ. **პრეზიდენტმა ტრამპმა** ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადა, რომ **„ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს", ან „დიფ სთეითი" გაანადგურებს ამერიკას".** ფაქტია, რომ გასული 4 წლის განმავლობაში სწორედ **„დიფ სთეითი"** ანადგურებდა არამხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანას. **„დიფ სთეითმა"** შეუქმნა უმძიმესი ეკონომიკური პრობლემები ევროკავშირს. **„დიფ სთეითმა"** ომის ქარცეცხლში გახვია მსოფლიოს არაერთი სახელმწიფო. ყველაზე მძიმედ კი **„დიფ სთეითის"** პატრონების გამანადგურებელი ეფექტი ჩვენს მეგობარ ქვეყანაზე — უკრაინაზე აისახა. **უკრაინა, რომელსაც 2014 წლამდე ჰქონდა სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, მშვიდობა და თითქმის 200-მილიარდიანი ეკონომიკა, დღეს, პრაქტიკულად, განადგურებულია, რაზეც „მაიდნის" ავტორები არავითარ პასუხისმგებლობას არ იღებენ.**

საქართველო უკრაინულ სცენარს დიდი ძალისხმევისა და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად ჯერჯერობით გადაურჩა, თუმცა, მშვიდობისთვის ბრძოლა გრძელდება და ეს ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი. **ვიდრე არსებობს უკრაინაში პირველი ფრონტი, საქართველოში მეორე ფრონტის ინტერესიც ყოველთვის იარსებებს.** სწორედ ამას უკავშირდება სანქციები, რომელსაც **გლობალური ომის პარტიის** კარნახით და **„დიფ სთეითის"** ხელით, კონკრეტული სახელმწიფოები ქართველ პოლიტიკოსებსა და თანამდებობის პირებს უწესებენ. ქართველმა ხალხმა ბოლომდე უნდა იბრძოლოს, რომ გადარჩეს და საქართველოს უკრაინიზაცია არ დაუშვას. ამით ჩვენ კარგ საქმეს გავუკეთებთ ევროპასაც, რომლის ქვეყნების უმრავლესობა დღეს **„დიფ სთეითის"** თამაშს თამაშობს და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვას ვერ ახერხებს.

ევროკავშირის ბიუროკრატიის ღირებულებითი მდგომარეობა დღეს უმძიმესია, რაც ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული ხუთი რეზოლუციით ყველაზე კარგად გამოიხატა. ამ რეზოლუციებით ევროპარლამენტმა მოითხოვა **ბიძინა ივანიშვილის** დასჯა, **სააკაშვილისა და სხვა კრიმინალების** განთავისუფლება, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაწვევა და ა.შ. ბოლო, მეხუთე რეზოლუციით ევროპარლამენტმა მოითხოვა ის, რის საჯაროდ მოთხოვნასაც სერიოზულ მოთამაშეთაგან მანამდე ვერავინ ბედავდა — **რუსეთისთვის სანქციების დაწესება და ქართული ეკონომიკის ჩამოშლა.** ამ ტენდენციის გათვალისწინებით, **ევროპარლამენტი მეექვსე რეზოლუციაში, მაღალი ალბათობით, რუსეთთან ომის დაწყებასაც ღიად მოგვთხოვს.**

კონკრეტული სახელმწიფოების მიერ დაწესებული სანქციების ფორმალური საფუძველი რომ სრულიად არასერიოზულია, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება. **ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ იმისათვის, რომ საქართველოში სისხლიანი ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა, ადამიანების წამებისა და მკვლელობის, ბიზნესის რეკეტის, მედიის მიტაცების, არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა დაასრულა, ქვეყნის ეკონომიკა 28 მილიარდიდან 90 მილიარდამდე გაზარდა და საქართველოს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა.**

**ვახტანგ გომელაურს** და გმირ პოლიციელებს, მათ შორის, 2008 წლის ომში ნაბრძოლ ადამიანებს, ასანქცირებენ იმისათვის, რომ **ბოლო ორ წელიწადში ხელისუფლების გადატრიალების სამი ძალადობრივი მცდელობა ეფექტურად აღკვეთეს, თანაც ისე, რომ ამას არათუ მსხვერპლი არ მოჰყოლია, არამედ თუნდაც ერთი ადამიანის ჯანმრთელობაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია.**

ამის საპირისპიროდ, ყველას გვახსოვს **გლობალური ომის პარტიისა** და **„დიფ სთეითის"** ფავორიტების **მერაბიშვილის და ბახარიას** 26 მაისის და 20 ივნისის სპეცოპერაციები, რომლებიც ერთ შემთხვევაში — 4 ადამიანის მკვლელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში 7 ადამიანის ჯანმრთელობაზე უმძიმესი კვალის დატოვებით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ არც **მერაბიშვილის** და არც **ბახარიას** სანქცირება აზრად არავის მოსვლია, რადგან **„დიფ სთეითში"** იხელმძღვანელეს **რუზველტის** ცნობილი გამონათქვამით **„ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილია".** ლოგიკურია, რომ, ვინც **„ძაღლიშვილებს"** თავს ევლება, ის გმირ პოლიციელებს ასანქცირებს.

## გასული ოთხი წლის განმავლობაში სწორედ „დიფ სთეითი" ანადგურებდა არამხოლოდ ამერიკას, არამედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანას!



*აღნიშნული გადაწყვეტილებები კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს, როგორც ანტიქართული ნაბიჯი, რომელიც ძირს უთხრის ქართველი საზოგადოების ნდობას დასავლური ინსტიტუტების მიმართ.*

**ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ იმისათვის, რომ საქართველოში სისხლიანი ავტორიტარიზმი დემოკრატიული მმართველობით ჩაანაცვლა, ადამიანების წამებისა და მკვლელობის, ბიზნესის რეკეტის, მედიის მიტაცების, არჩევნების გაყალბების სისტემური პრაქტიკა დაასრულა, ქვეყნის ეკონომიკა 28 მილიარდიდან 90 მილიარდამდე გაზარდა და საქართველოს 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობა მოუტანა!**

# ვამხილოთ ფარული დასი!

# ვამხილოთ DEEP STATE!




შირე და მემარჯვენე საინფორმაციო საშუალება ამტკიცებდნენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** კოორდინაციას უწევდა **„დიფ სთეითს“** მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ, მათ შორის, მისი სატელეფონო საუბრების მოსმენის გზით.

წიგნში **„სახელმწიფოსგან მალულად“** პროფესორი **ჯეისონ როისი ლინდსი** ამტკიცებს, რომ თუნდაც განვაგდოთ ყველა შეთქმულების თეორია, **„დიფ სთეითი“,** ანუ глибинна держава მაინც სასარგებლო ტერმინია, რომელიც გვეხმარება, გავიაზროთ ნაციონალური უსაფრთხოების ესა თუ ის ასპექტი განვითარებულ ქვეყნებში და, უპირველესად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. **ლინდსი** აგრეთვე აღნიშნავს, რომ ჩრდილოვანი სახელმწიფო იკვებება ნაციონალური უსაფრთხოებისა და სადაზვერვო სამსახურების წიაღიდან, ყალიბდება რა სამეფოდ, სადაც ძალაუფლების წყაროს საიდუმლოება წარმოადგენს.

მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი მცირე ექსკურსისა, ფართო საზოგადოებისათვის მაინც ძნელად აღსაქმელი იქნება **დიფ სთეითის** ჭეშმარიტი არსი, ვიდრე მის ადეკვატურ ქართულ შესატყვისს არ ვიპოვით. გაუგებარი **ჩრდილოვანი სახელმწიფო,** გნებავთ, რუსულ-ინგლისური კალკით ჩამოყალიბებული აბსურდული ტერმინი **глубинное государство (სიღრმისეული სახელმწიფო)** ოდნავადაც ვერ გამოხატავს ამ ინგლისური სიტყვათწყობის შინაარსს, რომელიც **არაფორმალური, საიდუმლო, უხილავი** თუ **იატაკქვეშა** მმართველობის ფორმაზე მიანიშნებს. **კულისებიდან მართული** სახელმწიფო აპარატი, ანუ **იდუმალი პარალელური ხელისუფლება** უდავოდ საჭიროებს იმ მოქნილ, ფრაზეოლოგიურად ზუსტ ტერმინს, რომელიც ერთბაშად ცხადყოფს **„დიფ სთეითის“** ჭეშმარიტ ბუნებას და მის სპეციფიკურ მრავალწახნაგოვნებას. მოდით, ყოველგვარი შეთქმულების თეორიების იგნორირებით **ვიპოვოთ უხილავი ხელი და ვცადოთ,** შევარჩიოთ ის ერთადერთი კომპოზიტი, რომლის დამკვიდრებაც მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული პოლიტიკური ტერმინოლოგიისათვის.

მაშ, ვამხილოთ მზაკვრული წარმონაქმნი **„დიფ სთეითი“,** იგივე **ფარული დასი,** რომელიც დღემდე ბოგინობს ხელისუფლების მიღმა, რაც მთავარია, **ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ!**

***ლაშა ნადარეიშვილი***



# პოლიტსაბჭოს განცხადება

ყველას გვახსოვს ისიც, რომ რუსეთთან 2008 წლის ომის გამჩაღებელი **დიქტატორი სააკაშვილი „დიფ სთეითმა“** გმირად და დემოკრატიის შუქურად მონათლა. ლოგიკურია, რომ **გლობალური ომის პარტია** ომის აგენტისთვის ქებას არ იშურებს. ამ ლოგიკის გაგრძელებაა ისიც, რომ **„დიფ სთეითი“ ბიძინა ივანიშვილს** მშვიდობისთვის სჯის. ამ ყველაფერს ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად არჩევს და სწორედ ამიტომ აქვს **„დიფ სთეითის“** სანქციებს საქართველოში ყოველგვარი ძალა დაკარგული.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს წინააღმდეგ სანქციები პირველად უკრაინის ხელისუფლებას დააწესებინეს, რომლის უმაღლესი თანამდებობის პირები საქართველოს ხელისუფლებას **მეორე ფრონტის** გახსნისკენ ღიად მოუწოდებდნენ. **ამას მოჰყვა ბალტიისპირეთის ქვეყნების სანქციები, რომლებსაც სუვერენიტეტი, პრაქტიკულად, სრულად აქვთ დაკარგული და მთლიანად „დიფ სთეითის“ კარნახით უწევთ მოქმედება.**

თავის დროზე დახურულ კარს მიღმა გაჟღერებულმა მოთხოვნამ და მუქარამ საბოლოოდ საჯარო სახე მიიღო. **„ან იომებ ან დაგსჯით“** — ეს არის მარტივი გზავნილი, რომელსაც საქართველო და ქართველი ხალხი **გლობალური ომის პარტიისგან** იღებს. მეტიც, ოპოზიციის პირით, ქართველი ხალხის დასჯაზეც დაიწყეს საუბარი, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ ხელისუფლებაზე მეტადაც კი, **გლობალურ ომის პარტიას** ქართველი ხალხის უკომპრომისო პოზიცია აღიზიანებს, რომელმაც კოლექტიური ნაცმოძრაობის, ანუ **გლობალური ომის პარტიის** აგენტურის ხელისუფლებაში დაბრუნება და ომში საქართველოს ხელმეორედ ჩათრევა არ დაუშვა.

**საბოლოოდ, ქართველ ხალხს ვერავინ ვერავითარი სანქციებით ვერ შეაშინებს, რადგან საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ქვეყნის განადგურებას ვერცერთი სანქცია ვერ შეედრება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას ვერავინ ვერავითარი სანქციების ფასად ვერ აიძულებს, ქვეყანა გამანადგურებელი ომისთვის გაწიროს. ქართველი ხალხი საქართველოს უკრაინიზაციას არავითარი სანქციების ფასად არ დაუშვებს.**

**გლობალური ომის პარტია** მხოლოდ საზოგადოების უმცირესობის აზრის მანიპულირებას ახერხებს. **კოლექტიური ნაცმოძრაობის** მხარდამჭერ უმცირესობას დღეს ის ზუსტად ისევე უპირისპირებს საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში გაუკეთებია. **ლოკალური ომის პარტიის, ანუ კოლექტიური ნაცმოძრაობის** მხარდამჭერებმა ზუსტად იციან, რომ სიმართლე მათ მხარეს არ არის და სწორედ ამიტომ ამბობენ უარს ხელისუფლების ყველა შეთავაზებაზე საჯარო დისკუსიის გამართვასთან დაკავშირებით. თუმცა, სამწუხაროდ, ამ ადამიანებს მონური დამოკიდებულება არ აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ამერიკული თუ ევროპული ბიუროკრატიის ნაბიჯებს კრიტიკულად შეხედონ.

**გლობალური ომის პარტიის** გავლენით, თანამედროვე მსოფლიოში მოქმედებს ორუელისეული პრინციპი — **„ომი არის მშვიდობა, მონობა — თავისუფლება, ხოლო უმეცრება — ძალა“.** ომი, მონობა, უმეცრება და ყველაფრის უკუღმა წარმოჩენა არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც **გლობალური ომის პარტია** თანამედროვე სამყაროს უდიდეს ნაწილს არაფორმალურად მართავს.

უკვე ზედიზედ მეორედ არ აღიარებენ **ეუთო/ოდირის დასკვნას** საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, როდესაც მანამდე **ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის** საქართველოში მოწვევას დაჟინებით ითხოვდნენ. მეტიც, ამ დასკვნით გაგულისებულმა ოპოზიციამ და მისმა პატრონებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ საქართველოში **ეუთოს დელეგაციის** ჩამოსვლა არ დაეშვათ.

ამერიკელ კონგრესმენს **ჯო უილსონს** დააინიცირებინეს ე.წ. **„მეგობარი აქტი“** საქართველოს შესახებ, რომელსაც, შინაარსიდან გამომდინარე, მხოლოდ **„მტერი აქტი“** შეიძლება ეწოდოს. უილსონმა იმოქმედა პრინციპით — **„სასიამოვნო სასარგებლოსთან ერთად“** და **„დიფ სთეითის“** დავალებების შესრულებას ევროპელი პენსიონერების მძარცველი **კეზერაშვილისგან** ფინანსური სარგებლის მიღებაც დაურთო. ათეულობით ევროპელი პენსიონერისთვის წართმეული ფული ერთ ამერიკელ პენსიონერს **ჯო უილსონს** ხმარდება, რითაც **„დიფ სთეითი“** თავის პოლიტიკურ ამოცანას ასრულებს და საქართველოს სანქციებით აშანტაჟებს. **ჯო უილსონი** არის **„დიფ სთეითის“** ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინება — დეგრადირებული პოლიტიკოსი ნულოვანი პოლიტიკური კულტურით, რომელიც უხეშად გვემუქრება, რომ დაგვსჯის, თუ არ ვიომებთ.

შეგახსენებთ, რომ **ჯო უილსონს,** რომელიც თავს კონსერვატიული მსოფლმხედველობის პოლიტიკოსად წარმოაჩენს, ერთხელაც არ დაუგმია **ენტონი ბლინკენის** გადაწყვეტილება, რომელიც კაცის — კაცად და ქალის ქალად მოხსენიების აკრძალვას ითვალისწინებდა და რომელსაც **პრეზიდენტ ტრამპის** გუნდი ერთხმად გაემიჯნა. აქედან გამომდინარე, **გასაკვირი არაა, რომ უილსონი ბლინკენის ხაზს საქართველოს დასჯის ნაწილშიც ერთგულად აგრძელებს.**

**პრეზიდენტ ტრამპის** მიერ **„დიფ სთეითის“** მოშლის ამოცანის წარმატებით შესრულებას შეუძლია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების თვისებრივი გადატვირთვა უზრუნველყოს, რაც, გვჯერა, თანაბრად შედის როგორც საქართველოს, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებში.

ევროპაში **„დიფ სთეითის“** მეტასტაზების მოშლას შედარებით მეტი დრო დასჭირდება. როგორც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა **ვიქტორ ორბანმა** აღნიშნა, **„სოროსმა დაკარგა ვაშინგტონი პრეზიდენტ ტრამპის არჩევით, მაგრამ ბრიუსელი კვლავ მის ხელშია“.** ბუნებრივია, **სოროსში** არა კონკრეტული ადამიანი, არამედ **„დიფ სთეითის“** უკან მდგომი ოლიგარქიული ქსელი იგულისხმება.

**„დიფ სთეითის“** ევროპული მეტასტაზების მოშლა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების გადატვირთვის აუცილებელი პირობაა. სწორედ ამ მეტასტაზების აქტიურობის შედეგია არამხოლოდ ევროკავშირის ბიუროკრატიის არსებული ანტიქართული პოლიტიკა, არამედ უხეში ლგბტ პროპაგანდა და მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს თანმიმდევრულად იდენტობას აკარგვინებს და რითაც ჩვენს ქვეყანასაც უშუალოდ ემუქრებიან.

**იმედი გვაქვს, 2030 წლამდე ევროკავშირი სრულად დაძლევს არაფორმალური ოლიგარქიული გავლენისა და „დიფ სთეითის“ პრობლემას, რაც შექმნის სათანადო პირობებს საქართველოს ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ამასთან, საქართველო არამხოლოდ პასიურად უნდა დაელოდოს ცვლილებებს ევროკავშირში, არამედ თავადაც აქტიური წვლილი უნდა შეიტანოს ევროკავშირის წინაშე არსებული პრობლემების დაძლევაში.**

**მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ და ევროპაში!** — ეს არის დევიზი, რომელიც 2030 წლამდე არამხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროკავშირის თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის უნდა გახდეს თანაცხოვრების საკვანძო პრინციპი.

## პრეზიდენტმა ტრამპმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე განაცხადა, რომ „ან ამერიკა გაანადგურებს „დიფ სთეითს“, ან „დიფ სთეითი“ გაანადგურებს ამერიკას!“



## ვახტანგ გომელაურს და გმირ პოლიციელებს, მათ შორის, 2008 წლის ომში ნაბრძოლ ადამიანებს, ასანქცირებენ იმისათვის, რომ ბოლო ორ წელიწადში ხელისუფლების გადატრიალების სამი ძალადობრივი მცდელობა ეფექტურად აღკვეთეს!

# მტერი აქტი

***იმ ძალამ, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში დიფ სთეითს (Deep State) ეძახიან, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გლობალურ ომის პარტიად მოიხსენიებენ, ხოლო „ასავალ-დასავალი“ ფარულ დასს უწოდებს, ცინიზმისა და ფარისევლობის მწვერვალს მაშინ მიაღწია, როცა ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ კანონპროექტს „მეგობარი აქტი“ (MEGOBARI Act) დაარქვა.***




## კონგრესმენ ჯო უილსონის მიერ საქართველოსთან დაკავშირებით შეთითხნილი „მეგობარი აქტი“, სინამდვილეში, მტერი აქტი გახლავთ!




უფრო კონკრეტულად, **„მეგობარი აქტი“** გახლავთ კონგრესმენ **ჯო უილსონის** მიერ აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი კანონპროექტი, რომელიც, ოფიციალური განმარტების თანახმად, **„ითვალისწინებს, ერთი მხრივ, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების გაღრმავებას, ხოლო, მეორე მხრივ, სანქციების დაწესებას საქართველოს დემოკრატიისათვის ძირგამომთხრელ საქმიანობაში შემჩნეული პირებისათვის“.**

ალსანიშნავია, რომ **კონგრესმენ უილსონის** მიერ შედგენილი კანონპროექტის სახელწოდებაში MEGOBARI გახლავთ ინგლისური აბრევიატურა, რომელიც ასე იშიფრება:

„**M**obilizing and **E**nhancing **G**eorgia's **O**ptions for **B**uilding **A**ccountability, **R**esilience, and **I**ndependence Act“, ანუ **„ანგარიშვალდებულების, მედეგობისა და დამოუკიდებლობის ასაშენებლად საქართველოს შესაძლებლობების მობილიზებისა და გაძლიერების აქტი“.**

აშკარაა, ეს **ფუჭე სიტყვები**, როგორც **პოლიტიკური აბრაკადაბრა**, **კონგრესმენმა უილსონმა და მისმა თანამოაზრეებმა** თითიდან გამოწოვეს და ერთ წინადადებაში ხელოვნურად დაახვავეს, რათა როგორმე მიეღოთ აბრევიატურა MEGOBARI, რაც იმისათვის დასჭირდათ, რომ **„მეგობარი აქტის“** სრულიად **მტრული შინაარსი** და დანიშნულება შეეფუთათ.

დიახ, **კონგრესმენ ჯო უილსონის** მიერ საქართველოსთან დაკავშირებით შეთითხნილი **„მეგობარი აქტი“,** სინამდვილეში, გახლავთ **მტერი აქტი,** რომელიც პირდაპირ არის მიმართული ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს საქართველოს ხელისუფლების დასჯას იმის გამო, რომ მან რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა, ხოლო შემდეგ კოლექტიური დასავლეთის მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალებაც აღკვეთა.

გარდა ამისა, **მტერი აქტი** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლთათვის სხვადასხვა სახის სანქციის დაწესებას ითვალისწინებს იმის გამოც, რომ **„ქართულმა ოცნებამ“,** გლობალური დასავლეთის გაავთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა“** და **„ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ“** კანონები მიიღო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **კონგრესმენ ჯო უილსონის** მიერ შეთითხნილი

## მტერი აქტის ავტორი კონგრესმენი უილსონი თავადაც საქართველოს მტერია და ყველა პატრიოტი ქართველისაგან სიძულვილს იმსახურებს!

### კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ლიბერალური ფაშიზმი** არის ის, რასაც ყველა უნდა ვებრძოლოთ და **ეს იდეოლოგია არის დასამარცხებელი** ჩვენს ქვეყანაში.

„საქართველოს რესპუბლიკა “

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**ბატონი როთი** და სხვები რომ **მოგვიწოდებდნენ საომრად წასვლას ნატოს არაწევრ ქვეყანას,** ამათ უყვართ ქართველი ხალხი?! ყველა ფიქრობს საკუთარი ქვეყნის ინტერესზე, **ჩვენც ვფიქრობთ ჩვენი ხალხის ინტერესზე.**

„იმედინიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



საქართველოს პარლამენტში შეიქმნება **2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და მისი პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია.** დასკვნაში აისახება რეკომენდაციები **დამნაშავეთა მიმართ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პოლიტიკური და სამართლებრივი რეაგირების ზომების შესახებ.**

„პრაიმტაიმი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**გვიყვარდეს მოყვასი ქრისტეს** სიყვარულით, ეს არის გზავნილი პატრიარქის ეპისტოლედან, **როგორც პრეზიდენტი, ვეცდები, ეს საქმით დავამტკიცო,** ჩვენი საზოგადოება სიყვარულით გავაერთიანო.

„პირველი არხი“

**პია კაუმა**
*ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი*



ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, **გარედან არავინ თქვას, მთავრობა ლეგიტიმურია თუ არა.** ქვეყნის სუვერენიტეტს ზიანს მიაყენებდა, თუ ვინმე გარედან განგვისაზღვრავდა ლეგიტიმურობას.

„რადიო თავისუფლება“

# ამერიკელი ხალხი კოლექტიური ჯოჯოსგან, ანუ ჯო ბაიდენისა და ჯო უილსონისაგან უნდა გათავისუფლდეს!




**მტერი აქტის** მიხედვით, უცხო ქვეყნების ინტერესებზე მაღლა საქართველოს ინტერესების დაყენება აკრძალული და დასჯადია!

სხვანაირად თუ ვიტყვით,

**მტერი აქტი გახლავთ პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტი ამერიკული დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის ხელში, რომელიც გაშმაგებულია იმის გამო, რომ საქართველოს ვერც რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვა აიძულა და ვერც სახელმწიფო გადატრიალება მოუწყო!**

რაც შეეხება თავად **მტერი აქტის** ავტორს — **კონგრესმენ ჯო უილსონს,** იგი მკაფიოდ განასახიერებს **ამერიკული დიფ სთეითის,** ანუ **ფარული დასის** პოლიტიკურ და მორალურ დეგრადაციას!

სულ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი „რუსული კანონის" — ე.წ. **ფარას** წყალობით, ცნობილი გახდა, რომ **მტერი აქტის** ავტორ **კონგრესმენ უილსონს** ქართული ჯარისა და ევროპელი პენსიონერების გამძარცველი **დავით კეზერაშვილის** ტელეკომპანია **„ფორმულამ",** ერთ-ერთი ლობისტური კომპანიის მეშვეობით, 1000 დოლარი ჩაურიცხა. **„ფარას"** დოკუმენტების მიხედვით, **კეზერაშვილის** წარმომადგენლებმა ფული **კონგრესმენ უილსონთან** და მის ასისტენტთან აუდიენციის სანაცვლოდ გადაიხადეს, შეხვედრის მიზანს კი ვითომდა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე საუბარი წარმოადგენდა.

სინამდვილეში, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ქართული სახელმწიფოს მიერ ძებნილმა კრიმინალმა **დავით კეზერაშვილმა კონგრესმენ ჯო უილსონს** 1000 დოლარი სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოებაზე მსჯელობისათვის კი არა, ნაცპოზიციის სასარგებლო აქტივობისათვის ჩაურიცხა.




ყოველივე ეს საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ **ჯო უილსონის** მიერ შეთითხნილი **მტერი აქტიც** და ის პოსტებიც, რომლებსაც პოლიტიკურად მიხრწნილი კონგრესმენი სოციალურ ქსელში საქართველოს შესახებ ინტენსიურად აქვეყნებს, **ბანდიტი კეზერაშვილისა** თუ ნაცბანდასთან დაკავშირებული სხვა „ფულის ტომრების" მიერ არის დაფინანსებული.

როგორც ირკვევა, **ჯო უილსონი** თავის დროზე „ქართულ ოცნებასაც" სთავაზობდა ფასიან ლობისტობას, თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ მის მომსახურებაზე უარი თქვა და, როგორც ჩანს, კონგრესმენი ძლიერ გაანაწყენა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის **მამუკა მდინარაძის** განცხადებით:

> *„**ჯო უილსონი** არის ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი, რომელიც ხან **მაკა ბოჭორიშვილთან** გადაიღებდა ფოტოებს, მერე დაბეჭდავდა და ათობით ფოტოს გამოუგზავნიდა. ხან **ნიკა სამხარაძესთან** ერთად გადაიღებდა ფოტოს და ლობირებას შესთავაზებდა. ჩვენ მას ფული არ გადავუხადეთ. ჩვენ არასოდეს გვითქვამს — მოდით, **ბატონო ჯო,** გადაგიხდით ფულს ლობირებაში".*

## მტერი აქტის ავტორი ჯო უილსონი მკაფიოდ განასახიერებს ამერიკული დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის პოლიტიკურ და მორალურ დეგრადაციას!




თუმცა,

**კონგრესმენი ჯო უილსონი საქართველოდან დამატებითი შემოსავლის გარეშე, როგორც ჩანს, მაინც არ დარჩა და კოლექტიური ნაცების სახით კარგი გადამხდელები იშოვა!**

ჰოდა, შეთითხნა კონგრესმენმა **მტერი აქტი!**

ჰოდა, დღე ისე არ გავა, **მტერი აქტის** ავტორმა სოციალურ ქსელში 2-3 პოსტი მაინც არ დაწეროს და საქართველოს ხელისუფლება მიწაში არ ჩადოს!

**მტერი აქტის** ავტორი **კონგრესმენი უილსონი,** რა თქმა უნდა, თავადაც საქართველოს მტერია და ყველა პატრიოტი ქართველისაგან სიძულვილს იმსახურებს ისევე, როგორც ყველა პატრიოტ ამერიკელს სძულს ე.წ. **დიფ სთეითი,** ანუ **ფარული დასი,** რომლის კრებსით სახესაც **კონგრესმენი უილსონი** წარმოადგენს!

სულ რაღაც ერთ კვირაში, 2025 წლის 20 იანვრიდან, როცა **დონალდ ტრამპი და მისი გუნდი** ქვეყნის მართვას შეუდგებიან, ამერიკაში **ფარული დასის** დემონტაჟის შეუქცევადი პროცესი დაიწყება და ამერიკელი ხალხი კოლექტიური **ჯოჯოს**გან, ანუ **ჯო ბაიდენისა** და **ჯო უილსონისაგან** გათავისუფლდება!

სულ რაღაც ერთ კვირაში, 2025 წლის 20 იანვრიდან, როცა **დონალდ ტრამპი და მისი გუნდი** ამერიკის მართვას შეუდგებიან, საქართველოშიც უნდა დაიწყოს **ფარული დასის** დემონტაჟის შეუქცევადი პროცესი, რომელიც ადგილობრივი **ჯო** უილსონებისა და სხვა პოლიტიკური **ჯოჯო**ებისაგან ქართველი ხალხის გათავისუფლებით დასრულდება!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

### ილჰამ ალიევი
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



სომხეთი, ფაქტობრივად, წარმოადგენს რეგიონისათვის არსებული საფრთხის წყაროს. დამოუკიდებელი სომხური სახელმწიფო თავის არსით **ფაშისტური სახელმწიფოა,** რამდენადაც ამ ქვეყანას 30 წლის მანძილზე სათავეში ედგნენ **ფაშისტური იდეოლოგიის** მატარებელნი, მათ მოახდინეს ამ ქვეყნის მოწყობა თავის ყაიდაზე. **ჩვენი ქვეყანა ემეზობლება ფაშისტურ სახელმწიფოს და ფაშიზმის საფრთხე არ გამქრალა.** ამიტომ **ფაშიზმი** უნდა განადგურდეს. მას გაანადგურებს ან სომხეთის ხელმძღვანელობა, ან — ჩვენ!

„URSA-TM.RU"

### სი ძინპინი
*ჩინეთის პრეზიდენტი*



მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ **ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებას** და მზად ვარ, **ბატონ პრეზიდენტთან** ერთად ვიმუშაო ორი ქვეყნის ტრადიციული მეგობრობის გასაგრძელებლად.

„პირველი არხი"

### არჩილ გორდულაძე
*პარლამენტარი*



ნაცმოძრაობისთვის **სალომე ზურაბიშვილი** იმ აქტუალობას დაკარგავს, რომელიც აქამდე ჰქონდა და **დაივიწყებენ** ისე, როგორც, მაგალითად, ჩვენ არ გვახსოვს, როგორი თოვლი მოვიდა შარშან.

„პირველი არხი"

### მეუფე იაკობი
*ბოდბელი ეპისკოპოსი*



ყველა ერთად უნდა ვიყოთ, **ეშმაკი ყოფს, ღმერთი აერთიანებს.** 150 კაცი ავირჩიეთ, **კეთილი უნდა ინებონ და გაახსენდეთ, რისთვისაც ავირჩიეთ,** ერთობით, ერთად აკეთონ კეთილი საქმე.

„პირველი არხი"

### მაკა ბოჭორიშვილი
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



საქართველოში ჩატარდა ელექტრონული არჩევნები და **ვერავინ ჩატენიდა ყუთში იმ რაოდენობის ბიულეტენს,** რომ არჩევნებზე გავლენა მოეხდინა.

„იმედინიუსი"

***ამერიკის შეერთებული შტატების არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და მისი ადმინისტრაცია ღია ომს უცხადებენ ე.წ. დიფ სთეითს (DEEP STATE), ანუ „ღრმა სახელმწიფოს“, რომელსაც ჩვენ უფრო მარტივი და ყველასათვის ადვილად გასაგები სახელწოდება — ფარული დასი შევურჩიეთ.***

# ადრე იყვნენ გასაყრელნი!

სწორედ ე.წ. **დიფ სთეითის,** ანუ ამერიკის სახელმწიფო სისტემის იატაკქვეშეთში მოქმედი გავლენიანი ფენის დემონტაჟის მიზნით, **პრეზიდენტი ტრამპი** ქმნის მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს, რომელსაც 2025 წლის 20 იანვრიდან სათავეში ორი მილიარდერი — **ილონ მასკი** და **ვივეკ რამასვამი** ჩაუდგება.

**ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის** წადილია, მაქსიმალურად შეასუსტონ, საუკეთესო შემთხვევაში კი, ძირფესვიანად ამოძირკვონ **ფარული დასი,** რომელიც ამერიკის სახელმწიფოს შიგნიდან ღრღნის და არა ქვეყნის ინტერესებს, არამედ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ოლიგარქიული კლანების დღის წესრიგს ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. **დიფ სთეითი,** ანუ სახელმწიფოს სხეულში ჩაბუდებული **ფარული დასი,** რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზიანოდ და უცხო ძალთა მიზნების სასარგებლოდ მოქმედებს, არამხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ საქართველოს პრობლემაც გახლავთ.

უკეთ რომ ვთქვათ, თავისი **დიფ სთეითი,** ანუ **ფარული დასი** საქართველოსაც ჰყავს!

ცხადია, საქართველოში მოქმედი **ფარული დასი** თავისი მასშტაბითა და ძალმოსილებით **ამერიკის ფარულ დასს** ვერ დაეტოლება, მაგრამ იმდენი კი შეუძლია, რომ ქვეყნის დესტაბილიზაციის, სახელმწიფოს ჩამოშლისა და ხელისუფლების დამხობის ყოველ მცდელობაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

საქართველოს სახელმწიფო სისტემაში ფესვგადგმული **ფარული დასი** განსაკუთრებით თვალხილული გახდა 2024 წლის 28 ნოემბრიდან, როცა ჩვენსას ე.წ. ნაცმაიდნისა და სახელმწიფო გადატრიალების რიგით მეოთხე და, ალბათ, გადამწყვეტი მცდელობა დაიწყო.

**ფარული დასის** წევრები, ანუ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და საჯარო სამსახურებში სხვადასხვა რანგის თანამდებობაზე მოკალათებული ნაცლიბერალები ბოლო 12 წლის განმავლობაში, მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ, რომ თავი არ გამოემჟღავნებინათ და მხოლოდ ჩუმი საბოტაჟით ყოფილიყვნენ დაკავებული, მაგრამ ბოლო თვეებია, ზედაპირზე ერთბაშად ამოტივტივდნენ და სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუფარავ ომში ჩაებნენ.




უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებსა და საჯარო უწყებებში ბაზირებულმა **ფარულმა დასმა,** ანუ ნაცლიბერალურმა დესანტმა პატრონებისაგან ასპარეზზე ღიად გამოსვლის დირექტივა მიიღო და გამოვიდა კიდეც!

შესაბამისად, **საზოგადოებამ იხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საჯარო რეესტრის, თბილისის მერიისა და კიდევ სხვა უწყებების ათეულობით თანამშრომლის კოლექტიური პეტიციები, რომლებითაც ისინი დაუპირისპირდნენ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების 2028 წლამდე შეჩერების შესახებ.**

თუმცა, **ფარული დასი** მხოლოდ კოლექტიური განცხადებებით როდი შემოფარგლულა... სახელმწიფო და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების ნაწილი რუსთაველის გამზირზე დადგა და „დემოკრატიულობისა“ და „მშვიდობიანობის“ ანტურაჟს უქმნიდა იმ ძალადობრივ და ექსტრემისტულ ჯგუფებს, რომლებიც ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებითა და პეტარდებიდან გახსნილი ცეცხლით ცდილობდნენ საქართველოს პარლამენტის შენობის გადაბუგვასა და ქართველი პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ცოცხლად დაწვას.

პირდაპირ რომ ვთქვათ, საქართველოს სახელმწიფო სისტემაში ინტეგრირებული **ფარული დასი** ღიად მონაწილეობს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, რასაც „ევროპული მომავლისათვის ბრძოლად“ ფუთავს!

არადა, **ყურით მოთრეული დიდი ტყუილია,** თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ კონსტიტუციით დეკლარირებული საგარეო კურსი შეცვალა!

**მტკნარი სიცრუეა,** თითქოს ევროკავშირი მზად იყო, საქართველოსთან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები დაეწყო, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ამაზე უარი თქვა!

სინამდვილეში, **ფარული დასის წევრებმაც, ანუ საქართველოს სახელმწიფო და საჯარო უწყებების ნაცლიბერალმა თანამშრომლებმაც** ძალიან კარგად იციან ევროკავშირის გაცხადებული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 2030 წლამდე მისი გაფართოება, ანუ ახალი წევრებით შევსება არ მოხდება!

რეალურად, **ფარულმა დასმა** მშვენივრად უწყის, რომ საქართველოს მთავრობამ კი არ შეაჩერა ევროკავშირთან მოლაპარაკებები, არამედ პირიქით — ევროკავშირმა შეაჩერა მოლაპარაკებები საქართველოს გაწევრიანების თაობაზე, „ქართულმა ოცნებამ“ კი თავისი გადაწყვეტილებით, უბრალოდ, შანტაჟისა და ზეწოლის იარაღი გამოაცალა იმ ძალებს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრიანების თემას საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციისა და ხელისუფლების შეცვლის მცდელობისათვის იყენებდნენ!

ასე და ამრიგად, **ფარული დასის** წევრთა განცხადებები — **ჩვენ რომელიმე პოლიტიკურ ბანაკს კი არა, საქართველოს ევროპულ მომავალს ვუჭერთ მხარსო** — მხოლოდ შირმაა, რეალურად კი, ისინი საქართველოს ხელისუფლებაში კოლექტიური ნაცმოძრაობის დასაბრუნებლად იბრძვიან, რაც ავტომატურად ნიშნავს საქართველოს უკრაინიზაციას!

მოკლედ რომ მოვჭრათ, **ქართული დიფ სთეითი, ანუ ფარული დასი** პოლიტიკური დენთის კასრია, რომელზეც ქართული სახელმწიფო 2012 წლიდან მოყოლებული ზის!

აკი, 2012 წლიდან მოყოლებული, მუდმივად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და საჯარო უწყებები ნაცებით არის გავსებული!

**12 წელიწადია,** გვესმის, რომ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურებში თავშეყრილი ნაცები მუდმივი საბოტაჟის რეჟიმში მუშაობენ და, თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში, ხელს უწყობენ ხელისუფლების რეპუტაციის დაზიანებას მოსახლეობის თვალში!

**12 წელიწადია,** ყველამ იცის,




ტრანსპარანტი ანტისამთავრობო აქციიდან. თბილისი, 2024

## საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და მუნიციპალური უწყებები ფარული დასისაგან სრულად უნდა გაიწმინდოს!

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



20 იანვრის შემდეგ უნდა დაიწყოს **სოროსის ფონდის და მასთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციის განდევნა ქართველი საზოგადოებიდან**, როგორც მთავარი ბოროტების — **ლიბერალური ფაშიზმის** შემოქმედისა!

„იმედინიუსი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**სალომე ზურაბიშვილი — ლავროვის სკოლის კომკავშირის პრემიის ლაურეატი!** პიონერ ლენინელთა აქტივის მედროშე! მხცოვან ოქტომბრელთა რაზმის წინამძღოლი! **შიგ ევროპელთა ოპოზიციის ბელადი!**

„იმედინიუსი“

**ტიერი მარიანი**
*ევროპარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილმა** სამი მეოთხედით ცარიელ ევროპარლამენტში დაიფიცა, რომ არასოდეს დატოვებდა თანამდებობას, **მისი გმირობა ხანმოკლე აღმოჩნდა, ბოლო სიტყვა ლეგიტიმურ ხელისუფლებას დარჩა.**

„პირველი არხი“

**დმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*



რუს ხალხს სძულს **ნაბიჭვარი.** ჩვენი ხალხის მხრიდან ბანდერული უკრაინის არალეგიტიმური ლიდერის მიმართ პირადი შურისძიება **არ უნდა დასრულდეს თანამდებობიდან მისი გადაყენების შემდეგ.**

„LENTA.RU“

**კალინ ჯორჯესკუ**
*რუმინეთის პრეზიდენტობის კანდიდატი*



ევროკავშირსა და ნატოს **სურთ ომში ჩვენი ჩათრევა,** მე კი ღიად ვთქვი, რომ **ჩემი და ჩემი ქვეყნის პოზიცია ომის შეწყვეტაა.**

„იმედინიუსი“

# ან ქართული სახელმწიფო გაანადგურებს ფარულ დასს, ან ფარული დასი გაანადგურებს ქართულ სახელმწიფოს!

რომ იმ ასეულათასობით ხმაში, რომელსაც მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი ნაცმოძრაობა ყველა არჩევნებში იღებდა, არცთუ უმნიშვნელო წილი სახელმწიფო და მუნიციპალურ უწყებებში დასაქმებული მოხელეებისა იყო!

**12 წელიწადია,** ეს **ფარული დასი** — სახელმწიფო და საჯარო სამსახურებში მოქმედი ნაცლიბერალური **დიფ სთეითი** — ხელს უშლის საქართველოს განვითარებასა და სუვერენულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას!

ასე რომ, საქართველოს პარლამენტის მიერ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში რიგი ცვლილებების შეტანა და ხელისუფლების გადაწყვეტილება, 2025 წლიდან სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურებში მასშტაბური რეორგანიზაცია მოახდინოს, დაგვიანებული, მაგრამ აუცილებელია!

**თბილისის მერიიდან, იუსტიციის სამინისტროდან და სხვადასხვა უწყებიდან უკვე გაუშვეს ფარული დასის რამდენიმე წარმომადგენელი, რასაც კოლექტიური ნაცოპოზიცია და ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები „პოლიტიკური ნიშნით დევნასა“ და „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას“ ეძახიან, მაგრამ ეს მხოლოდ დემაგოგია და სპეკულაცია გახლავთ.**

როცა სახელმწიფო სისტემის ნაწილი ხარ და შიგნიდან ცდილობ სახელმწიფოს ჩამოშლას, ეს „საკუთარი აზრის ქონა“ და „გამოხატვის თავისუფლება“ კი არა, დივერსია და საბოტაჟია!

**თუ ხელისუფლების პოლიტიკასა და სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ კურსს არ ეთანხმები, სახელმწიფო სამსახურში რაღა გესაქმება? პროტესტის ნიშნად დატოვე დაკავებული თანამდებობა და გარედან იბრძოლე შენთვის მიუღებელი სისტემის წინააღმდეგ!**

**სახელმწიფოს მმართველ ძალას „რუსსა“ და „მოღალატეს“ თუ ეძახი, მაშინ „რუსთან“ და „მოღალატესთან“ რატომ თანამშრომლობ, მის მიერ ბოძებულ თანამდებობას რატომ ეპოტინები და მის მიერ დანიშნულ ხელფასსა და პრემიას რატომ იდებ ჯიბეში?**

სახელმწიფო სამსახურში თბილად ჯდომაც გსურს და ისიც გინდა, რომ შენი სამსახურებრივი მდგომარეობა იმავე სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლის ბერკეტად გამოიყენო?

ასეთები დიდი ხნის წინათ იყვნენ გასაყრელნი სახელმწიფო და საჯარო სამსახურებიდან!

ჰო, ჯერ კიდევ 12 წლის წინათ იყვნენ გასაყრელნი, მაგრამ ჯობს გვიან, ვიდრე — არასოდეს!

ახლა მაინც საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და მუნიციპალური უწყებები სრულად უნდა გაიწმინდოს **ფარული დასისაგან,** სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი დივერსანტებისა და მესაბოტაჟეების ადგილი კი ნამდვილმა პატრიოტებმა და პატიოსანმა პროფესიონალებმა დაიკავონ!

როგორც აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** განაცხადა, ან ამერიკა გაანადგურებს **დიფ სთეითს,** ან **დიფ სთეითი** გაანადგურებს ამერიკას!

საქართველოშიც სწორედ ასე მოხდება — ან ქართული სახელმწიფო გაანადგურებს **ფარულ დასს,** ან **ფარული დასი** გაანადგურებს ქართულ სახელმწიფოს!

მესამე ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



დარწმუნებული ვართ, რომ **20 იანვრის შემდეგ, როცა ტრამპის ადმინისტრაცია საბოლოოდ დაკომპლექტდება,** გვექნება შესაძლებლობა ორმხრივი დიალოგის, რომელიც ღია ფორმატში წარიმართება.

„პირველი არხი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი*



**გვებრძვიან და გვიყენებენ** საკუთარი ბრძოლის მოსაგებად, რომელიც თავად ჩიხში შეიყვანეს, **ასე წააქეზეს უკრაინაც და დღეს მის პატრონობაზე უკვე ფეხს ითრევენ.**

„პირველი არხი“



*ირაკლი კობახიძის ცნობილი განცხადების შემდეგ ქუჩაში გამოსული ახალგაზრდობა და დასანქცირებული ბიძინა ივანიშვილი — ეს ჩვენი პოლიტიკური რეალობაა და მის შედეგებზე პასუხი უახლეს მომავალში გვეცოდინება. მანამდე პოეტი, ეთნოკულტურათა მკვლევარი, მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი* ***კობა არაბული*** *ამ მოვლენებს მისტიურ ჭრილში განიხილავს და, მამა-პაპათა ანდრეზების მოშველიებით, ხელისუფლებას მნიშვნელოვან რჩევას აძლევს:*



## *კობა არაბული:*

# მტკიცედ დექ, ჩემო სამშობლოვ, ერო და ბერო, ხელისუფალნო, მხედარნო, სარანგნო და მცველნო საქართველოისა!

— უპირველესად, ახალ წელს და ქრისტეშობას ვულოცავ ჩვენს ულამაზეს სამშობლოს, ზენათელი ღვთიური სულით შემოსილს, ვულოცავ ქართველ ერს, ამერ-იმერს, მის ყოველ სახლს, კოშკსა და მაჩუბს, ყოველ ოდასა და ჯარგვალს, ყოველ ქვასა და კენჭს, რომელიც შეიძლება მომავალში ციხის კედლად იქცეს! ვულოცავ საკუთარი სამშობლოდან აყრილს, უცხოობაში განლტოლვილ ერს და სამშობლოში მალე დაბრუნებას ვუსურვებ! **გვახსოვდეს — დგება მეტად საშიში დრო კაცობრიობის ისტორიაში. ქართველი ხალხი უცხო მიწაზე ვერ გადარჩება. არ გაყიდოთ და არ გაასხვისოთ წინაპართა მამულები და ნაფუძნარები, დაბრუნდით და დაიკანონეთ ისინი, თორემ მერე გვიანი იქნება!**

ახალ წელს ვულოცავ ჩვენს **მწერალთა ეროვნულ აკადემიას** — ძვირფას მწერლებს, პოეტებს, პროზაიკოსებს, ეზოთერიკოსებს, მითოლოგებს, ფოლკლორისტებს, საკრალური ცოდნის მედიუმებს, რომლებიც ჯერ კიდევ ინახავენ ისტორიულ ცნობიერებას, გრძნობენ ერის მაჯისცემასა და პულსს.

ახალ წელს განსაკუთრებულად ვულოცავ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მთავარ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს,** რომელიც დროშასავით მიუძღოდა წინ სააკაშვილის სისხლში ჩაკლულ და საპყრობილეთა მორგებიდან ამდგარ ერს! ახლაც არანაკლებ სასტიკ ომში ვართ და თქვენი გაზეთი ისევ მედროშეა! კვლავ მართალ სიტყვას ამბობს ამ უთანასწორო, ტროლებით, ბოტებითა და ცილისმწამებელთა აღვირახსნილ ეპოქაში! **საბედნიეროდ, „ასავალ-დასავალი“ ერთადერთი გაზეთია, რომელსაც შეუძლია განგაშის ატეხა, რაიმეს გადარჩენა, მხარდაჭერა ან პროტესტი!**

ამათ, ამ მოღალატე ყორღანაშვილებს — საакიანებს, ლაგაზიძე-ვაშაძეებს, ბოკერია-გვარამიებს, ხოშტარია-ხაზარაძეებს, ჯაშუშ ტელევიზიებს და ბარბაროს ანგლოსაქსებს, ჩვენი დროის მონღოლოიდებს უნდათ საქართველოს კრწანისის დღე გაუთენონ, მაგრამ არ იციან, რომ კრწანისზე ქართველი ერი არ დამარცხებულა. ეს ქაჯები არ იცნობენ ქართველ ერს. **არაგვის ხეობის უძველეს ნაქალაქარ ჟინვალთან, უწინდელ ხერთვისთან ალამაჯმად ხანის ლაშქარს ფხოველთა მეომარი რაზმი შემოეყარა. ჩაქაფეს სპარსნი, ვითარცა დიყი და ზოგნი ტყვედ მიჰგვარეს ანანურს მყოფ ქართველთა მეფეს. საქართველომ და ქართველთა პატარა კახმა კრწანისი ჟინვალთან მოიგო!**

დავით აღმაშენებელმა ასეულათასიანი ილღაზის ურდო გააჩერა ევროპის კართან და შემუსრა იგი, რითაც იმ დროის მსოფლიო ცივილიზაცია გადაარჩინა! ასევე მოვიგებთ ამ ომსაც — დასავლელებისა და ევროლიბერასტების მონღოლოიდურ იერიშს საქართველოზე!

**— რუსთაველზე გამოსული ახალი თაობა მიიჩნევს, რომ ე.წ. ევროლიბერასტების განცხადებები არის საქართველოს მხარდაჭერა ევროპულ გზაზე...**

— ათიათასჯერაც რომ დამჭირდეს ამის თქმა, მაინც ვიტყვი — **ის, რაც დღეს ხდება, არის ჰომოსექსუალებისა და ენჯეოების აჯანყება, ანუ ქაჯების იერიში საქართველოში!** უწინ ჯალალედინს, შაჰ აბასს, თემურ ლენგს, უფრო ადრე კი ინდოევროპულ ბარბაროსებს სურდათ, ახლა ამათ სურთ საქართველოს დამარცხება ანგლოსაქსებთან ერთად!

**ეს არის ამერიკიდან და ევროპიდან ახალი იერიში ახალი იარაღით – ტროლებით, ბოტებით, ფეიკებით, ბარბაროსული ელექტრონული მედიით, სანქციებითა და ცილისწამებებით.**

სოდომში დაიმარხა თავი ევროპამ და უნდათ, რომ ჩვენც დაგვმარხონ!

ლიბერასტი ფაშისტები, „გაღვიძებული მონები“ კვლავ მონობისთვის ილტვიან და წირავენ სამშობლოს. კუზიანი აქლემივით მიჰყავთ გაბრიყვებული ახალგაზრდობა სიკვდილის უდაბნოში. სამწუხაროდ, ისინი ვერ ან არ აცნობიერებენ, რომ ქვეყანას უფსკრულის პირზე აყენებენ და შესაძლოა, გადაჩეხონ.

მავანნი ამბობენ, ნიჭიერი ახალგაზრდები არიანო. ნიჭიერი რომ იყვნენ, ასე არ მოექცეოდნენ საკუთარ ქალაქს. მე ვიტყოდი, ნიჭიერი და ხეპრე ახალგაზრდობაა, რეგვენი და შინაგანად უკულტურო, მოკლებულნი სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. მათ რაღაც და ვიღაც „სხვა“ უყვართ.

**— ამას ჩვენს ახალგაზრდობაზე ამბობთ, რომლებიც ევროპული მომავლის დასაცავად მზად არიან, თავი გაწირონ?**

— მოდით, სიმართლე ბოლომდე ვთქვათ — **ეს არის ხლისტი, უსამშობლო თაობა, რომელსაც სამშობლოს სიყვარულის განცდა ნაცისტურ-ლიბერალურმა რეჟიმმა და საგანმანათლებლო სისტემამ დააკარგვინა.**

რუსული საბჭოთა რეჟიმი ჩემმა თაობამ გაიყვანა აქედან და ახლა ეს ფსევდოევროპული პაპუასები თავისი ველური, უინტელექტო, გაუაზრებელი რევოლუციისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობით ქმნიან რუსული ჯარის კვლავ შემობრუნების პირობას. მონღოლებიც კი არ ებრძოდნენ ისე ქართულ კულტურას, ეკლესიებს, ქართველთა მენტალობას, როგორც ეს ლიბერალი სატანისტად ქცეული ევროპეიდი ანგლოსაქსები. ისინი ურწმუნოთა ცდომილ თაობას, ილიაუნებისა და ხუბუას სკოლებიდან



## „ბატონო ბიძინა, ის, რაც ამერიკამ დაგიწესათ, სანქცია კი არა, ჯილდოა თქვენი პატრიოტიზმისა და სამშობლოს მოვლისათვის!“

***გაგრძელება მე-8 გვერდზე***



# კობა არაბული:

# ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, არის ჰომოსექსუალებისა და ენჯეოების აჯანყება!

დასაწყისი მე-7 გვერდზე

გამოჩეკილ „ხიჩკოკის ჩიტებს“ აგლეჯინებენ საკუთარ სამშობლოს!

ამ დღეებმა ჯალალედინის შემოსევა გამახსენა, რამდენიმე წელი თამარ მეფის დანატოვარ, ბრწყინვალე ქალაქს რომ თხრიდა, ანგრევდა და აუპატიურებდა. ნაციონალ-ფაშისტმა „ჰიქსოსებმაც“ ყველაფერი მოანგრიეს დედაქალაქში, გამოიტანეს პროსპექტზე და ბარიკადებად დადგეს, თითიდან გამოწოვილი სიცრუით, შიდა და გარე ჯაშუშების წაქეზებით პარლამენტის შენობა ცეცხლის ალში გახვიეს.

ამ ყველაფრის შემყურე უმალ ხვდები, რატომ დაასანქცირეს თანამედროვე მონღოლებმა ქვეყანაზე მოფიქრალი მმართველი, რომელმაც ათასობით პატიმარი იხსნა სააკაშვილის საპყრობილეთა მორგებიდან, ხოლო განთავისუფლებული ციხეები პატიმართა სანატორიუმებად აქცია. დგანან დღეს ომის პარტიების ხმას აყოლილი ქართველი მონები და წყევლიან ადამიანს, რომელიც 21-ე საუკუნეში საქართველოს ღმერთმა მოუვლინა გადასარჩენად.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, პირადად მივმართო მას — **ის, რაც ამერიკამ დაგიწესათ, სანქცია კი არა, ჯილდოა თქვენი პატრიოტიზმისთვის, სამშობლოს მოვლისთვის, ერის, სახელმწიფოს მენტალობისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის.**

**— და მაინც, რას ეტყვით იმათ, ვინც ფიქრობს, რომ სწორედ ივანიშვილის მეთაურობით ხდება საქართველოს კურსის შეცვლა და რუსეთთან მიერთება?!**

— არ შეიძლება საკუთარი სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების ჩამოსაშლელად „მარშებით“ სიარული, ასეთი იდიოტური მიტინგომანია, რამაც შეიძლება გლობალური ომების პოლიგონზე გადაისროლოს ბეწვის ხიდზე მყოფი ქვეყანა! **არ შეიძლება ომი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ!**

**არ შეიძლება ახალი დროების ტროცკისტები, მაკკეინის პრემიის ლაურეატები გყავდეს ლიდერებად და თან ამბობდე, ამ ქვეყნის სუვერენიტეტს ვიცავთო! ყველა, ვინც ამ ვერაგულ, მოღალატურ პროცესში მონაწილეობს, მკაცრად უნდა დაისაჯოს და დაისჯება კიდევაც!**

დროა, ხელისუფლებამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადოს **სალომე ზურაბიშვილი.** ამაზე მეტი რაღა უნდა ჩაიდინოს, უღალატა და გაწირა საქართველო! ეს ქაჯების მოციქული, „ქვრივი ქაჯეთს გათხოვილი“ უნდა გაძევდეს ამ მიწიდან ან სააკაშვილის გვერდით მიისვას. აღარ არის ენის მოჩლექვით საუბრის დრო! უცხოეთის იმპერიებში, ახლანდელ ოქროს ურდოებში დასასმენად წასული ჩვენი ჯაშუშებისთვის ხელისუფლების პასუხი უფრო მკვეთრი და მკაცრი უნდა გახდეს! **არცერთი ქვეყანა არ მოითმენს ამ ტიპის ძირგამომთხრელ მასმედიას და არც უცხო ქვეყნების მიერ წაქეზებული ადამიანების პარპაშს ცენტრალურ გამზირზე, მოშარდვას მემორიალებზე.**

მსგავსი ანარქია და ქაოსი მიუღებელია ერის არსებობისთვის! თუ გვინდა, დავძლიოთ მონღოლოიდების შემოსევა, ჩვენი ხალხის, ერის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს ხელისუფლების დაცვა და მხარში დგომა. მარტო არ უნდა დავტოვოთ ამ მოძალადე იმპერიალისტების პირისპირ. კიდევ ერთხელ ვამბობ — ესოდენ გაძლიერებული ბოროტი და ამპარტავანი მტერი საქართველოს არასოდეს ჰყოლია, არ მახსენდება ციხის შიგნიდან გამტეხთა ასეთი ვერაგი, ყურის ძირში ჩასაფრებულ ჯაშუშთა კლასტერი.

**კარგია, რომ ჯერ კიდევ შესწევს ხელისუფლებას ძალა, დაიცვას ქართული სახელმწიფო, ქაჯების სახიფათო შეტევა მოიგერიოს, მაგრამ ეს დაცვა დიდხანს ვერ გაგრძელდება ინტელექტუალური, საკრალური ცოდნის, აკადემიების, ანუ ერის სულიერებისა და კულტურის დამცავი ძლიერი სამწერლო მეხამრიდების გარეშე.** ამდენად, დამდეგ წელს ხელისუფლების საზრუნავი, უპირველეს ყოვლისა, ეს თემა უნდა გახდეს, მან უნდა მოუსმინოს სულისა და გენების ჟღერას, რომელსაც მხოლოდ მწერლის საკრალური სიტყვა გადმოსცემს.

**მტკიცედ დექ, ჩემო სამშობლოვ, ერო და ბერო, ხელისუფალნო, მხედარნო, სარანგნო და მცველნო საქართველოისა!** დგება ქრისტეს ახალი წელი — სხვა დრო, სხვა მოვლენებით. უფალი და ღვთისმშობელი დაიფარავს ჩვენს ერს ისევე, როგორც ეს ხდებოდა ცუდი დროების ჩამოდგომის შემდეგ. ამას ამბობენ ხევსური ქადაგნიც — **აქ, ამ მიწაზე გადავრჩით საუკუნეთა წარღვნებში და აქ გადავრჩებით მომავალშიც!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***



## „დროა, ხელისუფლებამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადოს სალომე ზურაბიშვილი!“





*როდესაც ოპოზიციური ტელეარხის ჟურნალისტები დიდი სიამაყით ითვლიან აქციის დღეებს და „ქართული ოცნების“ დასასრულს აანონსებენ, გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი* ***ბონდო ქურდაძე,*** *რომელიც წლებია, საფრანგეთში ცხოვრობს, სანდო წყაროზე დაყრდნობით ძალიან საინტერესო ინფორმაციას ახმაურებს.*

# ბონდო ქურდაძე:

# ეს ამბავი სცენაზე თევზაობის დროს გამანდეს!

**— პირველ რიგში, როგორ ბრძანდებით, სამშობლოდან შორს?**

— რატომ შორს, საქართველო ძალიან მალე, რიხიანად, თავაწეული შემოაბიჯებს ევროპაში, დაგეგმილზე ბევრად ადრე, მაქსიმუმ, 3 წელიწადში, როგორც ყველაზე ღირსეული კანდიდატი. ამას მსოფლიოში მიმდინარე უდიდესი პოლიტიკური ცვლილებები დააჩქარებს, რომლებიც სწორედ ახლა ტრამპის სასახლეში მის მომავალ გუნდთან ერთად იხილება და წყდება.

საკმაოდ დამაიმედებელი ინფორმაცია მაქვს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

**— ჩვენც გაგვანდეთ, თუ შეიძლება?**

— არჩევნები იქნება უახლოეს ერთ წელიწადში. მისი ჩატარება განიხილება საქართველოს დროებით ოკუპირებულ რეგიონებში, აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების თანამონაწილეობით, საქართველოს ფედერალური მოწყობის აუცილებლობით. ტრამპის წარმომადგენლები არაოფიციალურად უკვე მოსკოვში არიან და პუტინისგან სრული მზაობა მიიღეს.

სიტუაციას ადგილზე შერეული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური პოლიციის შენაერთები გააკონტროლებენ ამერიკელი, რუსი და ევროპელი ინსტრუქტორების ზედამხედველობით. პროცესის დაწყებამდე იგეგმება შერეული ძალების დაჩქარებული მზადება საერთაშორისო სტანდარტებით. რუსეთი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიიღებს პორტებზე, რკინიგზებსა და ავტომაგისტრალებზე წვდომის საშუალებას. ამერიკა თანახმაა, საქართველოს დარჩეს ანაკლიის აქციების 51 პროცენტი გასხვისების უფლების გარეშე. ის ჩინეთთან ერთად მიიღებს პორტის მართვის თანაბარ უფლებას. საქართველო არ იზღუდება ევროინტეგრაციით, მაგრამ უარს ამბობს 25 წლის განმავლობაში ნატოში გაწევრიანებაზე. **რთულადაა საქმე უკრაინასთან მიმართებაში, მხარეები ცდილობენ კომპრომისული შეთანხმების მიღწევას ომის შეწყვეტის თაობაზე. დანარჩენს 20**

## კვირგვინოსნები



**ვოლოდიმირ ზელენსკი**

*უკრაინის პრეზიდენტი*

**აფხაზეთი არ ვითარდება,** პუტინს სურდა, **არ მიეცა მათთვის განვითარების საშუალება,** რადგან გაყინული კონფლიქტი ნიშნავს, რომ **არ მიგიღებენ ევროკავშირსა და ნატოში.** „პირველი არხი“



**ბიძინა ლებანიძე**

*იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის მკვლევარი*

რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ **ევროკავშირმა რუსეთისგან დაახლოებით 200 მილიარდის გაზი შეიძინა,** რაც ძალიან დიდი თანხაა. რუსეთი ევროპას თხევად გაზს ჯერ კიდევ მიაწვდის, ანუ **რუსული გაზით მომარაგებისგან გათავისუფლება მაინც ვერ ხერხდება.** „კვირის პალიტრა“



**სოზარ სუბარი**

*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

**ზელენსკის** მადლობას უხდიან, **ბიძინა ივანიშვილს** ასანქცირებენ! **ზელენსკის არცერთი სიტყვა უკრაინულად არ უთქვამს მანამდე, სანამ პრეზიდენტი არ გახდა, მთელი მისი მასხარაობა იყო რუსულად,** ამიტომ მას მშობლიურ ენაზე ვეტყვი, რომ რასაც აკეთებს, **ეს არის „ვისკაჩკობა“,** მის სიტყვას პატივს არავინ სცემს. „საქართველოს რესპუბლიკა“



**ვაჟა ბერიძე**

*ანალიტიკოსი*

შეიძლება, **პუტინი** ამ ომში ცალსახად ვერ იმარჯვებს, მაგრამ **უპირატესობა ნამდვილად აქვს.** გარდა ამისა, რომ რიგ ტერიტორიებს აკონტროლებს, **სამხედრო რესურსიც ჯერ უკრაინაზე მეტი აქვს.** „კვირის პალიტრა“



**მიხაილო პოდოლიაკი**

*უკრაინის პრეზიდენტის ოფისის მრჩეველი*

საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა **არ არის დაინტერესებული იმ პოლიტიკით,** რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს. „იმედინიუსი“

# „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, მოვა დრო და ირაკლი კობახიძე ევროსტრუქტურების უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდება!“



იანვრის შემდეგ ოფიციალურად შეიტყობთ.

**— საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?**

— სცენაზე თევზაობის დროს კარგა ხნის ნაცნობმა, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა პოლიტოლოგმა გამანდო და მთხოვა, გარკვეულ დრომდე მისი ვინაობა საჯარო სივრცეში არ გამემხილა. ამას მიყვება ადამიანი, რომელიც სხვადასხვა მისიებში მრავალჯერ არის წარგზავნილი შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, ესპანეთსა თუ იტალიაში, ერთი სიტყვით, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში. თავისუფლად ლაპარაკობს ფრანგულად, ინგლისურად, რუსულად, ესპანურად, იტალიურად, ესმის ჩინური და იაპონური. სამჯერაა ჩვენს ქვეყანაში ნამყოფი, გიჟდება ჩვენს ღვინოსა და ნადიმზე, აღფრთოვანებულია ქართული ხალხური სიმღერებითა და ანბანით.

ძვირფასო ნატალი, ინტერვიუზე შეთანხმების შემდეგ, წვიმიანი ამინდის მიუხედავად, საღამოს საათებში შეხვედრაზე კვლავ დავითანხმე, სუვენირად **პაატა ნაცვლიშვილის** მიერ ჩამოტანილი ორი ბოთლი ქართული ღვინო გავიყოლე, რასაც მოჰყვა საფრანგეთ-საქართველოს სადღეგრძელო და ზღვა ინფორმაცია.

**— მაინც?**

— ამერიკის ახალი ადმინისტრაცია რევიზიას ჩაუტარებს ენჯეო სექტორში გახარჯულ სახსრებს. საჭიროების შემთხვევაში გაასაჯაროვებს და ამხელს **ბაიდენის ადმინისტრაციას,** თუ რაში ურიცხავდნენ მილიონებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების — რუმინეთის, მოლდავეთის, ბულგარეთის, უკრაინის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების არასამთავრობოებს. **ილონ მასკის** სახით საქართველომ დიდი მეგობარი შეიძინა. ჩვენი ქვეყნისადმი კეთილად არის განწყობილი ახალი ადმინისტრაციის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში **მაიკლ ვოლსიც. ორბანს** განსაკუთრებული მისია აკისრია საქართველოსთან მიმართებაში. **ტრამპს** უკვე გადასცა ოპოზიციის ადრეული გამონათქვამების სინქრონული თარგმანი.

**— ანუ აქციის მონაწილეების მსგავსად არ ფიქრობთ, რომ საქართველომ ევროპულ გზას გადაუხვია და თუ ამ გზით სიარულს გავაგრძელებთ, ჩვენი საშველი არ არის?!**

**– საქართველოს ხელისუფლებამ ევროპულ გზას კი არა, სააკაშვილის, ადეიშვილის, ბოკერიას, ვაშაძის, გვარამიას არაკაცურ და არაქართულ გზას გადაუხვია.**

## „ბიძინა ივანიშვილი გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ გახდება მეორე ისტორიული პირი, ვინც შეძლებს ქვეყნის უსისხლოდ გაერთიანებას!“

საქართველომ მეთორმეტე წელია, უარი თქვა ნაცსექტურ-სატანისტურ გზაზე, ქვეყანას ჯოჯოხეთისკენ რომ მიაქანებდა. თბილისის საშობაო მსვლელობამ მსოფლიოს უჩვენა სიკეთის კეთების გზა, ჭეშმარიტი ევროპული ფასეულობა. ვისაც ეს სიუჟეტი ვუჩვენე პარიზში, გაოცებისგან „ბრავოს“ ძახილით ტაში შემოჰკრა. ამას მე ვამბობ, „ოცნების“ ბიუროკრატიაზე განაწყენებული კაცი, დღემდე გადავარცხნილ ნაცსექტის ყოფილ ფუნქციონირებს ფინანსთა სამინისტროში დაბლოკილი რომ აქვთ ჩემი № 644 ბინათმშენებლობის კოოპერატივი, მაგრამ ქვეყნის ინტერესებზე წინ პირადულს არ დავაყენებ. როგორ ფიქრობთ, ნამდვილ ევროპელს ქველმოქმედი მოეწონება თუ მოძალადე?

1988 წლის ნოემბრიდან ყველა მიტინგში ვმონაწილეობდი. მიკროფონით პრესას საყოველთაო გაფიცვისკენ მოვუწოდებდი. ნახეთ მაშინდელი ფოტოები, ფოთოლი არ ჩამოგვიგდია ხიდან. ახლა ორივე მხარეს იდგნენ ჩემი ახლობლების შვილები.... ცუდია, როცა ფარაფარებულ პოლიციას პიროტექნიკას და ქვებს უშენ, უშვერი სიტყვებით აგინებ. არც სპეცრაზმელების ძალის გადამეტებას აქვს გამართლება. აი, დიდი **ერეკლე მეფე** რომ ყოფილიყო ცოცხალი, შორიდან მაცქერალ მათ დამფინანსებელ **ჭუჭუ ვაშაძეს** და **ნიკუტა გვარამიას** ნიფხვებს ჩახდიდა და საჯაროდ გაროზგავდა, ზედ **ლევან ბერძენიშვილსაც** მიაყოლებდა გასაგები მიზეზების გამო.

**— ფაქტია, რომ დღეს არამარტო აქციის მონაწილეები, არამედ დასავლელი ლიდერები თუ ევროპარლამენტარები, ყველანი ერთხმად გმობენ „გაყალბებულ არჩევნებსა“ და ხელისუფლების ძალადობას საკუთარ ხალხზე, მეტიც, ბიძინა ივანიშვილს ასანქცირებენ!**

— გარწმუნებთ, **ბიძინა ივანიშვილის** მიმართ დაწესებული სანქციები დიდი ჯილდოა მისთვის, ისეთივე, როგორიც გაზეთ „შანსის“ რედაქციისთვის 90-იან წლებში, მართალი სიტყვისთვის სისხლში რომ აბანავა „მხედრიონმა“. მათ ყველას პირი პოლიტიკური სამარისკენ აქვთ და უნდათ, „ოცნებაც“ თან გაიყოლონ!

**— რას იტყვით ახლად არჩეულ პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილზე?**

— პატრიოტი კაცია. საქართველოს და რუსეთის ჩემპიონს არ გაუჭირდება პრეზიდენტის რანგში ღირსეული პოზიციის დაჭერა საქართველოს გაერთიანების საკითხზე რუს კოლეგასთან.

ზოგადად, მშვენივრად გამოიყურება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება.




## „ამერიკის ახალი ადმინისტრაცია რევიზიას ჩაუტარებს ენჯეო სექტორში გახარჯულ სახსრებს!“

**როდესაც ფულზე გაყიდული ოპოზიცია და მდიდარი არასამთავრობოები ქართველი ხალხისთვის ვიზალიბერალიზაციის გაუქმებისთვის და დიდი ქველმოქმედის დასანქცირებისთვის ევროსტრუქტურებში ძუკნა ძაღლებივით დარბოდნენ, როგორც ჩემი თანამოსაუბრისგან შევიტყვე, მაშინ ბიძინა ივანიშვილი დონალდ ტრამპის საარჩევნო მხარდაჭერის გზებზე ფიქრობდა**

და საქართველოს ხვალინდელ დღეზე გზავნილებს აგზავნიდა მისთვის საიმედო გზებით. დარწმუნებული ვარ, „გამჭვირვალობის“, „ოჯახური ღირებულებების კანონის“ და კობახიძის ცნობილი განცხადების თაობაზე, რომელმაც ამდენი ვნებათაღელვა გამოიწვია, ტრამპის გარემოცვაში ბევრად ადრე იცოდნენ.

**დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, მოვა დრო და ირაკლი კობახიძე ევროსტრუქტურების უმნიშვნელოვანესი ფიგურა გახდება.** ჩემი აზრით, **შალვა პაპუაშვილი, კახი კალაძე, ირაკლი ღარიბაშვილი, მამუკა მდინარაძე** ოჯახში აღზრდილი და სამშობლოს მოყვარული, გულანთებული ბიჭები არიან.

**— ხვალ რომ გაზეთი „შანსი“ იბეჭდებოდეს, რა იქნებოდა თქვენი, როგორც მთავარი რედაქტორის, მთავარი განაცხადი?**

— **ბიძინა ივანიშვილი** გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ გახდება მეორე ისტორიული პირი, ვინც დაუნდობელ 21-ე საუკუნეში შეძლებს ქვეყნის უსისხლოდ გაერთიანებას! დიახ, ამას ვამბობ მე, გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი პარიზიდან 2025 წლის 9 იანვარს!

*ესაუბრა* **ნატო ფოცხიშვილი**

## კვირგვინოსნები

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



ვფიქრობ, **საამაყოა, როდესაც სანქცირდები იმისთვის, რომ იცავ შენი ქვეყნის ინტერესებს** და მეორე პლანზე აყენებ პირად ინტერესებს.

„აიპრესი“

**ზურაბ მანჯავიძე**
*მუსიკოსი*



ეს **„მორალურად მყარი ადამიანები“** დღეს რომ თავისი ჭკუით გვაბულინგებენ, **მაშინ ჩირგვებში იმალებოდნენ,** ყველაფერი კარგად იცოდნენ და ხმას არ იღებდნენ, რადგან ეს მათთვის მომგებიანი არ იყო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



არ ჩანს იმის განწყობა, რომ **ომის დამთავრების შემდეგ** ვინმე აპირებდეს ტრილიონების დახარჯვას, რათა უკრაინა მყისიერად ააყვავონ. **ტრამპი არაფერს გააკეთებს, თუ ამერიკა არ ნახავს ეკონომიკურ სარგებელს.**

„თბილისელები“

**გია ნოდია**
*პოლიტოლოგი*



2024 წელი **კალენდარულად** დამთავრდა, მაგრამ **პოლიტიკურად** — არა.

„ახალი თაობა“

**ნაირა გელაშვილი**
*მწერალი*



საქართველო **მსოფლიო საგიჟეთის** ერთი ძალიან მძიმე **ფილიალია.**

„კვირის პალიტრა“



# გოჩა ჯოჯუა: ჩემი ძმა – კანონიერი ქურდი გელა ჯოჯუა დაიჭირეს, რადგან ქვეყნის დატოვება ვერ მოახერხა!

***19 დეკემბერს, გამთენიისას, სამართალდამცველებმა ავლაბრის ტერიტორიაზე ხელმეორედ დააპატიმრეს კანონიერი ქურდი გელა ჯოჯუა, რომელიც რამდენიმე დღით ადრე სასამართლოს განაჩენის საფუძველზე გათავისუფლდა და 5 დღის განმავლობაში ძმის — ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარის, სამგზის პარლამენტარისა და ეროვნული მოძრაობის აქტიური წარმომადგენლის გოჩა ჯოჯუას საოჯახო სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ცხოვრობდა.***

**გოჩა ჯოჯუა:** — სამართალდამცველები ჩემს ძმას **გელა ჯოჯუას** იარაღის და დიდძალი ნარკოტიკის შეძენა-შენახვას ედავებიან, თუმცა, იმთავითვე ცხადია, რომ ეს ყალბი ბრალდებაა. საქმის მთავარი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ **გელა ჯოჯუა** კანონიერი ქურდის სტატუსის მატარებელია და არაოფიციალური საშუალებებით სახელმწიფო ასეთი სტატუსის მქონე ადამიანებს, თუნდაც დანაშაული არაფერი ჰქონდეთ ჩადენილი, აპატიმრებს ან სამშობლოდან დევნის. საქართველოს საზღვრებში იძულებით შემოსული **გელა ჯოჯუა** მოსამართლემ უდანაშაულოდ ცნო და 9-თვიანი პატიმრობის შემდეგ დარბაზიდან გაათავისუფლა. ამის მიუხედავად, სამართალდამცველებმა პრინციპულად მოგვთხოვეს, გელას დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო. მოთხოვნის ნაჩქარევად შესრულება ვერ მოვახერხეთ და სამართალდამცველებს შევპირდი, რომ უცხოეთის რომელიმე ქვეყანაში ჩემი ძმის დასაბინავებლად რაიმე საშუალებას მოვიძიებდი, მანამდე კი ავლაბარში მდებარე საოჯახო სასტუმროში, ფაქტობრივად, ჩემს საკუთარ ოჯახში დავაბინავებდი და თავდები ვიქნებოდი, რომ არანაირ კანონდარღვევას არ ჩაიდენდა. არ გვაცალეს. გელა გაყალბებული და ისეთი საზარელი ბრალდებით დააკავეს, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს!

**— როდის და რა ვითარებაში გახდა გელა ჯოჯუა კანონიერი ქურდი?**

— საინფორმაციო საიტი „კრაინ-პრაიმი“ იუწყება, რომ **გელა ჯოჯუამ** კანონიერი ქურდის სტატუსი 1992 წელს რუსეთში, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მიიღო. მას მერე მხოლოდ 2 წელი ცხოვრობდა საქართველოში, თუმცა, აქ არასოდეს დაკისრებია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 1995 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა და თითქმის 30 წლის განმავლობაში საერთოდ არ ყოფილა სამშობლოში. ოდესმე არც უცხოეთიდან ჩარეულა საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში უკანონო ფორმით. ერთი თვის წინ, 13 დეკემბერს, მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლიას** მიერ **გელა ჯოჯუას** გათავისუფლების განაჩენს საფუძვლად სწორედ ის მოტივაცია ედო, რომ არავითარი ბრალეულობა და კრიმინალური ქმედება საქართველოს ტერიტორიაზე არასოდეს განუხორციელებია, მეტიც, საქართველოს კრიმინალურ ცხოვრებაში მისი სახელი ან მონაწილეობა არასოდეს დაფიქსირებულა. 15 წელზე მეტია, ნარკოტიკებთან შეხება არ ჰქონია. უფრო რელიგიურად ცხოვრობს და ხშირად იმყოფებოდა მონასტერში, მარხულობდა და ეზიარებოდა. გელასაც და მეც სხვადასხვა დროს ჩვენ-ჩვენი ტრიბუნებიდან არაერთხელ გვითქვამს, რომ **კანონიერი ქურდის სტატუსის მქონე ადამიანი პოლიტიკაში არ უნდა მონაწილეობდეს.**

**— რატომ არის ხელისუფლება ასე მონდომებული, რომ თუნდაც უდანაშაულო კანონიერი ქურდი საქართველოს საზღვრებში არ იმყოფებოდეს?**

— თავიდან სააკაშვილის ხელისუფლებამ მიიღო კანონი, რომელიც, შესაძლოა, სახელმწიფოებრივად გამართლებულიც იყო, მაგრამ მეტისმეტად სასტიკი გახლდათ, რადგან კანონიერ ქურდებს დანაშაულის ჩაუდენლობის შემთხვევაშიც კი არ უტოვებდა თავისუფლებაზე ყოფნის შანსს — **კანონიერი ქურდის სტატუსი უკვე იყო სანქცია, რის შესაბამისადაც იგი აუცილებლად ციხეში უნდა მჯდარიყო.** შეიქმნა ისეთი პარადოქსი, რომ ამ მუხლით სასჯელის მოხდის შემთხვევაშიც კი, როდესაც ქურდი უნდა გაეთავისუფლებინათ, ციხის კარში გასვლისთანავე მას ხვდებოდა პოლიციელი შეკითხვით — **აღიარებდა თუ არა თავს კვლავაც კანონიერ ქურდად** და დადებითი პასუხის შემთხვევაში, იქვე განმეორებით აპატიმრებდა.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიშალა. კანონიერი ქურდის სტატუსით დაპატიმრება სინდისის თავისუფლების შებღალვას გაუტოლდა, რადგან ადამიანს კონკრეტული დანაშაულის კი არა, აზრის გამო აპატიმრებდნენ!

ახალმა ხელისუფლებამ ძველი კანონი მნიშვნელოვნად შეცვალა. ამჟამად, გარდა იმისა, რომ თავს **კანონიერ ქურდად** მიიჩნევს, პირი რომ დაისაჯოს, კონკრეტული ქმედებაც (ქურდული შეკრება, ქურდული საერთოს მოგროვება, ქურდული გარჩევა და ა.შ.) უნდა ჰქონდეს ჩადენილი და სამართალდამცველებს ამის დამადასტურებელი ოპერატიული ინფორმაცია უნდა მოეპოვებოდეთ. **მაგრამ დამკვიდრდა არაოფიციალური პრაქტიკა, რისი მიხედვითაც, კანონიერ ქურდს საქართველოში არ დაედგომება** — ან სტატუსზე უნდა თქვას უარი, ან ქვეყანა დატოვოს. **გელა ჯოჯუას** არც ეს პრაქტიკა დაურღვევია. მთელი ძალისხმევით შეეცადა საქართველოს დატოვებას, უბრალოდ, ვერ მოახერხა!

**— ამბობთ, 30 წელი გელა ჯოჯუა საქართველოში არ ყოფილაო, მაგრამ ამჯერად რა მიზნით ჩამოვიდა და პატიმრობაში როგორ აღმოჩნდა?**

— გელას საქართველოს მოქალაქეობა არასოდეს დაუთმია, მაგრამ ჯერ — მოსკოვში, მერე, ძირითადად, უკრაინაში, ასევე პოლონეთსა და თურქეთში ცხოვრობდა. უკრაინაში მოხდა ინციდენტი, რამაც ამჟამინდელ მდგომარეობაზეც მოახდინა გავლენა. ბიოგრაფიაში **მწვანე ცირკულარი** დაუფიქსირეს. ეს არ არის **წითელი ცირკულარი,** რომლის ფარგლებშიც ადამიანი უნდა დაიჭირონ, მაგრამ ნიშნავს, რომ კრიმინალური წარსულის გამო მოცემულ ქვეყანაში **არასასურველ სტუმრად** მიიჩნევა. ამგვარად, ადამიანი არაოფიციალურად დევნილი ხდება მთელ იმ სამყაროში, რომელიც ჩვენ დემოკრატიულად მიგვაჩნია...

რადგან საქართველოში არ ჩამოესვლებოდა, გადაწყვიტა შვილთან — **ლიანასთან** ერთად თურქეთიდან დროებით ჰოლანდიაში წასულიყო საცხოვრებლად ჩვენს მამიდაშვილებთან, რომლებიც ჰოლანდიის მოქალაქეები არიან. შეგახსენებთ, **გელას** ქალიშვილი **ლიანა ჯოჯუა** ცნობილი სპორტსმენია — **შერეულ ორთაბრძოლებში პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ბრძანდება.** თურქეთის საემიგრაციო სამ-



„გელას არასოდეს უცდია, კანონიერი ქურდის სტატუსი ქონების დაგროვების ან შემოსავლის წყაროდ ექცია!“

გელა ჯოჯუა შვილთან – აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატის (UFC) მებრძოლ ლიანა ჯოჯუასთან ერთად

## კვირგვინოსნები



**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ფედერალისტების“ ლიდერი*

**სააკაშვილის, ხაზარაძის და გვარამიას** ლაქუცის ნიშნით შერჩეულმა ხალხმა რა პარტიობა უნდა გასწიოს **ან პოლიტიკოსობა როგორ უნდა შეძლოს?** ეს წარმოუდგენელია! **არსებული ოპოსისტემა უნდა დაიფერფლოს!**

„პირველი არხი“



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

მას შემდეგ, რაც **ხაზარაძემ,** აგრეთვე **ნაცმოძრაობამ და გახარიამ** გაგვახარეს პარტიული დაფინანსების მიღებით, რაც **არალეგიტიმური პარლამენტის აღიარების ტოლფასია,** ამჯერად ბანკირს დაქვემდებარებულმა **„ტვ პირველმა“** ანუ **ხაზარვიზიამ,** გახსნა პოლემიკა, თუ **რომელია ლეგიტიმური პრეზიდენტი.**

„იმედინიუსი“



**მამუკა ხაზარაძე**
*„ძლიერი საქართველოს“ ლიდერი*

2024 წელი იყო გარდამტეხი, **დაიბადა ახალი სამოქალაქო საზოგადოება,** რომელიც არასდროს შეეგუება მონობას, დიქტატს და თავისუფლების წართმევას — **2025 წელს შევცვლით რუსულ ხელისუფლებას.** „ინტერპრესნიუსი“



**ნინო კალანდაძე**
*„ჭავჭავაძის ცენტრის“ დირექტორი*

დღეს, რეალურად, **ოპოზიცია დისკრედიტებულია.** სანქციები **ივანიშვილის** ფინანსურ და კორუფციულ **ძალაუფლებას მოარყევს.**

„ახალი თაობა“



**სეიმონ ჯანგულაშვილი**
*საზოგადოება „ქართულის“ თანადამფუძნებელი*

არ არსებობს სიბინძურე, **რაც ნაცი პოლიტიკოსების თავში არ მოიხარშება და რასაც არ იკადრებენ,** ოღონდ ისევ გამეფდნენ საქართველოში.

„იმედინიუსი“

**„ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც ძველი დრო-ჟამიდან გამომდინარე, აუცილებლად ექნებოდა კანონზომიერი შეხება ქურდულ სამყაროსთან, უთუოდ კარგად მოეხსენება ამ სამყაროს პრინციპები და მინდა, იცოდეს, რომ ჩემი ძმა გელა ჯოჯუა არც პირადად მისი, არც საქართველოს სახელმწიფოს და, მითუფრო, არც ქართველი ხალხის მტერი არასოდეს ყოფილა!“**



საზურმა **გელა** ანტალიის აეროპორტში საპასპორტო რეჟიმის დარღვევის გამო დააკავა და რადგან საქართველოს მოქალაქე იყო, დეპორტაცია საქართველოში გაუკეთეს. **ლიანამ** თბილისის აეროპორტში საზღვარი შეუფერხებლად გადმოლახა, გელას კი ამცნეს — თუ საზღვარს გადმოკვეთდა, დაიჭერდნენ. ამიტომ თბილისის აეროპორტის ნეიტრალურ ზონაში დარჩენა მოუწია. მისგან ისტერიულად ითხოვდნენ, უცხოეთისკენ ნებისმიერ რეისს გაჰყოლოდა. ჩინეთში ან ირანში გაფრენილიყო, სადაც **მწვანე ცირკულარს** ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, მაგრამ ამ ქვეყნებში ჩემს ძმას არანაირი დასაყრდენი არ გააჩნია — სად ან რა სახსრებით უნდა ეცხოვრა, მისი ერთადერთი შემოსავალი ხომ შვილის სპორტულ კარიერას უკავშირდება!

გაგიკვირდებათ, მაგრამ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, **გელას არასოდეს უცდია, კანონიერი ქურდის სტატუსი ქონების დაგროვების ან შემოსავლის წყაროდ ექცია.** ჩინეთსა და ირანში არ წავიდა, მაგრამ სხვაგან გასამგზავრებლად მცდელობა არ დაუკლია — 1 კვირა ცაში გაატარა, ლიანასთან ერთად — ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, ერთხელ კი ემირატებშიც ჩაფრინდა, სადაც ლიანას მწვრთნელად მუშაობას სთავაზობდნენ. სადაც არ ჩავიდა, უკან, საქართველოში აბრუნებდნენ.

ლიანამ 6 ათასი დოლარი მარტო ამაო ფრენებში დახარჯა და ბოლოს, როცა მატერიალური საშუალება ამოეწურა, **გელა** იძულებული გახდა, თბილისში საქართველოს საზღვარი გადმოელახა. რა თქმა უნდა, მაშინვე 223-1 მუხლის მეორე ნაწილით დააპატიმრეს, რაც **„კანონიერ ქურდობას“** გულისხმობს და ციხეში გადაიყვანეს, სადაც გამოძიებისთვის განკუთვნილი 9 თვე გაატარა. გამოძიების მსვლელობაშივე იკვეთებოდა, რომ საქმე გათავისუფლებით დასრულდებოდა, რადგან დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებოდა. **სასამართლოზე დამსწრე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა არაერთხელ გაგვაგონეს, რომ, როგორც კი გათავისუფლდებოდა, სასამართლო დარბაზიდან პირდაპირ აეროპორტში უნდა წასულიყო, საქართველოდან ნებისმიერი მიმართულებით გასაფრენად.**

**— ოჯახს რა პოზიცია გქონდათ?**

— ვითხოვდით, მცირე ხანს ეცლიათ, რათა რომელიმე ქვეყანაში მისთვის საცხოვრებლად კერა შეგვემზადებინა. სახელდახელოდ სად უნდა წასულიყო?! სამართალდამცველებს ვპირდებოდი, სახლში წავიყვან და გამგზავრებამდე გარეთ არ გამოიხედავს-მეთქი. გაგონებაც არ სურდათ, დაჟინებით იმეორებდნენ — **დაუყოვნებლივ თუ არ გაფრინდება, ახალ საბაბს შევქმნით უკვე ხანგრძლივად დასაპატიმრებლადო.** ისეთი გარემოება შეიქმნა, **გელამ** მოსამართლეს მიმართა — მირჩევნია, ფორმალურად შეურაცხყოფა მოგაყენოთ და ამ საფუძველზე გამიხანგრძლივოთ პატიმრობა, ვიდრე გათავისუფლების მერე რაიმე ჩამიდონ და განმეორებით დამიჭირონო... მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლიამ** სამართლიანი განაჩენი გამოიტანა — **გელა ჯოჯუა** სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა, რითაც ცხადი გახდა, რომ სასამართლო სისტემა ამ ქვეყანაში ბოლომდე უსამართლო ნამდვილად არ არის!

საოჯახო სასტუმროში, სადაც ოჯახთან ერთად მეც ვცხოვრობ და სადაც ძმა წავიყვანე, სათვალთვალო კამერები საკმაო რაოდენობითაა. ვივარაუდე, სასტუმროში მისთვის რაიმეს ჩადებას ვერ გაბედავდნენ, ბოლო-ბოლო, შობამდე გვაცლიდნენ, ამასობაში კი რომელიმე ქვეყანაში გელას დასაბინავებლად პირობებს შევამზადებდით. **არ დაგვცალდა!**

**— გათავისუფლებიდან ხუთიოდე დღეში ის თქვენივე ოჯახში იარაღისა და ნარკოტიკების ბრალდებით დააპატიმრეს. როგორ მოხდა ეს ამბავი?**

— თავიდანვე გითხარით, რომ ეს ბრალდება სრულიად აბსურდულია. გელას ჩემი ოჯახური სასტუმროდან ფეხი არ გაუდგამს. კარგად იცოდა, რომ ლუპით აკვირდებოდნენ, ნებისმიერი მიზეზით მის დაპატიმრებას აპირებდნენ და საკუთარი თავის მტერი უნდა ყოფილიყო, იარაღის ან 25 გრამი კოკაინის შოვნა დაეპირებინა, მითუმეტეს, რომ ნარკოტიკს ისედაც არ ეკარება. ანდა რატომ ჩაიდებდა სპორტული შარვლის ჯიბეში ჟანგიან „ნაგანს“, როცა სახლში კანონის დაცვით გაფორმებულ რამდენიმე საუკეთესო იარაღს ვინახავ?! მეტსაც გეტყვით — სტუმრის ამპლუაში სასტუმროში პოლიციის აგენტი რომ დასახლდა, ისიც გამოვიცანით. ვამბობდით — დაე, თვალი ადევნოს, დაე, სამართალდამცველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ **გელა** სახლიდან ფეხს არ იცვლის და არანაირ დანაშაულს არ იდენს. არადა, აგენტი, თურმე, იმისთვის სჭირდებოდათ, რომ სასტუმროში შემოსაჭრელად პოლიციისთვის კარი გაეღო ელექტრონული ტაბელით, რომელიც მხოლოდ სასტუმროს კლიენტებს გააჩნიათ.



*გელა ჯოჯუა*

**— თქვენი ვერსიით, ნარკოტიკი და იარაღი ჩაუდეს?**

— ვინმეს ხომ უნდა შემოეტანა ნარკოტიკიც და იარაღიც და კამერებს როგორ გამოაპარებდნენ? ამიტომ ჩადებითაც კი არ შეუწუხებიათ თავი. მე ხელი მომაწერინეს, რომ კრიმინალური პოლიციის მიერ ჩემს მფლობელობაში არსებულ სასტუმროში იქნა ადამიანი დაკავებული და კიდევ იმაზე, რომ მიაქვთ სათვალთვალო კამერების მონაცემები.

## სიტყვაც არ დაუძრავთ, რომ იარაღი ან ნარკოტიკი აღმოაჩინეს. ნივთმტკიცებები მხოლოდ ფურცელზეა, რეალურად არც არსებობს და არც არავის უნახავს!

ფირზე მაინც ხომ უნდა დაეფიქსირებინათ ჩხრეკა? მსგავსი არაფერი გვსმენია! გულისტკივილით მინდა, ვურჩიო გამომძიებლებს, რომლებიც ამ მომენტში შესაძლოა, მტკიცებულებებს აყალბებენ — ამას ნუ გააკეთებენ იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც მარხვაზეა და სიგარეტსაც არ ეკარება! გამოვრიცხავ, შს მინისტრი **ვახტანგ გომელაური** ამ უკანონობის საქმის კურსში იყოს. ვფიქრობ, უფრო დაბალ რგოლებში მოხდა ჩემი ძმის დასაკავებლად ყალბი საფუძვლების მომზადება. სისხლის სამართლის კოდექსი ამჟამად საკმაოდ სრულყოფილია, რათა კანონიერი ქურდი სამართალდამცველებმა შეთითხნილი კი არა, კანონიერად მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციის და მტკიცებულებების საფუძველზე დააკავონ, როცა იგი დანაშაულს რეალურად სჩადის! მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან არაოფიციალური განკარგულება — **არ დაუშვას კანონიერი ქურდის თავისუფლებაზე ყოფნა** — პოლიციელსაც გამოსავალს აღარ უტოვებს, იძულებულს ხდის, დარღვევაზე და ჩადებაზე წავიდეს. ადამიანის დაჭერა, თუნდაც სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარეობდეს, იურიდიულად გამართული ფორმით უნდა ხდებოდეს. **ჩადების პრაქტიკა თუ არ მოიშალა, სამართლიანი სახელმწიფო ვერასოდეს შედგება.**

**— ახლა რას აპირებთ?**

— მინდა, სამართალდამცველებს ხმა მივაწვდინო, რომ არაფერს ვერჩით და ვპატიობთ უკანონობას, რაც **გელასთან** მიმართებაში ჩაიდინეს. ყალბი მტკიცებულებებით ისეთი საქმის შეკერვა უწევთ, რომელიც სახელმწიფოს ტვირთად დაედება და ოდესმე აუცილებლად ჩამოეშლებათ. ვიდრე შეტოპავენ, მათთვისაც ჯობს, იპოვონ ყველასთვის უწყინარი ფორმა უდანაშაულო **გელა ჯოჯუას** გასათავისუფლებლად. მეც და ჩემი ძმაც ანგარიშს ვუწევთ ქვეყანაში მიმდინარე მძაფრ მოვლენებს, არანაირად არ გვსურს, გელას უდანაშაულოდ დაპატიმრება მარგინალურმა ჯგუფებმა თითზე დაიხვიონ. ამით ისევ და ისევ საქართველოს ინტერესები დაზიანდება!

**ბატონ ბიძინა ივანიშვილს,** რომელსაც ძველი დრო-ჟამიდან გამომდინარე, აუცილებლად ექნებოდა კანონზომიერი შეხება ქურდულ სამყაროსთან, უთუოდ კარგად მოეხსენება ამ სამყაროს პრინციპები და მინდა, იცოდეს, რომ ჩემი ძმა **გელა ჯოჯუა** არც პირადად მისი, არც საქართველოს სახელმწიფოს და, მითუფრო, არც ქართველი ხალხის მტერი არასოდეს ყოფილა. **მას ქართველი სამართალდამცავთათვის პრობლემა და დილემა არასოდეს შეუქმნია,**

## „მას ქართველი სამართალდამცავთათვის პრობლემა და დილემა არასოდეს შეუქმნია!“

## საქართველოში შემოსვლა იძულებით მოუნია და სამშობლოს საზღვრებს მაშინვე დატოვებს, როგორც კი ობიექტურად საშუალება მიეცემა. ამის პირობას ვიძლევი პირადად მე, გოჩა ჯოჯუა, როგორც გელა ჯოჯუას ღვიძლი ძმა, როგორც სამგზის პარლამენტის წევრი, როგორც ჩემი სამშობლოსა და სახელმწიფოს ერთგული მსახური და პატრიოტი!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

### გიორგი გამსახურდია
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



ნაცსექტა და მათი სატელიტები **აკრიტიკებენ პატრიარქის ეპისტოლეს და ლიტურგიაზე მთავრობის წევრების მიწვევას.** თითქოს მამაკაცთა გამაუპატიურებელი სექტა უნდა მიეწვია ან კიდევ ეკლესიის დამრბევები.

„აიპრესი“

### სოსო მანჯავიძე
*პოლიტიკოსი*



ჯერ კიდევ 2013-2014 წლებში ვამბობდით, რომ ნატოს გაფართოების მცდელობით შეიქმნებოდა **რუსულ-ჩინურ-ირანული დროებითი ალიანსი** და საქმე შეიძლება, მივიდეს **თერმობირთვულ ომამდე.** ეს განპირობებულია გეოპოლიტიკური კანონზომიერებით და **ამ პროცესს ვადევნებთ ჩვენ ახლა თვალს.**

„თბილისელები“

### გიორგი გურგულია
*მსახიობი*



2008 წელს, ომის პერიოდში დაიწყო ჩემს ცხოვრებაში არეულობა. **სააკაშვილის დროს მიწა გვქონდა, ინვესტორი გვყავდა, მაგრამ წაგვართვეს ის მიწა.** დღემდე დაუსრულებელი ისტორიაა. იმის მერე დაიწყო ჩემი პრობლემები და დღემდე გრძელდება. **ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაფერი გააკეთა ჩემს დასაბლოკად იმიტომ, რომ არ ვიყავი მათი გულშემატკივარი.**

„თბილისელები“

### მირიან მირიანაშვილი
*ანალიტიკოსი*



ერთი შეკითხვა მაქვს — **რატომ მინელდა ლაპარაკი ოპოზიციის მიერ სიის განულების შესახებ?** ჩანს, ეს საკითხი მორიგებით გადაწყვიტეს ხელისუფლებამ და ოპოზიციამ. **დიდი ალბათობით, ისინი შევლენ პარლამენტში,** უბრალოდ, მიტინგების მინელებას ელოდებიან.

„კვირის პალიტრა“

# გელა ნიკოლაიშვილი:
# კანონში შევიდა ცვლილებები, რაც მარგინალებს აქციების ძალადობაში გადაზრდის შესაძლებლობას ართმევს!



***ინაუგურაციის დღესვე პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ხელი მოაწერა კანონებს, რომლებსაც ლიბერასტული ოპოზიცია რეპრესიულს უწოდებს. რა სიახლეებია კანონმდებლობაში და როგორ აფასებენ ამ სიახლეებს ობიექტური იურისტები? ამის შესახებ უფლებადამცველ გელა ნიკოლაიშვილს ვესაუბრებით:***

— პრეზიდენტმა **მიხეილ ყაველაშვილმა** ინაუგურაციის დღესვე 28 კანონპროექტი დაამტკიცა, რომლებიც ამა თუ იმ კანონში მთელი რიგი ცვლილების შეტანას გულისხმობს. კანონპროექტთა უმრავლესობა ინაუგურაციამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ სალომე ზურაბიშვილის პერიოდიდან უპასუხოდ იდო პრეზიდენტის მაგიდაზე და ეს უკანასკნელი ხელს არ აწერდა. ზოგ დოკუმენტს უკვე 2-კვირიანი ვადა გასდიოდა, რა პერიოდშიც პრეზიდენტმა ან ხელი უნდა მოაწეროს, ან ვეტო დაადოს, ანდა შესაბამისი შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნოს. ასე რომ, **მიხეილ ყაველაშვილს** აღნიშნული კანონები სამუშაო მაგიდაზე დახვდა და ინაუგურაციისთანავე ხელის მოწერა მოასწრო. გასული წლის 30 დეკემბრიდან ცვლილებები უკვე ძალაშია.

**— მაინც რა ცვლილებებია შესული კანონებში?**

— **სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში** შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს, მას შემდეგ, რაც თავიანთი უფლებამოსილების ვადას დაასრულებენ, 1 წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ დაცვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაადასტურებს ჩამოთვლილ პირთაგან რომელიმეს მხრიდან საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას ან დაადგენს მათ ქმედებაში დანაშაულის არსებობას. ამ შემთხვევაში ეს ცვლილება პირდაპირ ეხება **სალომე ზურაბიშვილს,** რადგან საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა მისი მხრიდან კონსტიტუციის დარღვევა და, შესაბამისად, 1 წლის მანძილზე დაცვა აღარ შეუნარჩუნდება, როგორც ეს დაურღვევლობის შემთხვევაში მოხდებოდა.

**— საზოგადოებას განსაკუთრებით ის ცვლილებები აინტერესებს, რომლებიც ქუჩის აქციებს უკავშირდება.**

— კანონები არამხოლოდ გამკაცრდა, არამედ ადმინისტრაციულ კოდექსში გაჩნდა ახალი სამართალდარღვევებიც, მაგალითად, **„სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა“,** რომელიც 2 000-ლარიანი ჯარიმით ისჯება. მიტინგები და მანიფესტაციები საქართველოში არავის უკვირს, მაგრამ ადრე პრაქტიკაში არ ყოფილა, რომ აქციის მონაწილეებს სახე დაეფარათ ან თუნდაც ლაზერის სხივი პოლიციელებისთვის თვალებში მისანათებლად გამოეყენებინოთ — ესეც ახალი დარღვევის კონსტატაციაა და 2 000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. ამდენივე თანხით დაჯარიმდება აქციის მონაწილე, თუ სამართალდამცველთა წინააღმდეგ პიროტექნიკას გამოიყენებს. ქვეყანაში პიროტექნიკის შემოტანის წესებიც შეიცვალა. ამ საქმიანობას ამიერიდან ლიცენზია დასჭირდება. ულიცენზიოდ პიროტექნიკის ქვეყანაში შემოტანა ან გატანა 5 000 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს. ეს, მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ **ელენე ხოშტარია** თავის ოფისში ლიცენზიის გარეშე პიროტექნიკას ვეღარ შეინახავს.

## „ელენე ხოშტარია თავის ოფისში პიროტექნიკას ვეღარ შეინახავს!“



**— მარგინალებმა მოზარდებს სამართალდამცველებისთვის ქვები და „მოლოტოვის კოქტეილიც“ ასროლინეს. ბავშვი არ ისჯება, მაგრამ დანაშაულის პრევენცია რაში მდგომარეობს?**

— კოდექსი აქამდე ითვალისწინებდა **„მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას“.** ამჯერად ამას დაემატა, რომ, თუ ეს ბავშვი ჩაიდენს 173-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას, ანუ სამართალდამცველი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის მიმართ დაუმორჩილებლობას, პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ არასრულწლოვნის მშობელს ან მის კანონიერ წარმომადგენელს. სანქცია ითვალისწინებს ჯარიმას, რომლის გადახდა ბავშვის მეურვეს მოუწევს.

კოდექსში ახალი ნორმა გახლავთ **„შსს-ს სისტემაში დადგენილი ფორმის, ტანსაცმლის და ატრიბუტიკის უკანონო ტარება იმ პირის მიერ, რომელიც შსს-ს წარმომადგენელი არ არის“.** აქაც გათვალისწინებულია 2 000-ლარიანი ჯარიმა მოცემული ტანსაცმლის ან საგნის კონფისკაციით. ამ ცვლილებათა შემოღება განაპირობა ფაქტმა, რომ უკანასკნელ მანიფესტაციებზე მრავლად შეინიშნებოდნენ როგორც სახედაფარული, ასევე გაურკვეველ, სპეცრაზმელთა მსგავსად შავ ფორმებში გამოწყობილი ადამიანები. როგორც ხედავთ, კანონში ცვლილებები განპირობებულია თავად აქციის მონაწილეთა ქცევებში არსებული ნოვაციებით. სახედაფარულმა ან პოლიციელის ფორმის მსგავს ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანმა შეიძლება იძალადოს ნებისმიერ მოქალაქეზე და ეს მერე დაბრალდეს პოლიციელს; გვახსოვს უკანასკნელი შემთხვევები, როცა სახედაფარული ადამიანები პირდაპირ ლეწავდნენ მოქალაქეებს და შემდეგ გაუგებარი რჩებოდა, ისინი პროვოკატორი მომიტინგეები იყვნენ თუ ხელისუფლებისგან წაქეზებული ზონდერები. ოპოზიციისთვის ეს თემა მანიპულირების საგნად რჩებოდა, თუნდაც „ტვ პირველის“ ჟურნალისტზე ნიღბოსანთა თავდასხმა... თანაც მათ პოლიციელების ფორმასთან მიმსგავსებული შავი ტანსაცმელი ეცვათ და გარჩევა ძნელი იყო. ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირი, რომ სახელმწიფო თავს იზღვევს მსგავსი ინციდენტებისგან და კონტრზომებს ღებულობს. **ამიერიდან პოლიცია ვალდებული იქნება, დააკავოს ყველა, ვინც ამოუცნობი ტანსაცმლით ან ნიღბით მოვა აქციაზე.** ნიღაბი შეიძლება მხოლოდ სპეცრაზმელს ჰქონდეს, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში ერევა საქმეში. ჩვეულებრივ პოლიციელს ნიღაბი არ სჭირდება, ხოლო ნიღბიან სპეცრაზმელს ტანსაცმელზე აქვს სპეციალური ნომერი, რომელიც გადაცდომის შემთხვევაში მისი იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

**— უცხოეთის კანონმდებლობაში ამ მხრივ რა ხდება?**

— ევროპის უმრავლესი ქვეყნების კანონებში ანალოგიური მიდგომებია, ზოგან — გაცილებით მკაცრიც, ვიდრე საქართველოში. აგერ ახლახან მოვისმინეთ, რომ ბელგიაში 6-თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს 19 წლის პირს, რომელიც მოქალაქეს პიროტექნიკას ესროდა. როგორც ჩანს, მათ კანონმდებლობაში უკვე არსებობდა შესაბამისი მუხლი, თუმცა, შესაძლოა, უშუალოდ პიროტექნიკაზე არც იყოს კანონში საუბარი, არამედ პოლიციელისთვის დაზიანების მიყენებაზე. ჩვენ მომსწრე ვართ, რომ მთელ მსოფლიოში სამართალდამცველების წინააღმდეგ მარგინალ მანიფესტანტთა მიერ პიროტექნიკის გამოყენება სულ უფრო და უფრო ტრენდული ხდება. რაც შეეხება ნიღბებს, ევროსასამართლოს განხილული აქვს დავები ნიღბის ტარებასთან დაკავშირებით და კამათის საგანია, ნიღაბი ყოველთვის აკრძალული უნდა იყოს მანიფესტაციაზე თუ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ტარება დანაშაულის ჩადენის მიზნით შენიღბვის საფრთხეს წარმოშობს.

**— იყო მომენტი, როდესაც ოპოზიციამ ნიღბიანი სპეცრაზმელების გაშიფვრა და მედიაში მათი ვინაობის, ასევე საცხოვრებელი მისამართების გამოფენა დაიწყო. ეს საქციელი კანონიერია?**

— რა თქმა უნდა, ასეთი საქციელი ყოვლად დაუშვებელია. ფაქტობრივად, პოლიციელს, რომელიც განსაკუთრებულ დავალებას ასრულებს, შიფრავენ და უპირისპირებენ ეგზალტირებულ საზოგადოებას. უბრალო ადამიანებს, რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებათ, ამიტომ არის ვარაუდი, რომ სპეცრაზმელთა ვინაობა გასცა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა **ირაკლი შაიშმელაშვილმა** ან შს ყოფილმა მინისტრმა **გიორგი გახარიამ,** რომელსაც ასევე ხელი მიუწვდებოდა ამ ინფორმაციაზე.

**— შაიშმელაშვილის საქციელი, რომელიც კრიტიკულ მომენტში სახელმწიფოს განუდგა, რამდენად თავსდება კანონის ფარგლებში?**

— გადადგომის შესახებ განცხადების დაწერის უფლება, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ, როდესაც ამ სამსახურიდან წამოსული პირი ამის მერე პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს და პოლიტიკაში მიდის, ეს არ ჯდება არც ეთიკურ და არც სამართლებრივ ნორმებში. ამ ნაბიჯით **შაიშმელაშვილმა** ამერიკაში ცხოვრების უფლება და, შესაძლოა, პოლიტიკური თავშესაფარიც მოიპოვა, თუმცა, რაც ტელეეკრანზე მოჰყვა, ვერ ვიტყვი, რომ სამართლებრივად სკანდალური გამოვიდა. უფრო პოლიტიკურ აქცენტებს აკეთებდა და მთავარ კითხვებს თავს

## კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



ომის პარტიის **მუქარამ, სანქციებმა და აქციებმა** საქართველოს ხელისუფლებას ვერ გადაათქმევინა უარი **საკუთარი ქვეყნის ომში ჩართვასა და დანგრევაზე.** უნდა გაიგოს ყველამ, რომ საქართველოში უკრაინიზაციას არავინ დაუშვებს.

„იმედინიუსი“

**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



„თავისუფლების სადარაჯოზე“ მდგომები, რეალურად, **ებრძვიან დასავლურ ღირებულებებს, თავისუფლებას, ტრადიციებს, რწმენას, ებრძვიან პატრიარქს, ჰაგიოგრაფიას** — თვითონ ანგრევენ ყველა იმ ღირებულებას, რომლის დაცვასაც იჩემებენ.

„აიპრესი“

**ვაჭო შაქარიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ დამფუძნებელი*



მთელი ეს **დიდი ტყუილი და პოლიტიკური ფარისევლობა** შეფუთული იყო ევროინტეგრაციის თემით, სინამდვილეში კი, ეს გახლდათ **საქართველოს ომში ჩართვის დაუინებული ინტერესი.** „საქართველოს რესპუბლიკა“

არიდებდა. პირადად მე არ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მისი სამსახური მნიშვნელოვან დარღვევებს სჩადიოდა და **შაიშმელაშვილმა** ამ დარღვევებით შეშფოთებულმა დატოვა პოსტი. ისედაც აშკარაა, რომ აქციებზე სპეცრაზმი, ძირითადად, თავდაცვის პოზიციაზე იყო და ყველა გადამეტება მარგინალ მომიტინგეთა მხრიდან პროვოკაციული გამოწვევების პასუხად მოხდა.

ზოგადად, ამ აქციებზე ჩვენი სამართალდამცველები შესაშურ, იობის მოთმინებას ამჟღავნებდნენ თავიანთ ევროპელ კოლეგებთან შედარებით. არც სპეცრაზმს და არც ხელისუფლებას არაფერში აწყობდათ მარგინალური მოვლენები, ხოლო ოპოზიცია არც მედიასთან მალავდა, რომ სიტუაციის ნებისმიერი მეთოდით დაძაბვა მსხვერპლის გამოწვევის ჩათვლით, მათ ინტერესს წარმოადგენდა. ვფიქრობ, როგორც, მინიმუმ, **შაიშმელაშვილმა** თავის პროფესიასა და მუნდირის ღირსებას უღალატა, როცა კრიტიკულ მომენტში სახელმწიფოს გაემიჯნა და ოპოზიციის წისქვილზე წყალი დაასხა.

**— კიდევ რა ცვლილებებია კანონში?**

— **გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, როდესაც გზის სავალი ნაწილი სრულად არის დაკავებული** — აქამდე 500-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებდა, ამიერიდან ასეთი აქციის რიგითი მონაწილისთვის ჯარიმის რაოდენობა — 5 000 ლარამდე, ხოლო ორგანიზატორისთვის 15 000 ლარამდე იზრდება, რასაც დამატებით შეიძლება, 15 დღემდე პატიმრობაც დაერთოს. ბოლო მოვლენებს შორის საზოგადოებას, რომელიც ქუჩაში საკუთარი მიზნებით გადაადგილდებოდა, განსაკუთრებით აღიზიანებდა მარგინალ მანიფესტანტთა მიერ მათი ამ ფორმით შეფერხება და საქმე ხშირად ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მიდიოდა. აქამდე ისე იყო, რომ მცირე რაოდენობით მოქალაქეთა ჯგუფს შეეძლო პროტესტი ტროტუარზე მსვლელობით გამოეხატა, ქუჩა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში იკეტებოდა, როცა მანიფესტანტები ტროტუარზე ვერ ეტეოდნენ. უკანასკნელი მარგინალური აქციების დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მანიფესტანტების ძალიან მცირე რაოდენობაც კი გზის გადაკეტვას ცდილობს, საიდანაც ჩანს, რომ მათ მთავარ მიზანს პროტესტის გამოხატვა კი არა, არეულობის მოწყობა და სხვა მოქალაქეების შეფერხება, მათთან დაპირისპირებაში შესვლა წარმოადგენს. ამის დაშვება არ შეიძლება და კანონში ცვლილებაც ლოგიკურია. გამკაცრდა **სატრანსპორტო საშუალებებით გზის ორგანიზებულად გადაკეტვის წინააღმდეგ სანქციაც** — ასეთ აქციაში მონაწილე მძღოლებს 1000 ლარი ჯარიმის გადახდა და მართვის უფლების 1 წლით ჩამორთმევა მოუწევთ.

**— ვახტანგ გორგასლის ძეგლს საქართველოს დროშა რომ დააკავებინეს, ეს საქციელი დასაშვებად რჩება? შენობათა კედლები სხვადასხვა ფერის წარწერებით, მათ შორის, სკაბრეზებით რომ აჭრელეს, ამაზე პასუხს არავინ აგებს?**

— ამიერიდან მაგაზეც დადგება პასუხისმგებლობა. **ქალაქის იერსახის დამახინჯების გამომწვევი საპროტესტო ნახატის, სიმბოლოების თუ წარწერის გამკეთებელი** 50 ლარის ნაცვლად, უკვე 1 000 ლარით დაჯარიმდება. დასჯადი ხდება **უნებართვოდ პლაკატების ისეთ ადგილზე გამოფენაც, რაც ქალაქის იერსახის დამახინჯებას იწვევს.** განმეორებით იმავე საქციელის ჩამდენს კი (ადრინდელი ჯარიმის, 500-ის ნაცვლად) ჯერ — 2 000, შემდეგ 3 000 ლარი ჯარიმაც დაეკისრება. **თუ იერსახის დამახინჯება კულტურული მემკვიდრეობის დამცავ იმ ზონაში მოხდება,** რაც კანონით არის განსაზღვრული (მაგალითად, ძველი ეკლესიის კედელზე), ადრინდელი ჯარიმის, 1000 ლარის ნაცვლად ჩამდენი 2000 ლარით დაჯარიმდება; განმეორების შემთხვევაში 2000-ის ნაცვლად 3500 ლარი ჯარიმა დაეკისრება. ამასთან დამრღვევს დაუწესდება 10-დღიანი ვადა, ჩადენილი დანაშაულის გამოსასწორებლად (პლაკატის, წარწერის წაშლა ან ჩამოხსნა) და თუ არ გამოასწორებს ჩადენილს, დამატებით კიდევ (500 ლარის ნაცვლად) 1000 ლარით დაჯარიმდება!

**— ხშირად პოლიცია ხედავდა პროვოკაციაზე წასულ მანიფესტანტს, მაგრამ ზომებს ვერ იღებდა, ვიდრე პროვოკაციის შედეგი არ გამოჩნდებოდა.**

— ამიერიდან, თუ პოლიციელს ექნება ვარაუდი, რომ მოქალაქეს შესაძლოა, აკრძალული ნივთი ჰქონდეს, ექნება უფლება, ყოველგვარი დადგენილებისა და ოქმის გარეშე მოახდინოს მოქალაქის პირადი გასინჯვა და ნივთებთან ერთად ჩამოართვას დოკუმენტებიც. მაგრამ პოლიციელს ასეთ შემთხვევაში დაკავებულის სასამართლოში დროულად წარდგენის ვალდებულება ეკისრება. იმავდროულად, სასამართლოზე პოლიციელს მოუწევს დამტკიცება, რომ კონკრეტული მოქალაქის გასინჯვა აუცილებლობას წარმოადგენდა. აქამდე სხვაგვარად იყო — გამომძიებლის მიერ უნდა შემდგარიყო გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკის დადგენილება და დათვალიერების ოქმი. კანონში ეს ცვლილება ვერ ჩაითვლება მაინცდამაინც დემოკრატიულად, რადგან პოლიციელს საკუთარი შეხედულების ფარგლებში მოქალაქის დაკავებას უმარტივებს.

**— ამ კანონებს, რომელიც მარგინალურ ოპოზიციას აშკარად ზღუდავს, „რუსული კანონები“ ხომ არ დაერქმევა?**

— კანონების უმრავლესობაში ცვლილებები სრულიად ადეკვატურია ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა, ევროპის ქვეყნებშიც მოვლენების მიმართ მეტ-ნაკლებად მსგავსი დამოკიდებულებებია, თუმცა, როგორც უფლებადამცველს, მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი კანონი **(საჯარო მოხელის შესახებ)** მართლაც ზღუდავს ადამიანის უფლებებს. სახელმწიფო დაწესებულების პირველადი სტრუქტურის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, უკვე **„პროფესიული საჯარო მოხელეები“** კი არა, **„ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები“** იქნებიან. ეს ნიშნავს, რომ ასეთი პირის სამსახურიდან გათავისუფლება უფრო ადვილი იქნება, ვიდრე აქამდე. ხელმძღვანელ პირს პირადი შეხედულებით შეეძლება სამსახურიდან მისი დათხოვნა. ასევე სამსახურში ისეთი კანდიდატის მიღება, რომელიც სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, ვთქვათ, სახელმწიფო ენა არ იცის, 18 წელს არაა მიღწეული და არც მოხელის სერტიფიკატი გააჩნია. **„საჯარო მოხელის“** სამსახურიდან გათავისუფლება გაცილებით რთულია, ვიდრე **„ხელშეკრულებით დასაქმებულისა“.** ამ უკანასკნელს, თუნდაც გათავისუფლების გამო იჩივლოს და სასამართლოში საქმე მოიგოს, არც სამსახურში აღადგენენ და არც განაცდურ ანაზღაურებას მისცემენ, გარდა ერთი თვისა.

**— რამ განაპირობა ასეთი კანონი?**

— ალბათ, საჯარო მოხელეების პოლიტიზებამ, რომლებიც კრიტიკულ მომენტში სახელმწიფოს საბოტაჟს და გაფიცვებს უწყობენ... მაგრამ ამის მიუხედავად, ეს კანონი მე სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან სახელმწიფო სამსახურში ჩაყენებული მოხელეების უფლებები მეტისმეტად იზღუდება და ჩნდება საფრთხე, რომ ხელმძღვანელი მუშაკების მხრიდან პიროვნულ ნეგატიურ დამოკიდებულებებს შეიძლება შეეწირონ.

სხვა მხრივ, **პრეზიდენტ ყაველაშვილის** მიერ ხელმოწერილი ცვლილებების უმრავლესობა მისასალმებელი და დროულია, პრევენციულ გარემოს ქმნის, რათა ქვეყანაში უცხოეთიდან დაფინანსებული და ორგანიზებული აქციები ორგანიზებულ ძალადობაში არ გადაიზარდოს!

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***



# „ამიერიდან პოლიცია ვალდებული იქნება, დააკავოს ყველა, ვინც ამოუცნობი ტანსაცმლით ან ნიღბით მოვა აქციაზე!“



## „არის ვარაუდი, რომ სპეცრაზმელთა ვინაობა გასცა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა ირაკლი შაიშმელაშვილმა ან შს ყოფილმა მინისტრმა გიორგი გახარიამ!“



## კვირგვინოსნები

**ირაკლი მელაშვილი**
*ანალიტიკოსი*



**ოპოზიციის მიერ წაგებული არჩევნების შემდგომ** ახალგაზრდობამ თავისი გამოსვლებით აჩვენა, რომ **საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის შანსი აქვს.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ჩიხელიძე**
*ექსპერტი*



კოლექტიური დასავლეთი **განსაკუთრებული მონდომებით ებრძვის საქართველოს და მის ხელისუფლებას,** რომელმაც გაბედა და სახელმწიფო ინტერესები დასავლეთის ინტერესებზე მაღლა დააყენა.

„იმედინიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„სტრატეგია აღმაშენებლის“ გენერალური მდივანი*



**სანქციები არის და კიდევ იქნება** — ჩვენს გასაკეთებელს არც არავინ გააკეთებს და ვერც ვერავინ გააკეთებს.

„ინტერპრესნიუსი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ცვლილებები სურდათ საქართველოში და მიიღეს საკუთარ ქვეყნებში. **ოპოზიციის ლობისტი თითქმის ყველა პოლიტიკური ლიდერი სახლში მიდის,** უფრო სწორად, უშვებენ.

„აიპრესი“

**გიგი წერეთელი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



თუ **პოლიტიკური პატიმრები** არ გათავისუფლდება და **ახალი არჩევნები** არ დაინიშნება, ჩვენი პარტნიორებისგან იქნება კიდევ უფრო მძიმე პასუხები.

„აიპრესი“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



**გვარამიას პარტიის უკან დიდი ფულია,** ეს გამოჩნდა არჩევნების პერიოდში, **ძალიან ბევრი ფული დახარჯეს,** ოფიციალურად თუ არაოფიციალურად. **საიდან მოდის ეს თანხები, კაცმა არ იცის.**

„კვირის პალიტრა“



## იაგო ხვიჩია:




# რასაც ტრამპი იტყვის, საქართველოში ყველაფერი ისე მოხდება!

***პარტია „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია აცხადებს, რომ საქართველოში ახლა დაპირისპირებული მხარეები ტრამპის პოზიციის დაფიქსირებას ელოდებიან და როგორც კი ეს პოზიცია გაჟღერდება, ყველა აიშვებს:***

— მარტივად რომ ვთქვათ, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ტაქტიკა და სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ოპოზიციას ლიდერებად სულ ჰყავდეს **ოფიციოზის მიერ სხვადასხვა ფორმით ხელდასხმული ხალხი,** რომელიც ხელისუფლებაზე უფრო მეტად იქნება კომპრომეტირებული და მას ვერანაირ პრობლემას ვერ შეუქმნის. **ოპოზიციის მიმართ ჩემი კრიტიკაც იმაში მდგომარეობს, რომ ის წლების განმავლობაში ხელისუფლებას ამ თამაშის შესაძლებლობას აძლევს.** წლებია, ამას ვეუბნები ოპოზიციას, მაგრამ ამათ თავში მაინც არაფერი შევიდა... სწორედ ამან განაპირობა ჩვენი მწვავე შეფასებები კოლეგების მიმართ!

**— თქვენ პირდაპირ განაცხადეთ, რომ გახარია, რომელიც ხალხს თვალებს თხრიდა და ნიკა გვარამია და მამუკა ხაზარაძე, რომლებიც ხალხში დაცვის გარეშე ვერ ჩნდებიან, საქართველოში ვერანაირ რევოლუციას ვერ მოახდენენ!**

— **გახარიასთან** დაკავშირებით ჩემი განცხადება დაათრიგერა **მაკო გომურის** ერთ-ერთმა ფეისბუქპოსტმა — **ახლა ისეთი სიტუაციაა, მე და გახარიასაც კი ერთად გვიწევს მიტინგზე დგომაო!** აი, სწორედ მაშინ დავფიქრდი და ჩემს თავს ვკითხე — ისე როგორ უნდა მოახერხო, რომ **გახარიას** მაკო გომურიც კი გვერდით დაუდგეს-მეთქი? თუმცა, აქციაზე პოლიტიკოსები უკვე აღარ დგანან და ეს ეტაპი გადავლილია... ახლა აქციებზე გამოდის მოსახლეობა, ხოლო პოლიტიკოსები ისევ იმალებიან! არადა, სწორედ პოლიტიკოსები უნდა აძლევდნენ მიტინგებს მიმართულებას.

სხვათაშორის, თავიდანვე ვაკრიტიკებდი აქციების ორგანიზატორებს, რომ ძალიან ბევრი ბუნებრივი იდიოტი ამ პროტესტს აზიანებდა. არადა, ეს იდიოტები არსად გამქრალან. იმის გამო, რაც მაშინ სცენაზე და სცენის მიღმა ხდებოდა, ოპოზიციასთან მწვავე დაპირისპირება მომიწია. ფაქტია, რომ ეს იდიოტები საქმეს აფუჭებენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არსებობენ გულწრფელი ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ ვითარებას აპროტესტებენ. ოპოზიციის უბედურება ის არის, რომ ამ პროტესტის დაწურვა და მომიტინგე საზოგადოების ერთ ჭკუაზე მოყვანა ვერ მოახერხა, რათა საბოლოო მოთხოვნები ჩამოეყალიბებინათ. ვერ ვიტყვი, რომ აქციაზე შეკრებილი ხალხის უდიდესი ნაწილი იქ ვინმეს სალანძღავად არის მისული, თუმცა, გეთანხმებით, რომ პროვოკატორები და იდიოტები აქციაზე დადიან და ძალიან ცუდად იქცევიან!

**— თქვენ ბრძანეთ — ოპოზიციის ლიდერები ხელისუფლების მიერ არიან ხელდასხმულიო! გვარამიაც ხელდასხმულია, ანუ ხელისუფლებასთან შეკრული?**

— თქვენ ძალიან კარგად მოგეხსენებათ, რომ არჩევნების წინ ოპოზიციური პარტიის მიერ რამდენიმე მილიონის შოვნა ხელისუფლების კურთხევის გარეშე შეუძლებელია! ცხრა წელია, პოლიტიკაში ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს წინასაარჩევნოდ ბიზნესის შენთან მოსვლა, რათა დაგაფინანსონ... ბიზნესი ჩემთან მოსულა გადაცემის — **„საქართველოს დაბადების“** დასაფინანსებლად, მაგრამ, როცა ბიზნესმენისთვის მითქვამს, რომ საჯაროდ დაგვაფინანსოს, უკან გაბრუნებულა. არადა, მილიონებზე კი არა, რამდენიმე ათას ლარზე ყოფილა საუბარი. აი, **ამ დროს ერთი ჩემი კოლეგა წინასაარჩევნოდ ათეულობით მილიონს რომ შოულობს, ხოლო მეორე წლების განმავლობაში ქოლცენტრებს ამუშავებს, რაც ხელისუფლებისა და სპეცსამსახურების თანხმობის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება, უკვე ყველაფერზე მეძლევა პასუხი.**

**— ქოლცენტრებთან ვის აკავშირებთ, ჭუჭუ ვაშაძეს?**

— არა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში **კეზერაშვილს** ვგულისხმობ! საქართველოში მოხდა პარადოქსი — მედიაპროპაგანდით თუ სხვა რამით, ხალხმა ოპოზიციაში აირჩია და ბარიერი გადაალახვინა ისეთ ხალხს, რომლის მხარდაჭერაც ყველას „უტყდება“! შენ თუ მე მხარს მიჭერ, მარტო ხმის გაფერადება არ კმარა, საჭიროების შემთხვევაში, ჩემ დაძახებულზე ქუჩაში უნდა გამოხვიდე და ჩემთვის მოცემული ხმა დაიცვა! გადავხედოთ, ოთხი ოპოზიციური პარტიის სახით ვინ აირჩია ქართველმა ხალხმა. **აირჩიეს ისეთი ლიდერები, რომელთა დაძახებულზეც ქუჩაში არ გაისვლება!** მთლად საამაყოდ არც „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს აქვს საქმე... ამიტომ დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ყველას ამომრჩეველი მოტყუებულია. გამოსავალი ერთადერთია — **ახალი არჩევნები!** მაგრამ ამ მოთხოვნას აუცილებლად სჭირდება კიდევ ორი რამის დამატება — **პოლიტიკაში ახალი სახეების შემოშვება და საარჩევნო ბარიერის დაწევა!** გარდა ამისა, აუცილებელია დაპირისპირებისა და პოლარიზაციის ჩაცხრობა...

**— ეს დაპირისპირება საქართველოში ოცდაათ წელზე მეტია, არ ცხრება და მეეჭვება, ახლა ჩაცხრეს!**

— მე ბიბლიური ორმოცი წლის მჯერა და, მგონი, მივდივართ მაქეთკენ!

**— ქუჩაში მდგომი პროტესტანტები აცხადებენ, რომ საქართველოში რევოლუცია გარდაუვალია!**

— იმ ქვეყანაში, სადაც ოპოზიციის ლიდერები ხალხს ემალებიან და ქუჩაში დაცვის გარეშე ვერ გამოდიან, რევოლუცია ვერ მოხდება! საქართველოში ახლა უნიკალური პროცესის მომსწრენი ვართ — ოპოზიციის მილიონერი ლიდერები ხალხს ემალებიან, არაფერს ლაპარაკობენ და ფულს იმაში იხდიან, რომ ტელევიზიით რაღაც სისულელეები იბჟუტურონ! პოლიტიკური პროცესი მკვდარია, თუმცა, ხალხი ქუჩაში გამოდის და არ იშლება... ეს სადამდე და როგორ გაგრძელდება, არ ვიცი. **ამდენი ხნის განმავლობაში ხალხი რომ არ იშლება და ქუჩაში გამოდის, მგონი, ამას ხელისუფლებამ ყურადღება უნდა მიაქციოს და მიხვდეს, რომ ეს გახარიასა და გვარამიას მიერ მოფიქრებული პროტესტი არ არის!**

**— ამბობენ, რომ ამ ე.წ. გულწრფელი პროტესტის უკან დგას დიდი ფული, რომელიც დასავლეთიდან შემოვიდა!**

— ჩემამდე რომ ფული არ მოსულა, ვიცი... არ მჯერა იმის, რომ დასავლეთიდან დიდი ფული შემოვიდეს და ხელისუფლებამ ვერ გააკონტროლოს!

**— საინტერესოა, ალეკო ელისაშვილს რა თაფლაკვერი აჭამეს ისეთი, მამუკა ხაზარაძის თავგადაკლული ფანი რომ გახდა?**

— (იცინის) ქართულ პოლიტიკაში უარესებიც ხდება!

**— თქვენ რას ელოდებით, როგორ განვითარდება საქართველოში პოლიტიკური პროცესი?**

— მე ველოდები **ტრამპს...** რასაც **ტრამპი** იტყვის, საქართველოში ყველაფერი ისე მოხდება! ახლა მთავარია, **დონალდ ტრამპამდე** მივიდეს სწორი ინფორმაცია. ამიტომ მოვუწოდებ ჩვენს საზოგადოებას და პოლიტიკურ სპექტრს, გადავიდეს X პლატფორმაზე, ანუ ყოფილ „ტვიტერზე“, სადაც დღეს ნამდვილი პოლიტიკა კეთდება.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ სალომე ზურაბიშვილზეც. როგორ ხედავთ მის როლს ხვალინდელ ქართულ პოლიტიკაში?**

— **სალომე ზურაბიშვილმა** ოპოზიციის კიდევ უფრო მეტად გაბანძებაში დიდი როლი ითამაშა! იგი უკვე გადასულია მილევად რეჟიმში... ფაქტია, რომ სალომე ზურაბიშვილისა და ყველას ბედი გადაწყდება მას შემდეგ, რაც **დონალდ ტრამპი** ოვალურ კაბინეტში შევა!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებასთან არის შეკრული?**

— ჩვენ სულ ვამბობდით, რომ **სალომე ზურაბიშვილი** ხელისუფლებასთან იყო! ცხადია, არ ვამტკიცებთ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილს ფული გადაუხადა, რათა ამერიკელებს დაესანქცირებინათ, მაგრამ, რასაც ეს ქალი ხელს მოჰკიდებს, იქ ყველგან ოპოზიცია რომ გამოდის დამარცხებული, ფაქტია! **არ ვიცი, ეს ქალბატონი გულწრფელი „ქოცია“ თუ არა, მაგრამ თავისი საქმიანობით ოპოზიციისთვის კარგი რომ არაფერი გაუკეთებია, ამას წყალი არ გაუვა!**

**— გიორგი გახარიას, მამუკა ხაზარაძის, ზურაბ გირჩის, ჭუჭუ ვაშაძისა და ნიკა გვარამიას პოლიტიკური სიამტკბილობა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ცხადია, მათი სიამტკბილობა არ გამოვა! ვიმეორებ: ყველა ელოდება **ტრამპის** ინაუგურაციას და მისი პოზიციის გაცხადებას! ამის შემდეგ ქართული პოლიტიკური სპექტრი, ცხადია, ისეთი ვეღარ იქნება, როგორიც დღეს არის.

**— ფაქტია, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საქართველოში ხელისუფლების დამხობას შეეცადა... ეს გეგმა ისევ ძალაშია?**

— ხომ გეუბნებით, ყველაფერს **ტრამპი** გადაწყვეტს! სიტუაცია ისე გაფუჭდა, მაინც მგონია, რომ ამ პარლამენტიდან არაფერი გამოვა და ახალ არჩევნებს ვერ ავცდებით!

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ ის ოთხი პარტია, რომელმაც ბარიერი გადალახა, პარლამენტში შევიდეს?**

— არა, მაგის გამორიცხვა როგორ შეიძლება?! ჩვენ ქართულ პოლიტიკურ თამაშებში მთელი მსოფლიო ჩავითრიეთ და ამ კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი სწორედ საპარლამენტო არჩევნებია!




*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№2 (298) ★ 2025 წლის 13 იანვარი ★ გამოდის 2003 წლიდან


სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

იოსებ სტალინი

# იაროსლავ ბრძენიდან ვოლოდიმირ სულელამდე

***1899 წლის 26 ნოემბერს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის ცნობილი პუბლიცისტური წერილი — „ასის წლის წინათ“, სადაც საქართველოს უგვირგვინო მეფე 1799 წლის 26 ნოემბერს მომხდარ ისტორიულ ფაქტს — თბილისში რუსის ჯარის შემოსვლას მიესალმა! დღეს პატარა საქართველოსა და პლანეტის უძლიერეს იმპერიას — ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ჩამოწოლილი ცივი ომის ხროტინი ძალაუნებურად გვახსენებს „ათასის წლის წინანდელ“ საქართველოს, რომელსაც მაშინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფოსთან — ბიზანტიასთან 1021-1023 წლებში ერთი ომი უკვე გადახდილი ჰქონდა და მეორისთვის ემზადებოდა...***



**ათასის წლის წინათ კიევში იჯდა უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწე იაროსლავ ბრძენი, რომელმაც კიევის რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი უმაღლეს დონეზე აიყვანა!**

## ათასის წლის წინათ

**დღეს იაროსლავ ბრძენისგან განსხვავებით, კიევს მართავს ვოლოდიმირ სულელის გარყვნილი და მოღალატე რეჟიმი, რომელმაც ევროპის უდიდესი ქვეყანა სასაკლაოდ აქცია!**



ცივი და გამოუცხადებელი ომი ამერიკამ დღევანდელ საქართველოსთან იმიტომ დაიწყო, რომ 2022 წლის მარტში საქართველოს ხელისუფლება ამერიკელი ნამესტნიკების ბრძანებას არ დაემორჩილა, რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და პუტინს სანქციები არ დაუწესა. ამის გამო მთელი ორ წელიწადნახევრის განმავლობაში ამერიკამ საქართველოში სამჯერ სცადა ხელისუფლების დამხობა, მაგრამ — უშედეგოდ. **ხრწნილების სტადიაში შესული ბაიდენის ადმინისტრაცია** ბოლო იმედს 2024 წლის 26 ოქტომბერზე ამყარებდა, როცა თავისი გეი-აგენტურის ხელისუფლებაში მოყვანას საპარლამენტო არჩევნების გზით გეგმავდა. თუმცა, საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებმა **გამოჩერჩენკოებულ ბაიდენსა და ლგბტ ენტონი ბლინკენს** თავზარი დასცათ, რადგან გეი-აგენტურა დამარცხდა და ქართველმა ხალხმა ეროვნულ ფასეულობებსა და ღირსებას დაუჭირა მხარი!

იმ დღიდან მოყოლებული, საქართველო შეერთებულ შტატებთან ცივი ომის მდგომარეობაში იმყოფება და, რომ არა საპრეზიდენტო არჩევნებში **დონალდ ტრამპის** გამარჯვება, ღმერთმა უწყის, ეს **ცივი ომი** შესაძლოა, **ცხელ ომშიც** კი გადაზრდილიყო...

როგორც ამერიკული დოლარი მართავს დღეს მსოფლიოს, **ათასის წლის წინათ** სწორედ ისე მართავდა და ატრიალებდა სამყაროს **ბიზანტიური ოქროს სოლიდები და დუკატები.** თუ ახლა **ამერიკელი მავნებლები** ქართველ უსამშობლოებსა და აგენტებს — **ეკა გიგაურს, ნინო ლომჯარიას, ნატალია საბანაძეს, სალომე სამადაშვილს, ნიკუტა გვარამიას, ჭუჭუ ვაშაძეს და ზურაბ-გირჩი** შარვალჩახდილს მილიონობით დოლარს აყრიან და აფინანსებენ, რათა საქართველოში გადატრიალება მოახდინონ, **ათასის წლის წინათ** ბიზანტიის იმპერია ასე უსირცხვილოდ აფინანსებდა და ოქროს დუკატებსა და სოლიდებს უგზავნიდა ცნობილ ქართველ მოღალატეებს — **ლიპარიტ მეოთხე ბაღვაშს, ვაჩე კარიჭისძესა და ბანელ ეპისკოპოსს იოანეს,** რათა ერთიანი საქართველოს მეფეების — **გიორგი პირველისა და ბაგრატ მეოთხის** ხელისუფლება შეერყიათ და ქვეყნის ერთიანობისთვის ძირი გამოეთხარათ!

მოგეხსენებათ, **გამოჩერჩენკოებული ბაიდენის** უღღეურ და სულთმობრძავ ლგბტ ადმინისტრაციაშიც აბოდებთ და **ქეზერაშვილის** ფულებზე გაწუწკებულმა რესპუბლიკელმა **ჯო უილსონმაც** ქვეყნიერება გადააქოთა იმის ძახილით, რომ **„სალომე ზურაბიშვილი ერთადერთი ლეგიტიმური პრეზიდენტია!“ ათასის წლის წინათ** სწორედ ასე ცდილობდა ბიზანტიის იმპერია საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას. მაგალითად, იმპერატორი **კონსტანტინე მერვე** (1025-1028 წ.წ.) საქართველოს მეფე **ბაგრატ მეოთხეს** სწორედ **ლეგიტიმაციას** უწუნებდა და უფრო **ლეგიტიმურად** ბიზანტიაში გადახვეწილ ქართველ დიდგვაროვან **დემეტრე გურგენის ძე ბაგრატიონს** მიიჩნევდა, რომელიც 1028 წელს, საქართველო-ბიზანტიის მეორე ომის დროს, იმპერატორმა საქართველოში შიდაპოლიტიკური ვითარების ასარევად შემოაგზავნა და მოღალატეების მოსასყიდად დიდძალი ოქროს სოლიდები, დუკატები და ჯარი გამოატანა... **დემეტრე** საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი **„კლარჯ მეფეთა“** შთამომავალი გახლდათ. მისი მამა — **გურგენი** ერთიანი საქართველოს პირველი მეფის **ბაგრატ მესამის** მამიდაშვილი იყო, რომელიც **ბაგრატმა** ფანასკერტის ციხეში დარბაზობისას დააპატიმრა და მერე თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც 1012 წელს ჩაკვდა კიდეც...

თუ **ათასის წლის წინათ** ბიზანტია საქართველოს იმიერტაოსა და ბასიანს გადაღმა ქვეყნებს ედავებოდა, დღეს ამერიკის იმპერია საქართველოში ლგბტ აღვირახსნილობის თავისუფლებას, **უცხოური გამჭვირვალობის შესახებ** კანონის გაუქმებას და რუსეთთან სამხედრო კონფრონტაციის დაწყებას მოითხოვს! ცხადია, ამ უკანასკნელ მოთხოვნას ყველა მალავს, მაგრამ, როგორც უკვე გაცხადდა, **კელი დეგნანი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს პირდაპირ აიძულებდა, რომ საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო!** როცა დეგნანს **ღარიბაშვილმა** განუმარტა, რომ საქართველო რუსეთის სამხედრო აგრესიას სამ დღესაც ვერ გაუძლებდა, ქვეყნის პრემიერმა ძალად სტრატეგიული პარტნიორისგან ასეთი პასუხი მიიღო — **ძალიან კარგი, სამი დღის შემდეგ ტყეში გახვალთ და პარტიზანულად იომებთ, ხოლო იარაღით ჩვენ მოგამარაგებთ!**

იმ დროს, როცა **ბაიდენის ლგბტ რეჟიმის** ისტორიულ აძაღლებამდე ერთი კვირაღა დარჩა, მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, **დაუყოვნებლივ გაასაჯაროოს კელი დეგნანისა და ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრისა და საუბრის ვიდეო ან აუდიოჩანაწერი, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ბუნებაში აუცილებლად არსებობს და მთელ მსოფლიოს ამცნოს, თუ რას ითხოვდნენ სინამდვილეში ამერიკელი კანიბალები საქართველოსგან!**

**ათასის წლის წინათ მეფე გიორგი პირველის** საქართველო ბიზანტიის იმპერიას იმიერტაოსა და **თეოდოსიოპოლის, ანუ დღევანდელი ერზრუმისთვის** ებრძოდა, რომელიც ძალთაპირმა იმპერატორმა**ბა-**

**★ ისტორიის უკეთ გაგებისათვის**


გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1*

# ას ერგასის

## გონების ხარკი...

ამის შემდეგ შესავალი სიტყვა წარმოთქვა ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯექსონმა:

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, — ისტორიაში ეს არნახული პროცესი მძიმე პასუხისმგებლობას გვაკისრებს. დანაშაულობანი, რომელთა დაგმობას და დასჯას მივესწრაფვით, იმდენად წინასწარ გამიზნულია და ისეთი დამანგრეველი ძალისაა, რომ ცივილიზაციას არ შეუძლია მათი მოთმენა ან უგულებელყოფა, რადგან იგი დაიღუპება, თუკი ყოველივე ეს განმეორდა. ის ფაქტი, რომ გამარჯვებით გალაღებულმა და გაღებული მსხვერპლით შეძრწუნებულმა ოთხმა დიდმა სახელმწიფომ შეაჩერა შურისძიებისათვის აღმართული ხელი და თავიანთი დატყვევებული მტრები გადასცა სამართლიანობის სამსჯავროს, წარმოადგენს ყველაზე დიად მაგალითს იმ ხარკისას, რასაც ხელისუფლება უხდის გონებას.

**სასამართლო გარჩევას იმიტომ ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, რომ ეს ტუსაღები წარმოადგენენ უბოროტეს ძალებს, რაც კიდევ დიდხანს იქნება მიმალული, მას შემდეგაც, რაც ამათი სხეულები ფერფლად იქცევა. ესენი არიან რასობრივი სიძულვილისა და ტერორის, ძალადობის, ქედმაღლობისა და სისასტიკის ცოცხალი სიმბოლოები. ჩვენ დიდი მოთმინებითა და თავშეკავებით ნათელვყოფთ, თუ რანი არიან ეს ადამიანები, რისთვისაც წარმოგიდგენთ მათ მიერ ჩადენილი გაუგონარი ბოროტების უცილობელ საბუთებს. დანაშაულობათა რიცხვში იქნება ყველაფერი, რისი მოფიქრებაც შეუძლია პათოლოგიურ სიამაყეს, სისასტიკისა და ძალაუფლების წყურვილს. „ფიურერობის“ პრინციპის მიხედვით, ამ ადამიანებმა გერმანიაში ისეთ ნაციონალ-სოციალისტური დესპოტიზმი შექმნეს, რომლის შედარება შეიძლება მხოლოდ უძველეს აღმოსავლურ დინასტიებთან. მათ აზადეს გერმანელ ხალხს ყოველგვარი ღირსება და წაართვეს თავისუფლება, რაც ჩვენ ბუნებრივად და უცილობლად მიგვაჩნია ყველა ადამიანისათვის. თუ ესენი დამარცხებული ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელთაგან არიან პირველნი, რომელთაც ბრალი ედებათ კანონის სახელით, იმავე დროს, ესენი არიან პირველნი, რომელთაც შეუძლიათ, კანონის ძალითვე დაიცვან თავიანთი თავი... იმის მიუხედავად, რომ მათი დანაშაულებრივი მოქმედებანი საყოველთაოდ ცნობილია, ჩვენ თანახმა ვართ, აქ იმ მოსაზრებიდან გამოვიდეთ, რომ ისინი უდანაშაულონი არიან და ვიკისროთ მათი დანაშაულისა და პასუხისმგებლობის დამტკიცება. ჩვენ არ მოვითხოვთ დანაშაულის აღიარებას მანამ, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ ის ჩადენილია.**

•

...ტრიბუნაზეა საბჭოთა ბრალმდებელი რ. რუდენკო. როგორც კი იგი იწყებს ლაპარაკს, გერინგი დემონსტრაციულად იხსნის ყურმილს და აგრძნობინებს ყველას, რომ არ უსმენს.

— რატომ მოიხსენით ყურმილი და არ უსმინეთ საბჭოთა ბრალმდებლის გამოსვლას? — ჰკითხა მას სხდომის შემდეგ ჯილბერტმა.

— ეჰ, მე ისედაც ვიცოდი, რას იტყოდა იგი, — მიუგო გერინგმა.

სრული სიმართლეა. რა თქმა უნდა, იცოდა. ან როგორ შეეძლო, არ სცოდნოდა, როცა თვითონ ხელმძღვანელობდა იმ საზარელ დანაშაულებს, რასაც გერმანელები სჩადიოდნენ საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ, ახლა კი ის უნდა დავუმატოთ, რომ, ალბათ, არასოდეს, ისტორიის არცერთ მონაკვეთში და არცერთ ქვეყანაში ბრალმდებლის წინაშე არ მდგარა ისეთი რთული ამოცანა, როგორც რუდენკოსი. მას ერთ საბრალმდებლო სიტყვაში უნდა მოექცია დანაშაულებათა ისეთი უსაზღვრო თუ ურიცხვი რაოდენობა, რაც ჩადენილ იქნა მისი ქვეყნის მიმართ. ჩვეულებრივად, ბრალმდებლები სიტყვას წარმოთქვამენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის შესახებ. აქ კი? აბა, ერთხელ კიდევ წარმოიდგინეთ იმ დანაშაულებათა მასშტაბები და თვითონ ბრალმდებელს მოუსმინეთ:

— კაცობრიობის ისტორიაში მართლმსაჯულება პირველად ხვდება ამგვარი მასშტაბების დანაშაულს, რამაც ესოდენ მძიმე შედეგი გამოიღო... სამსჯავროს წინაშე პირველად დგანან ადამიანები, რომელნიც დაეუფლნენ მთელ სახელმწიფოს და თავიანთ შემზარავ დანაშაულობათა იარაღად გადააქციეს ის. დასასრულ, ბრალდებულთა სახით ჩვენ პირველად ვასამართლებთ არა მარტო თვითონ მათ, არამედ მათ მიერ შექმნილ დანაშაულებრივ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, მათ მიერ გავრცელებულ კაცთმოძულე „თეორიებსა“ და „იდეებს“, რაც წინასწარ განზრახულ დანაშაულობათა განსახორციელებლად იქნა გამოყენებული მსოფლიოსა და კაცობრიობის წინააღმდეგ.




## მეცხრე ტალღა

20 დეკემბრიდან 2 იანვრამდე საშობაო არდადეგები გამოცხადდა. მოკავშირე ქვეყნების მოსამართლეებისა და ბრალმდებლების დიდი ნაწილი სამშობლოში გაემგზავრა. არდადეგები რომ დამთავრდა და მთავარმა ბრალმდებლებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს, დაიწყო მტკიცებულებათა წარდგენა. საამისო წესი ზოგადად განმარტებულია ტრიბუნალის წესდებაში, ხოლო უფრო კონკრეტულად — მის დადგენილებებში. ამ წესის მიხედვით, ბრალმდებლებს წარედგინათ განსასჯელთა მიმართ წაყენებული ბრალდების დამამტკიცებელი საბუთები. ამასთან, მტკიცედ იყო დაცული ბრალდებულთა პროცესუალური გარანტიები. მათ უფლება ჰქონდათ, ისეთი ახსნა-განმარტება მიეცათ ტრიბუნალისათვის, რასაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ყოველი მათგანი უფლებამოსილი იყო, პირადად ან დამცველის საშუალებით წარედგინა დაცვის საბუთები, მოეთხოვა ბრალდების მიერ გამოძახებული მოწმის ჯვარედინი დაკითხვა და სხვ.

ინგლისელმა ოლდერმანმა ბრალდების საბუთად ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ გამოიტანა.

— ბატონო მოსამართლენო, — თქვა მან, — ჩემი ვალია, ტრიბუნალის ყურადღება მივაპყრო დოკუმენტს, რომლის იდეები ბრალდებულთა რწმენის სიმბოლოდ იქცა. მე მხედველობაში მაქვს ჰიტლერის წიგნი „ჩემი ბრძოლა“, რომელმაც თავიდანვე გააცნო ბრალდებულებს ნაცისტი ხელმძღვანელების დანაშაულებრივი მიზნები. ამ წიგნს შეიძლება ნაცისტური აგრესიის ძირითადი გეგმა ეწოდოს...

„ჩემი ბრძოლა“ ნათლად გვიჩვენებს, რომ აგრესიული ომის გამოყენება დასახული მიზნების მისაღწევად ნაცისტური იდეოლოგიის ნაწილი იყო. დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა თქვა, „იდეებს ხელები და ფეხები აქვთო“. აი, ამ ბრალდებულთა მიზანი სწორედ ის იყო, რომ „ჩემი ბრძოლის“ იდეები თავიანთი საქმიანობისა და პოლიტიკის სახელმძღვანელოდ ექციათ. ამ იდეებით და დოქტრინებით უტენიდნენ ისინი თავს გერმანელებს. ამას ასწავლიდნენ სკოლებში, უნივერსიტეტებში, ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო. ამ წიგნს საქორწინო საჩუქრად აძლევდნენ ახალგაზრდებს...

ბრალმდებელმა ტრიბუნალს გადასცა „ჩემი ბრძოლის“ ერთი ეგზემპლარი წარწერით:

— ახალდაქორწინებულთ, ფრიდრიხ როზბროკსა და ელზა ბეკს, ბედნიერი ქორწინების საუკეთესო სურვილებით.

გადაცემულია რაიონის ადმინისტრაციის მიერ, მათი დაქორწინების გამო, 1940 წლის 14 ნოემბერს. ქალაქის მერის მაგივრად — რეგისტრატორი.

ამ წიგნმა მოშხამა მთელი თაობის შეგნება და გახრწნა მთელი ხალხის მსოფლმხედველობა, — განაგრძო მან და ჯალათ ბახზელევსკის მიერ ნიურნბერგის პროცესზე თქმული სიტყვები გაიმეორა:

— „ჩემი ბრძოლიდან“ ოსვენციმის ღუმელებსა და მაიდანეკის გაზკამერებამდე პირდაპირი გზაა...

## მოულოდნელი გამოცხადება...

პროცესის ერთ-ერთ დღეს საბჭოთა ბრალმდებელმა ფელდმარშალ პაულუსის რომელიღაც განცხადება ახსენა. დამცველმა ნელტემ გააპროტესტა ეს: ამ განცხადებას მტკიცების ძალა არა აქვს, თუ თვითონ პაულუსი არ იქნა მოწმედ გამოძახებულიო.

დამცველს ეს საქმის გასაჭიანურებლად უნდოდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანას დიდი დრო დასჭირდებოდა. როგორც ჩანს, ასე ფიქრობდა ლოურენსიც, მაგრამ იგი მაინც დაეთანხმა დამცველს და საბჭოთა ბრალმდებელს ჰკითხა: რამდენი ხანი დასჭირდება ფელდმარშალ პაულუსის ნიურნბერგში ჩამოყვანასო.

— ხუთი წუთი, მილორდ, — უპასუხა ყველასათვის მოულოდნელად რუდენკომ. საქმე ის არის, რომ ჩვენებს პაულუსი იქვე ჰყავდათ, ნიურნბერგში...

...პაულუსის გამოჩენამ დიდი სენსაცია გამოიწვია. დამცველები დაიბნენ. ასე უცებ მზად არ ვართ დაკითხვის ჩასატარებლადო. ისინი ელოდნენ, რომ პაულუსი იტყოდა ყველაფერს, როგორ დაიწყო ჰიტლერმა ომი საბჭოთა კავშირთან. ის ხომ გეგმა „ბარბაროსას“ ერთ-ერთი ავტორთაგანი იყო. თქვა კიდეც, მიუხედავად თავდაუსხმელობის პაქტისა, ჩვენ ვადგენდით ამ გეგმასო. მერე ისიც დაუმატა, ჰიტლერმა თვითონ გაგზავნა ჰესი ინგლისში, რათა რუსეთზე თავდასხმამდე ზავისათვის მიეღწიათო.

— ტყუილია! — იყვირა იოდლმა, — მე ვნახე, როგორ გააცოფა ჰიტლერი ამ ცნობამ.

არა, ეს ტყუილი არ იყო. ნიურნბერგში თვითონ ჰესმაც აღიარა, ინგლისში ჰიტლერის დავალებით გავფრინდიო.

შემდეგ პაულუსმა განაცხადა, ამ პაქტის დარღვევა და რუსეთზე თავდასხმა ჰიტლერის უპასუხისმგებლო სამხედრო პოლიტიკის შედეგი იყოო...

რუდენკომ ჰკითხა მას:

— ვის თვლით ამ თავდასხმაში დამნაშავედ?

ამაზე დამცველი ლატერნზერი წამოხტა. ლოურენსი მაშინვე მიხვდა, რა უნდა ეთქვა მას და სიტყვა ჩამოართვა:

— გენერალო რუდენკო, ეს ის მთავარი საკითხია, რაც სამსჯავრომ უნდა დაადგინოს, ამიტომ მოწმის აზრის გამოთქმა საჭირო არ არის.

შემდეგ ლატერნზერს მიუბრუნდა:

— ეს გინდოდათ გეთქვათ, არა?

ლატერნზერმა უპასუხა:

— დიახ!

რუდენკომ მაშინვე შეცვალა კითხვა:

— ბრალდებულთაგან ვის თვლით თავდასხმის მომზადების აქტიურ მონაწილედ?

— ჰიტლერის უახლოეს სამხედრო მრჩეველთ: კაიტელს, იოდლს, გერინგს...

გერინგი გაცოფდა და დამცველს მოსთხოვა:

— ჰკითხეთ მაგ ჭუჭყიან ღორს, იცის თუ არა, რომ მოღალატეა. ისიც ჰკითხეთ, რუსეთის ქვეშევრდომობა ხომ არ მიუღია. ჩვენ ხახვივით უნდა გავფცქვნათ ეს გამყიდველი...

დამცველმა თავი შეიკავა საქმის გამწვავებისაგან, ვაითუ, პაულუსმა უარესი თქვასო...

...სამხედროები „მოღალატესა“ და „ფიცის გამტეხს“ უწოდებდნენ პაულუსს, ნოირატი, ზეის-ინკვარტი და შახტი კი თანაგრძნობას უცხადებდნენ მას.

— რა ქნას, იგი თავის ტყავს უფრთხილდებაო, — თქვა ბოლოს იოდლმაც.

— მისი გეგმა რომ არ ჩაშლილიყო, იოდლის თანამდებობას დაიკავებდა და ახლა ჩვენთან იქნებოდა საბრალდებო სკამზეო, — დაგესლა კაიტელმა.

თვით რიბენტროპიც კი გაემიჯნა პაულუსს: მან დაასამარა თავისი თავიო. მერე ისე შეტოპა, რომ გასაოცარი რამ თქვა, მე მინდოდა, საბჭოთა კავშირი სამთა ანტიკომინტერნულ პაქტში შემეყვანაო (!!!)...

— საბჭოთა კავშირი ანტიკომინტერნულ პაქტში?.. — გაოცდა ჯილბერტი.

— დიახ, დიახ, ჰო, არა, — დაიბნა რიბენტროპი, — ეს იქნებოდა კონტრბალანსი ინგლისის წინააღმდეგ. ის ერთი ნაჭერი მიწა (დანციგი) რომ მოეცათ, ომი არც დაიწყებოდა.

ჯილბერტმა ახლა მიუნხენი ახსენა და ჰკითხა, ეს ხელშეკრულება მაინც რატომ დაარღვიეთო.

— ჰიტლერს არ დაურღვევია მიუნხენის ხელშეკრულება, — წარბშეუხრელად უპასუხა მას კაიტელმა.

— როგორ?! — კიდევ უფრო გაოცდა ჯილბერტი, — განა სუდეტის ნაცვლად მთელი ჩეხოსლოვაკია არ გადაყლაპეთ?

— კი, მაგრამ ჩეხოსლოვაკია ვერსალის ხელშეკრულების ნიადაგზე წარმოშობილი სახელმწიფო იყო, — არ შედრკა შუბ-



# დოე

ლმაგარი კაიტელი...

## ლაქები მუნდირზე

ყოველივე ამის მიუხედავად, პაულუსის ჩვენებას ისე არ შეუშფოთებია ბრალდებულები, როგორც გენერალ ლახუზენის გამოჩენას მოწმის პულტთან. მან, როგორც დაზვერვის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ცხადია, ყველაფერი იცოდა, რაც გერმანიაში ხდებოდა. გარდა ამისა, იგი 20 ივლისის შეთქმულების მონაწილე იყო, ე.წ. „შინაგანი ოპოზიციის“ წარმომადგენელი და არც არაფერს ფარავდა.

— აჰ, ის მოღალატე, გამყიდველი, — აღრიალდა საკანში გერინგი, — როგორ დაგვავიწყდა იგი და არ მოვსპეთ 20 ივლისს! მე ახლა მივხვდი, თუ რატომ წავაგეთ ომი. აბა, რა იქნებოდა, როცა სამხედრო დაზვერვის უფროსები მტერზე გვყიდდნენ.

გერინგს უნდოდა, როგორმე გაენელებინა ლახუზენის ჩვენების შთაბეჭდილება.

— იგი მოღალატეა და რა ფასი აქვს მის ჩვენებას! — უთხრა მან ჯილბერტს.

— მას ოფიცრის ღირსება დაკარგული აქვს, — დაუდასტურა კაიტელმა. იოდლიც თავის შეფს მიემხრო, ჯილბერტმა კი ყოველივე ეს ლახუზენს ჩაუმარცვლა.

— ახლა ლაპარაკობენ ღირსებაზე, როცა მილიონები დახოცეს?! — იწყინა მან.

ყველაზე უფრო „რატომღაც“ რიბენტროპი ღელავდა. იგი ეხვეწებოდა ჯილბერტს:

— ნუ დაუჯერებთ ლახუზენს. მართალია, ყველაფერს ფიცის ქვეშ ამბობს, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ლომბროზოს ექსპერიმენტებზე ფიცის არასაიმედოობის შესახებ? მან ერთი შემთხვევის გამო 12 სხვადასხვა ვერსია მიიღო 12 პიროვნებისაგან...

რიბენტროპს ამან ვერ უშველა, ლახუზენმა გაიხსენა:

— 1939 წლის 12 სექტემბერს ჰიტლერის სალონ-ვაგონში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: რიბენტროპი, კაიტელი, იოდლი, კანარისი და მე. თათბირის შემდეგ რიბენტროპმა უთხრა კანარისს:

— უნდა მომზადდეს ფიქტიური აჯანყება ან რამე მოძრაობა, რომ ამ საბაბით ყოველი პოლონელის სახლ-კარი გახვეულ იქნეს ცეცხლის ალში და მოისპოს ყველა ებრაელი.

ეიმენმა, რომელიც ჰკითხავდა ლახუზენს, თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერა და ჰკითხა:

— ვინა თქვა ეს?

— ეს თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა. მე იქვე ვიდექი, — მიუგო ლახუზენმა.

— თქვენ სრულიად არ გეპარებათ ეჭვი, სულ ცოტათი მაინც, რომ ეს სწორედ ასე ითქვა? — ჩაეკითხა ისევ ეიმენი.

— არა, მე არავითარი ეჭვი არ მეპარება ამ მხრივ. განსაკუთრებით კარგად მახსოვს ფრაზა: „ცეცხლის ალი უნდა მოედოს ყველა პოლონელის სახლ-კარს“.

რიბენტროპმა ნელ-ნელა ასწია ქუთუთოები და ზიზღით შეხედა ლახუზენს...

ოლენდორფისა და ბახ-ზელევსკის ცინიკურმა გულახდილობამ სულ გააცოფა გერინგი. „ძაღლები“, „ღორები“, „ძაღლღორები“ და, ვინ იცის, კიდევ რა არ უწოდა მათ. არმიის წარმომადგენლები ამ შემთხვევაშიც ცდილობდნენ, ესესელებისათვის გადაებრალებინათ ყველაფერი. ამის პასუხად ოლენდორფმა განაცხადა, მე სულ ფელდმარშალ მაინშტაინის მითითებებს ვასრულებდიო. ბახ-ზელევსკიმ კი დაუმატა, ყველა ორდენი მე სწორედ არმიის სარდლობისაგან მაქვს მიღებულიო. როცა იგი დაკითხვის შემდეგ გაჰყავდათ დარბაზიდან და გერინგის საბრალდებო სკამთან ჩაატარეს, ყოფილმა რაიხსმარშალმა უღრიალა:

— შე ძაღლო, შე ღორო, გამყიდველო!

ბახ-ზელევსკი შეტორტმანდა. მცველებმა ხელი მოჰკიდეს მას და გაიყვანეს.

ამის გამო გერინგმა მორიგი სასჯელი მიიღო ენდრიუსისაგან...

...უფრო დიდი მორალური სასჯელი ბრალდებულებს შახტის მიერ მოწმედ გამოძახებულმა გიზევიუსმა მიაყენა. ლახუზენის მსგავსად, გიზევიუსმაც „ ყველაფერი იცოდა“, და, როცა იგი დარბაზში შემოიყვანეს, ბრალდებულთა შორის უსიამოვნო ჩოჩქოლი ატყდა. გიზევიუსი კი ჯერ რაიხსტაგის დაწვისა და ამის შედეგად გამართულ ხოცვა-ჟლეტის საკითხს შეეხო. მან, როგორც ამ საქმის მონაწილემ, პირდაპირ განაცხადა, რომ ყოველივე ეს გერინგის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო. მის ნათქვამს კი „ფასი ჰქონდა,“ რადგან ამ „გრანდიოზული პროვოკაციის“ მონაწილეთაგან იგი ერთადერთი იყო, ვინც ცოცხალი გადარჩა, დანარჩენი თანამონაწილენი „კვალის დასაფარავად“ დახოცეს.

გიზევიუსის გამოსვლის შემდეგ ამ საკითხს არავინ დაბრუნებია. ისედაც აშკარა იყო, რომ რაიხსტაგის დაწვის პროვოკაცია მოაწყვეს ჰიტლერმა, გერინგმა და გებელსმა, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ ოპოზიციური პარტიის წევრებს...

გარდა ამისა, გიზევიუსმა სრულიად ნათლად აჩვენა, რომ ე.წ. „რემის პუტჩისა“ თუ „მეორე რევოლუციის“ ამბებიც, რასაც ამდენი მსხვერპლი მოჰყვა, ასევე „წინასწარ ჩაწყობილი“ პროვოკაცია იყო.




## ჯოჯოხეთის აჩრდილები...

გამოირკვა, რომ ნაციზმის მეთაურებს თავიანთი სიცოცხლე უცხოეთის ბანკებში ჰქონდათ დაზღვეული: გერინგს — 4.000.000 დოლარად; რიბენტროპს — 5.665.000 დოლარად; გებელსს — 2.490.000 დოლარად. თვით ჰიმლერსაც კი, რომელზედაც ამბობდნენ, ისე ხელმოკლედ ცხოვრობდა, კაპიკს კაპიკზე აწებებდაო, უამრავი ვალუტა აღმოუჩინეს გადამალული. ხალხებს კი „მონებად“ თვლიდნენ და გაშმაგებით ჟლეტდნენ „რასობრივად არასრულფასოვან“ ადამიანებს.

... როგორ ხდებოდა ეს, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილმა ტუსაღებმა აჩვენეს პროცესზე. როცა ისინი შემოიყვანეს დარბაზში, „მეზობელმა“ გადმომილაპარაკა:

— ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, თითქოს ჯოჯოხეთის აჩრდილებს ვხედავდეო...

პირველი ასეთი „აჩრდილი“ მორის ლამპი იყო.

**ლოურენსი:** თქვენი სახელი და გვარი?

**ლამპი:** მორის ლამპი.

**ლოურენსი:** გაიმეორეთ ჩემთან ერთად ფიცის სიტყვები: ვფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის გარეშე...

**ლამპი:** ვფიცავ, ვილაპარაკო ყოველგვარი შიშის გარეშე...

**ლოურენსი:** ვილაპარაკო სიმართლე.

**ლამპი:** ვილაპარაკო სიმართლე.

**ლოურენსი:** სრული სიმართლე მხოლოდ სიმართლე...

**ლამპი:** სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე...

**ლოურენსი:** ასწიეთ მარჯვენა ხელი და გაიმეორეთ: მე ვფიცავ!

**ლამპი:** მე ვფიცავ!

და დაიწყო საშინელებათა მოყოლა: 12 გრადუსი ყინვა. საქონლის გადასაყვანი ვაგონები. 1200 სრულიად შიშველი ფრანგი სამხედრო ტყვე. მაუთჰაუზენი. კომენდანტის მიმართვა:

— მე წინასწარ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ უკვე არასოდეს არ დაუბრუნდებით თქვენს ოჯახს. ვინც ამ ბანაკში ხვდება, აქედან მხოლოდ კრემატორიუმის საკვამლე მილით გადის...

თვითონ ლამპმა თქვა:



საბჭოთა ბრალმდებლის მოადგილე იური პოკროვსკი

— ეს იყო დანტეს ჯოჯოხეთის სურათები! 1944 წლის სექტემბერს მობრძანდა ჰიმლერი. ბანაკის კომენდატურამ მას წარმოდგენა გაუმართა: 50 ოფიცრის დახვრეტა.

სხვა დროს: ეშელონი ზაქსენჰაუზენის ბანაკიდან. 2500 ტყვე. გზაში მოკვდა 800. 1700 მოიყვანეს მაუთჰაუზენში. მათგან 400 მოხუცი და ავადმყოფი გადაარჩიეს „ლაზარეთში გადასაყვანად“. მერე 10 გრადუს ყინვაში გახადეს და ისე დააყენეს ეზოში. ზოგი მაშინვე გაიყინა. სხვები ცივი შხაპის ქვეშ გაატარეს და ისევ ეზოში გამოიყვანეს, ვიდრე ისინიც გაიყინებოდნენ. ეს პროცედურა 18 საათი გრძელდებოდა. ვინც კიდევ ფეთქავდა, ნაჯახის დარტყმით უღებდნენ ბოლოს...

ჰიმლერმა უბრძანა დამსჯელი ჯგუფების ხელმძღვანელებს, ამიერიდან ქალები და ბავშვები **„ბეკერის სისტემით“** დახოცეთო. საქმე ის არის, რომ დამსჯელი რაზმების „სამუშაოს“ ფსიქოლოგიურად შესამსუბუქებლად „ფრიად განათლებულმა ინჟინერმა“ ბეკერმა გამოიგონა ის ჯოჯოხეთის მანქანა, რომელსაც შემდეგ „გაზვაგენი“, ანუ „დუშეგუბკა“ დაერქვა. ეს მანქანა პირველად გამოიყენა ოლენდორფმა, რომელსაც თავისი დამსჯელი რაზმი მოჰყავდა კავკასიისკენ. პროცესზე მან თქვა, რომ მიუხედავად დიდი იმედებისა, „ბეკერის სისტემის“ გამოყენებამ მაინც ვერ შეამსუბუქა დამსჯელი რაზმების „ფსიქოლოგიური დაძაბულობა“ ქალებისა და ბავშვების დახოცვის დროს.

და აი, ახლა ეს ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა გენერალი დგას მოწმის ტრიბუნაზე და საბჭოთა ბრალმდებლის მოადგილე პოკროვსკი არკვევს, რატომ მოხდა ეს ასე:

**პოკროვსკი:** თქვენ თქვით, რომ ამ მანქანებში უმთავრესად ხოცავდნენ ქალებს და ბავშვებს, რა მოსაზრებით?

**ოლენდორფი:** ჰიმლერის კატეგორიული ბრძანება იყო, ამიერიდან ქალები და ბავშვები დაგვეხოცა მხოლოდ „გაზვაგენების“ საშუალებით, რათა თავიდან აგვეცდინა ზედმეტი სულიერი მღელვარება. ეს საშუალებას აძლევდა მამაკაცებს, რომელთაც ცოლ-შვილი ჰყავდათ, არ ესროლათ ქალებისა და ბავშვებისათვის.

**პოკროვსკი:** ვინმე თუ ადევნებდა თვალყურს მათ მოწამვლას „გაზვაგენის“ ძარაში?

**ოლენდორფი:** დიახ, ექიმი.

**პოკროვსკი:** იცით თუ არა თქვენ იმის შესახებ, რომ ბეკერის მოხსენების მიხედვით, ამგვარი სიკვდილი განსაკუთრებით მტანჯველი იყო?

**ოლენდორფი:** არა. ბეკერის მოხსენების შესახებ მე მხოლოდ აქ შევიტყვე, როცა გამაცნეს მისი წერილი რაუფისადმი...

**პოკროვსკი:** თქვენ თუ მოგდიოდათ ცნობები, რომ დამსჯელი რაზმები, არცთუ ისე ხალისით იყენებდნენ ამ მანქანებს?

**ოლენდორფი:** მე ვიცოდი, რომ ოპერატიული ჯგუფები იყენებდნენ ამ მანქანებს.

**პოკროვსკი:** არა, მე სხვა რამე მაქვს მხედველობაში, გაცნობებდნენ თუ არა თქვენ, რომ ოპერატიული ჯგუფები ბეკერის სისტემის მანქანის გამოყენებას სხვა სახით სიკვდილით დასჯას ამჯობინებდნენ?

**ოლენდორფი:** ე.ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ისინი ბეკერის მანქანას ამჯობინებდნენ სხვა სახით დახოცვას?

**პოკროვსკი:** პირიქით, რომ მათ ერჩიათ, დაეხვრიტათ ისინი, ვიდრე მოეწამლათ „გაზვაგენებში“.

**ოლენდორფი:** დიახ, მე ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ...

**პოკროვსკი:** რა მოსაზრებით ხდებოდა ეს ასე?

**ოლენდორფი:** რამდენადაც მახსოვს, იმიტომ, რომ ორგანიზმის მოწამვლის შედეგები ეტყობოდა გვამებს. ეს ძალიან ცუდი სანახაობა იყო. გარდა ამისა, მანქანის ძარის დაცლა იყო ძნელი, რადგან გვამები მოსვრილი იყო განავლით.

**პოკროვსკი:** თქვენ გინდათ თქვათ, რომ გვამებს ეტყობოდათ ტანჯვა, რასაც დასჯილები განიცდიდნენ სიკვდილის დროს? ასეა, არა?

**ოლენდორფი:** მხედველობაში გაქვთ „გაზვაგენში“ მოწამვლა?

**პოკროვსკი:** დიახ!..

**ოლენდორფი:** მე შემიძლია გავიმეორო, რაც უკვე მოგახსენეთ. ექიმმა მითხრა, ასეთი სიკვდილის დროს ისინი არ იტანჯებოდნენო...

**პოკროვსკი:** მაშინ სრულიად გაუგებარია, თქვენი ნათქვამი, რომ ოპერატიული ჯგუფები ირჩევდნენ დახვრეტას და არა ამ მანქანის გამოყენებას.

**ოლენდორფი:** დიახ, მე უკვე მოგახსენეთ გვამების მდგომარეობის გამო. ისინი ამოგანგლული იყვნენ...

ის ოჯახაშენებული პოკროვსკიც რომ არ მოეშვა ამ კითხვას! იგი ჩააცივდა ოლენდორფს და ერთხელ კიდევ ათქმევინა, რომ „გაზვაგენის“ ძარა მოსვრილი იყო...

როგორც ჩანს, ამან ნიკიტჩენკოს ჩვეული „ოლიმპიური სიმშვიდეც“ დაარღვია და თვითონ ჩაერია დაკითხვაში, რომ საუბარი სხვა თემაზე გადაეტანა, მაგრამ დარბაზში ისევ ის ისმოდა: ხოცვა-ჟლეტა, ძალადობა, გაუპატიურება, ძარცვა. მერე ისეთი შემაძრწუნებელი მასალები იქნა წარდგენილი, რომ ამის მოსმენა, მართლაც, აღარ შეიძლებოდა... ბევრმა ყურმილი მოიხსნა... კორესპონდენტების ნაწილი გავიდა დარბაზიდან. ეს იყო თოთხმეტიდან ცხრამეტ თებერვლამდე... საბჭოთა ბრალმდებელმა აღნიშნა, ამგვარი დანაშაულებრივი მოქმედების 54 784 აქტია შედგენილიო, მაგრამ ამას ვინ ჩამოთვლიდა ან რა გული აიტანდა ამის მოსმენას!

ტრიბუნაზე კი ახლა საბჭოთა ბრალმდებელი სმირნოვი იდგა და ისიც იმას ყვებოდა — სად, ვინ და რამდენი დახვრიტეს, რამდენი კაცი, ქალი, ბავშვი, მოხუცი; რამდენი გააუპატიურეს და მოკლეს...

რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# იაროსლავ ბრძენიდან ვოლოდიმირ სულელამდე

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

## ★ ისტორიის უკეთ გაგებისათვის



აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში კელი დეგნანი



## მოვუწოდებთ ხელისუფლებას:

**დაუყოვნებლივ გაასაჯაროოს კელი დეგნანისა და ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრისა და საუბრის ვიდეო ან აუდიოჩანაწერი, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ბუნებაში აუცილებლად არსებობს და მთელ მსოფლიოს ამცნოს, თუ რას ითხოვდნენ სინამდვილეში ამერიკელი კანიბალები საქართველოსგან!**

**ᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ** (976-1025 წ.წ.) **ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲛᲛᲣᲡᲕᲠᲔᲚᲛᲐ ბაგრატ მესამეს** წაართვა! მაშინ საქართველომ ძლევამოსილ ბიზანტიის იმპერიასთან ის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წააგო და ქვეყნის სამხრეთი რამდენჯერმე მოოხრდა, მაგრამ საქართველო შინაგანად მაინც ძლიერდებოდა ისევე, როგორც ძლიერდებოდა და საოცარ კულტურულ და პოლიტიკურ აღმასვლას განიცდიდა **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘᲡ** (1019-1054 წ.წ.) **ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.**

**ვოლოდიმირ სულელისა** და მისი ხროვისგან განსხვავებით, რომლებიც ამერიკელმა იმპერიალისტებმა და კანიბალებმა კიევში უკრაინის დასაქცევად დასვეს, ათასის წლის წინათ კიევში იჯდა უდიდესი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწე **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ,** რომელმაც კიევის რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტი უმაღლეს დონეზე აიყვანა და თავისი სახელი და დიდება იმდენად შორს გასტყორცნა, რომ მასთან დანათესავებით და დინასტიური კავშირით მთელი ევროპის სამეფო ოჯახები თავს იწონებდნენ!

**ათასის წლის წინათ, ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘᲡ** დროს, კიევის რუსეთში აშენდა **წმინდა სოფიას ტაძარი,** დაიდგა **„ოქროს ჭიშკარი“,** დაარსდა **კიევ-პეჩორის ლავრა,** შეიქმნა პირველი საკანონმდებლო ძეგლი — **„იაროსლავის სამართალი“,** რომელიც „რუსსკაია პრავდას“ უძველესი ნაწილია, ხოლო 1051 წელს **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲛᲐ** კიევის მიტროპოლიტად დანიშნა რუსი მღვდელი **ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ,** რომელმაც ბიზანტიის ეკლესიისგან გათავისუფლება და ავტოკეფალიის მოპოვება სცადა...

დღეს **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ** განსხვავებით, კიევს მართავს **ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲣᲚᲔᲚᲘᲡ** გარყვნილი და მოღალატე რეჟიმი, რომელმაც ევროპის უდიდესი ქვეყანა სასაკლაოდ აქცია და ერთ დროს აყვავებული და უდიდესი ეკონომიკის მქონე უკრაინა მიწასთან გაასწორა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲣᲚᲔᲚᲘᲡ** უღმერთო რეჟიმმა უკრაინაში მღვდლების ცემა და ეკლესიების დარბევა, ფაქტობრივად, დააკანონა. **ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲣᲚᲔᲚᲘᲡ** უკრაინაში ღმერთი მოკვდა... ტაძრებიდან ღმერთი განდევნეს და მისი ადგილი ბარაბანშჩიკებმა, მოცეკვავეებმა, მესაყვირეებმა და კლარნეტზე დამკვრელებმა დაიკავეს, რომლებიც ღვთის სახლში კონცერტებსა და ზეიმებს აწყობენ!

აი, ამიტომ ინგრევა და ნადგურდება **ვოლოდიმირ სულელის უკრაინა!**

სხვათაშორის, **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ** იყო შვილი იმ **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲕᲘᲐᲢᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲫᲘᲡᲐ,** რომლის დროსაც კიევის რუსეთი გაქრისტიანდა. რუსული ისტორიოგრაფია თანხმდება, რომ ეს მოხდა **988**

## ათასის წლის წინათ

**წლის ზაფხულში,** თუმცა, ამ მნიშვნელოვანი ფაქტის აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა თარიღებიც არსებობს... **კონსტანტინოპოლის პატრიარქმა** მთავარი **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲕᲘᲐᲢᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲫᲔ** ქალაქ ხერსონში გააქრისტიანა, რის შემდეგაც მდინარე დნეპრში მთელი რუსეთი მოინათლა. მხოლოდ ამის შემდეგ მიათხოვეს საქართველოს მაოხრებლებმა — **ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲛᲛᲣᲡᲕᲠᲔᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲔᲠᲕᲔᲛ მთავარ ვლადიმირს** თავიანთი და, ბიზანტიის პრინცესა **ᲐᲜᲐ...** იმ დღიდან მოყოლებული, ძველი ბერძნების მიერ დაარსებული პოლისი — **ხერსონი** რუსეთის ისტორიაში იმ საკრალური მნიშვნელობისა და ძალმოსილების მქონე ქალაქია, რა ფუნქციაც და სულიერი დატვირთვაც საქართველოს ისტორიაში მცხეთას აქვს.

ამიტომაა, რომ **პუტინის რუსეთი** ასეთი გაალმასებით უტევს ქალაქ **ხერსონს.** თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი უკრაინაში ყველა სურვილს აისრულებს და, სავარაუდოდ, ხელში არათუ ხერსონს, არამედ რუსული ქალაქების დედას — კიევსაც ჩაიგდებს, რადგან კიევში ზის არა **ᲘᲐᲠᲝᲡᲚᲐᲕ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ,** არამედ ამერიკელების მიერ ნახმარი **ᲕᲝᲚᲝᲓᲘᲛᲘᲠ ᲡᲣᲚᲔᲚᲘ!**

**ათასის წლის წინათ** საქართველოს ეომებოდა ქრისტიანი მტერი — **ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ,** რომელიც თავის სურვილსა და განზრახვას არც მალავდა. 1021 წელს ამ ქრისტიან მტერთან საქართველოს ახალგაზრდა მეფე **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ** სოფელ შირიმნთან გაიმართა... დაიხადა დიდი ბრძოლა, სადაც, სამწუხაროდ, დავმარცხდით და ქვეყანა მოოხრდა. **კოლა, არტაანი, ჯავახეთი და თრიალეთი ბიზანტიელებმა აიკლეს, გადაიწვა ქალაქი ოლთისი, მაგრამ ბერძნებს მაინც მოუწიათ ქვეყნიდან აბარგება...**

საუბედუროდ, დღეს საქართველოს ძმობას, სიყვარულსა და „ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორობას“ ეფიცება ამერიკის იმპერია, რომელიც უკრაინის სასაკლაოსკენ სულ სიცილ-ხარხარითა და „პაჩიპუჩით“ მიგვერეკებოდა.

**როგორც კი ამ ვერაგი და ქართველი ერისთვის გამანადგურებელი დირექტივის შესრულებაზე უარი ვთქვით, ამერიკის იმპერიამ, ბიზანტიის იმპერიის მსგავსად, ახალი შირიმნის ბრძოლა მოგვიწყო...** კერძოდ, იმ გეი-ფაშისტებსა და გადაგვარებულებს, რომლებსაც დიდი ხანია, ამერიკელი კანიბალები და ლგბტ გათახსირებულები აფინანსებენ, **ხელში შირიმის ქვები და ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილები“ დააჭერინეს და საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოკვლა, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემდეგ, კიდევ ერთხელ სცადეს!**

მართალია, **ათასის წლის წინათ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ამ ქვეყნიდან სრულიად ახალგაზრდა, 25-27 წლის ჭაბუკი წავიდა, მაგრამ საქართველო გადარჩა და მისმა შვილთაშვილმა — დიდმა დავით აღმაშენებელმა დიდგორთან კაცობრიობის ისტორიაში არათუ ერთ-ერთი უდიდესი ომი მოიგო, არამედ უძლიერესი იმპერია შექმნა! **დავითის საქართველოში, რომელიც ქრისტიანობის მზით ბრწყინავდა, ტოლერანტობის ზეიმი იყო...** მაგალითად, ცნობილია, რომ დავითის ბრძანებით, თბილისის მუსლიმურ და ებრაულ უბნებში ქართველ ქრისტიანებს ღორის დაკვლაც კი ეკრძალებოდათ!

**ათასის წლის წინათ, ქრისტეშობიდან ზუსტად 1000 წელს,** ნორვეგიელი ერიკ წითურის ვაჟმა ლეიფ ერიქსონმა **ქრისტეფორე კოლუმბამდე** ხუთასი წლით ადრე, აღმოაჩინა ჩრდილოეთ ამერიკა, სადაც დაახლოებით 30 მილიონი ადგილობრივი ინდიელის ძვლებზე წამოიმართა მონათმფლობელური სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მონობა და აპარტეიდი დღემდე არ გამქრალა!

**შეერთებულმა შტატებმა ვერ დაამკვიდრა დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის სტანდარტი — ვერც მონობა მოსპო და ვერც სიკვდილით დასჯა გააუქმა! სამაგიეროდ, ამერიკამ შექმნა ატომური ბომბი, რომლის მოდერნიზებულ ვარიანტსაც დედამიწის სამოცჯერ დანგრევა შეუძლია!**

ისღა დაგვრჩენია, ამ ყველაფერს დიდი რეზო ჩხეიძის გენიალური კინოგმირის ლუკა ოდილავაძის იმ ცნობილი სიტყვების პერიფრაზით დავუსვათ წერტილი, ამერიკელ ჯეიმს კნორინგს რომ უთხრა ავტობუსში — **„საქართველოს გაჩენა ამერიკისთვის არ უკითხავთ და არც მის დანგრევას ჰკითხავს ვინმე!“**

კარგად დაიმახსოვრეთ ეს!

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘᲡᲘᲛᲣᲡᲘ
2025 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. №2 (298)

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# ულირსმა გოგოშკამ საამაყო ქართველის ლაშა ტალახაძის პროვოცირება სცადა!

*საქართველოს მეექვსე პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციის დღეს მთელმა საქართველომ ნახა ვიღაც ქუჩის ქალისა და ღირსებააყრილი დედაკაცის მიერ გავრცელებული სამარცხვინო ვიდეოკადრები, რომლებმაც სოციალური ქსელები წალეკა!*

ვიდეოზე ასახულია ამაზრზენი და უმსგავსო ამბავი: ჩვენი სახელოვანი **ლაშა ტალახაძე** — სამგზის ოლიმპიური, შვიდგზის მსოფლიოსა და შვიდგზის ევროპის ჩემპიონი — პარლამენტის შესასვლელისკენ ფეხით მიემართება, რათა პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწროს, უკან კი ვიღაც ქუჩის ქალი მისდევს, რომელსაც ტელეფონი მოუმარჯვებია და საამაყო ქართველს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს!

პირველ რიგში, საქართველოს და მერე მის ცოცხალ ლეგენდას — **ლაშა ტალახაძეს** არ ვაკადრებთ იმ ბინძური სიტყვების ციტირებას, რომლებიც იმ ხელიდან წასული გოგოშკას პირიდან ისმის, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ ეს მართლაცდა არარაობა, რომელიც მსოფლიო სპორტის კაშკაშა ვარსკვლავის პროვოცირებას ცდილობდა, **ლადო ხინჩეგაშვილსა და გენო პეტრიაშვილსაც** შეურაცხყოფდა...

ცხადია, **ლაშა ტალახაძეს** შეეძლო, ეს აყროლებული არარაობა თავისნაირ ავადმყოფებთან თუ ტრენერებთან ერთად ნიფხვებით კედელზე შემოენარცხებინა, მაგრამ ქართული ღირსებით აღსავსე ვაჟკაცმა ამ უღირსებთან თავის გატოლება არ იკადრა, გზა მშვიდად განაგრძო და ფინია ძაღლის ღრენას, რომელიც ლეგენდარულ სპორტსმენს ფეხდაფეხ მისდევდა და ბინძური სიტყვებით ლანძღვას ისევ და ისევ არ იშლიდა, ყურადღება არ მიაქცია. სპორტსმენი მხოლოდ პარლამენტის კუთხეში შეჩერდა, სადაც ნაცნობს მიესალმა და მერე ისევ აუღელვებლად განაგრძო გზა.

ყველაფრის მიუხედავად, ქუჩის ქალი არა და არ ცხრებოდა, ლაშას ჩრდილივით მისდევდა და უსინდისოდ ილანძღებოდა...

ცხადია, ეს ქუჩის ქალი, რომლის სახელი და გვარი აუცილებლად მთელმა საქართველომ უნდა გაიგოს, **ელტონ ჭყონიამ, ლიაკა ხოშტარიამ, ზურაბ-ბირჩი შარვალჩახდილმა, მამუკა ხაზარაძემ, ჭუჭუ ვაშაძემ ან ნიკუტა გვარამიამ** მიუქსიეს ლაშა ტალახაძეს და დაავალეს — **ეგებ წყობიდან გამოიყვანო, ნერვებმა უმტყუნოს, ხელი გტაცოს და მერე ჩვენ ვიცითო!**

გამორიცხული არ არის, ეს ნაცპროვოკატორი ის ნიფხავჩახდილი ქალი იყოს, რომელმაც კამერის წინ ჩაიცუცქა, პარლამენტის შენობის ამსახველ ფოტოსურათზე უბინძურესი სიტყვების თანხლებით დააშარდა და მერე ეს ყველაფერი სოციალურ ქსელებში ატვირთვა.

შესაძლოა, ეს პროვოკატორი სულაც **თეა დარჩია** აღმოჩნდეს, რომელსაც **უცხოური გამჭვირვალობის შესახებ კანონი** წაკითხული არ ჰქონდა, მაგრამ მაინც თუთიყუშივით იმეორებდა — **ტანით ვგრძნობ, რომ კანონი რუსულიაო!** ვიდრე ამას იტყოდა, მანამდე **დარჩიამ** თავის მოწაფეებს — მცირეწლოვან გოგონებს, 2019 წლის 20-21 ივნისის ცნობილი მოვლენების დროს თვალამოთხრილი **მაკო გომურის** სოლიდარობის ნიშნად, ცალ თვალზე ხელი ააფარებინა და ისე აცეკვა, ხოლო ამ სამიოდე კვირის წინათ კიდევ ერთი გაუგონარი ნოუ ჰაუ შემოგვთავაზა და უძველესი ქართული საბრძოლო ცეკვა ხორუმი ქალებს შეასრულებინა. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ნაახალწლევს ქართული სიმღერა **კნავილს** შეადარა...

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, ღირსეულ კაცს — **ლაშა ტალახაძეს** სწორედ ეს უღირსი წარმონაქმნი აჰკიდებოდა.

ასეა თუ ისე, ღირსეულ ქართველს და სამშობლოს სიამაყეს — **ლაშა ტალახაძეს** ქუჩაში, უკაცრაული პასუხია და, ტრასის ბოზივით ვიღაც უღირსი და სამყაყეთის დედოფალი აეკიდა, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი პროვოცირება ვერ შეძლო.

**ღირსების სახელით ლაშა ტალახაძეც, გენო პეტრიაშვილიც, ლადო ხინჩეგაშვილიც, ლაშა ბექაურიც, ხვიჩა კვარაცხელიაც, ლევან საგინაშვილიც, გიორგი ჩაკვეტაძეც, თორნიკე შენგელიაც** და ყველა სახელოვანი და კუნთმაგარი ქართველი ვალდებულია, დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეს, მაგრამ იგივე ღირსების კოდექსი ყველას ავალდებულებს, მოერიდოს და თავი არ გაუყადროს უღირსებს, რომელთა წარმოდგენაშიც საქართველო და ქართველობა იმ ჩაცუცქული ძუკნის ლაჯებთან მთავრდება, რომელმაც პარლამენტის შენობის ამსახველ ფოტოსურათს უბინძურესი სიტყვების თანხლებით დააშარდა!

სწორედ **ღირსების სახელით** მოქმედებდა დიდი **გრიგოლ რობაქიძე,** როცა შვეიცარიაში, ჟენევის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალს, უკნიდან ვიღაც გიჟი წამოეპარა და ზურგზე შეახტა... **რობაქიძემ** წარბიც არ შეიხარა და რამდენიმე მეტრი ეს ტუტრუცანა ასე ზურგზე მოგდებული ატარა; ახალგაზრდა ძირს რომ ჩამოხტა და კისრისტეხით გაიქცა, **გრიგოლმა** პიჯაკი შეიხსნა, გაიხადა და სანაგვე ყუთში ჩააგდო! **რობაქიძეს არასოდეს ულხინდა, მაგრამ სწორედ ღირსების სახელით იძულებული იყო, მოეშორებინა ტანსაცმელი და ნივთი, რომელიც ნაგავთან ასოცირდებოდა.**

ფაქტია, რომ ავგიას თავლა გასაწმენდია და ქართველებს დიდი სანაგვე გვაქვს ასაშენებელი ასეთი ნაძირალა გოგოშკებისა და მათი მამრი კოლეგების ჩასაყრელად!





2024 წლის 29 დეკემბერს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილის ინაუგურაციაზე მიმავალი ლაშა ტალახაძე, რომელსაც მდედრი ნაცაქტივისტი შეურაცხმყოფელი წიკვინით აედევნა!

## ღირსების სახელით!




*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები

**ლევან საგინაშვილი**
*მსოფლიოში უძლიერესი მკლავჭიდელი*



**ქართველები** სამჯერ მეტი რომ ვიყოთ, **დედამიწას გადავდგამდით.**

„კვირის პალიტრა“

**ბექა კობახიძე**
*ისტორიის დოქტორი*



**როცა პროტესტს არ ჰყავს „თავი“,** ეს ცუდიცაა და კარგიც. ცუდია იმიტომ, რომ პროტესტის ორგანიზება, გაშლა ჭირს, მეორე მხრივ, **როგორც კი გამოჩნდება თავი,** ხელისუფლებისთვის ის იოლი სამიზნე ხდება და იწყება მისი მოჭრა.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა პაპაშვილი**
*ბიზნესმენი*



**ბიძინა ივანიშვილი** უკვე შევიდა ისტორიაში, **მან ჩვენს ქვეყანას ომი ააცილა.** საქართველოს არცერთი წამით არ გადაუხვევია ევროკავშირის გზიდან, **„ქართული ოცნების“ დამსახურებაა, რომ ახლა მშვიდად ვართ.**

„პირველი არხი“

**მაია ბარათაშვილი**
*მომღერალი*



ძალიან გთხოვთ, **ნუ დავაბულინგებთ ერთმანეთს,** სიძულვილს არაფერი კარგი არ მოაქვს. **მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით წინ.**

„ახალი თაობა“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



**ილიას** ვკითხულობდი და მის სიტყვებს გავიმეორებ — **„ერი, რომელიც სხვის ჭკუაზე დადის, ყოველთვის წაგებული იქნება“.** ჩვენც გვაქვს ცოტა ჭკუა და ჯობს, მას დავეყრდნოთ.

„თბილისელები“

დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2024 წლის №30–53, 2025 წლის №1–2

# ლაზარე ჯორბენაძე: ბოლოს და ბოლოს, დავსაჯოთ მტრები და მოვისვენოთ ერთხელ და სამუდამოდ!



**უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე ბიზნესმენ მამუკა ჯინჭარაძის საიდუმლოებით მოცულ გარდაცვალებას იხსენებს და ხელს მიხეილ სააკაშვილისკენ იშვერს:**

— პირველ რიგში, საქართველოს შობა-ახალ წელს ვულოცავ! ჩვენს სამშობლოში ოშკის, სვეტიცხოვლის, ალავერდისა და გელათის შემდეგ წმინდა სამების მსგავსი ტაძარი არ აშენებულა. ბატონმა **ბიძინა ივანიშვილმა** საქართველოს ეს მშვენება აჩუქა და მის ამ ღვაწლს, ცხადია, დავიწყება არ უწერია, მაგრამ აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენოთ შესანიშნავი ქართველი, რუსეთში გამდიდრებული აჭარელი კაცი, ბიზნესმენი **მამუკა ჯინჭარაძე,** რომელმაც სამების გუმბათი მოაოქროვა! ცხონდეს მისი სული, **მამუკა ჯინჭარაძე** დიდებული ქართველი იყო, რომელიც ფლობდა **„ლიბერთი ბანკის“** საკონტროლო პაკეტს, ჰქონდა ძალიან დიდი ფინანსური შესაძლებლობები და გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა... დღევანდელი გადასახედიდან ეჭვი არ მეპარება, რომ იგი მოკლულია და ამ მკვლელობის უკან მიხეილ სააკაშვილი და მისი ხროვა დგანან!

**— კარგად მახსოვს, მამუკა ჯინჭარაძის ვერტმფრენი, რომელიც მას ვანო მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ჰქონდა ნაქირავები, მიწაზე ავარიულად რომ დაეშვა, დაიმსხვრა და მერე მერაბიშვილმა ჯინჭარაძეს აანაზღაურებინა მთელი ზარალი... მაშინაც ხომ არ იგეგმებოდა ჯინჭარაძის მკვლელობა?**

— ყველაფრიდან ჩანს, რომ ბიზნესმენ **მამუკა ჯინჭარაძის** მკვლელობით იხეირა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილმა, რადგან ამ ფაქტიდან ორ თვეში „ლიბერთი ბანკის“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გახდა მასთან დაახლოებული ხალხი, მათ შორის, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი **ბება მგალობლიშვილი,** რომელიც მერე სააკაშვილმა თავის კაბინეტში სცემა და გააგდო...

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ამის მიზეზი იყო **ბება მგალობლიშვილისა** და **გიული ალასანიას** კავშირი. თუ რით იყვნენ დაკავშირებული მგალობლიშვილი და გიული ერთმანეთთან, ამაზე არ დავკონკრეტდები. **ბება მგალობლიშვილი** სიკვდილს სწორედ **გიული ალასანიამ** გადაარჩინა, თორემ **სააკაშვილი** მასაც ისევე მოკლავდა, როგორც **ჟვანია** გაისტუმრა იმქვეყნად! ცემიდან ცოტა ხანში მგალობლიშვილი გადადგა... საერთოდ, სააკაშვილს ჩვევად ჰქონდა — წარმატებულ ქართველ ბიზნესმენებს საქართველოში ჩამოიტყუებდა და მერე შანტაჟს, ტერორსა და ძარცვას დაუწყებდა ხოლმე. თუ ამ გზით არაფერი გამოუვიდოდა, ბიზნესმენს აუცილებლად მოაკვლევინებდა... როგორც ჩანს, სააკაშვილი **მამუკა ჯინჭარაძეს** „ლიბერთი ბანკის“ საკონტროლო პაკეტის გადმოფორმებას სთხოვდა, მაგრამ საწადელს რომ ვერ მიაღწია, ბიზნესმენი მოკლა და შემდეგ ყველაფერი ხელში ჩაიგდო. **მამუკა ჯინჭარაძის** მკვლელობის გახსნა **ზურაბ ადეიშვილს** არ აწყობდა და არც არის გამოძიებული...

**— სააკაშვილს იცნობთ?**

—სააკაშვილი პარლამენტარმა, ცხონებულმა **ალეკო შალამბერიძემ** გამაცნო 1996 წელს, როცა მე, **შორენა ჯანხოთელი** და კიდევ რამდენიმე ძლიერი იურისტი საზოგადოებრივ საწყისებზე პარლამენტში კანონებზე სამუშაოდ მიგვიწვიეს. პარლამენტის ბუფეტში **სააკაშვილმა** იმთავითვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, რადგან ცხოველივით ჭამდა და წარმოუდგენლად გრძელი ხელები ჰქონდა. თვალში მომხვდა მისი სიარულის მანერაც — თითქოს წელს ზემოთ სხვა კაცი დადიოდა და წელს ქვემოთ — სხვა. ცხონებულ ალეკოს მაშინვე ვუთხარი — ეს მთლად დალაგებული არ არის-მეთქი! ახლაც მახსოვს, **ალეკო შალამბერიძის** სიტყვები — **ღმერთმა ნუ ქნას, სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდეს, თორემ საქართველოს გაუბედურება მაშინ ნახეო!** საუბედუროდ, ცხონებული ალეკოს შიში ახდა...

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, სახელმწიფო თავის ფუნქციას არ ასრულებსო! რას გულისხმობთ?**

— ვგულისხმობ იმას, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით, გენერალურმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა გასცეს სანქცია **სალომე ზურაბიშვილის, თინა ხიდაშელის, დავით უსუფაშვილის, ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ლიაკა ხოშტარიას, ნიკა გვარამიას, ჭიჭე ვაშაძის, ეკა ბიგაურის, გიორგი გახარიას, ნინო ლომჯარიას, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“** და კიდევ რამდენიმე ენჯეოსა და ენჯეოშნიკის დაპატიმრების შესახებ! გასაგებია, რომ დაახლოებით ორმოცდაათამდე შემსრულებელი, რომლებიც „მოლოტოვის კოქტეილებს“ და ქვებს ისროდნენ, დაკავებულია, მაგრამ დამკვეთები და გადატრიალების ორგანიზატორები სწორედ ზემოხსენებული ნაძირალები არიან. შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე მე უკვე განცხადებით მივმართე **სუს**-ს, რათა ესენი დააპატიმრონ, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს!

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ხელისუფლების უმოქმედობის მიზეზი?**

— საქართველოს ხელისუფლება ან პროცესის გადაგორებას ელოდება, ანდა გადაწყვეტილების მიღების ეშინია! ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: თუ საქართველოში სამართლებრივი შედეგი არ დადგა და მთელი ეს ენჯეოშნიკები და ე.წ. ოპოზიციის ლიდერები სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების ბრალდებით ციხეში არ აღმოჩნდნენ, ქვეყანას სიმშვიდე არ ეღირსება! აქედან გამომდინარე, სჯობს, ხელისუფლებამ გარისკოს, აღნიშნულ საქმეზე სამართლებრივი შედეგი დააყენოს და ყველაფერს დაარქვას თავისი სახელი. **ბოლოს და ბოლოს, დავსაჯოთ მტრები და მოვისვენოთ ერთხელ და სამუდამოდ!**

**— როგორც ვიცი, 2024 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგები თქვენთვის ცნობილია და სტატისტიკური მონაცემები ქართველთათვის საგანგაშოა!**

— ყველას კარგად გვახსოვს, სააკაშვილი საქართველოში სინგაპურის აშენებას რომ გვპირდებოდა. გეგმა ასეთი იყო — **საქართველოში უნდა შემოეყვანათ დიდი ოდენობით უცხოელი დევნილები, რაშიც სააკაშვილი დიდძალ ფულს აიღებდა.** მან ამ გეგმის პირველი ნაწილი წარმატებით განახორციელა, როცა სამი წლის განმავლობაში 13 ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. იგივე პოლიტიკა გააგრძელეს **გიორგი მარგველაშვილმა და სალომე ზურაბიშვილმა,** რომლებმაც, საგამონაკლისო წესით, ათასობით უცხოელს მიანიჭეს საქართველოს მოქალაქეობა და, სავარაუდოდ, დიდძალი ფული აიღეს. სამი თვეა, პროკურატურაში ჩემი განცხადება დევს, რათა შეის-













**„სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მუხლით, გენერალურმა პროკურატურამ დაუყოვნებლივ უნდა გასცეს სანქცია სალომე ზურაბიშვილის, თინა ხიდაშელის, დავით უსუფაშვილის, ნიკა მელიას, მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის, ლიაკა ხოშტარიას, ნიკა გვარამიას, ჭიჭე ვაშაძის, ეკა ბიგაურის, გიორგი გახარიას, ნინო ლომჯარიას, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა“ და კიდევ რამდენიმე ენჯეოსა და ენჯეოშნიკის დაპატიმრების შესახებ!“**

## „თუ ასე გაგრძელდა, ათ წელიწადში ქართველები არაქართველებთან მიმართებაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით!“

### კვირგვინოსნები



**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტი, კონფლიქტოლოგი*

**სალომე ზურაბიშვილზე უკეთესი ლიდერი** დღეს ჩვენ არ გვყავს.

„ახალი თაობა“



**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი*

2018-ში **სალომე ზურაბიშვილის** გაპრეზიდენტება **არალეგიტიმური იყო,** მაშინაც არჩევნები ტოტალურად გაყალბდა.

„ახალი თაობა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*ექსპერტი*

**ყველაფერი კარგად ჰქონდა** „ქართულ ოცნებას“ ქვეყანაშიც და მის გარეთაც, მაგრამ ყველაფერი ყირაზე დააყენეს. იცით, ყველაზე უცნაური რა არის? **ის კანონი, რომლის გამოც ქვეყანას ეს ამბავი დამართეს, ჯერაც არ აუმოქმედებიათ.**

„კვირის პალიტრა“



**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*

**სანქციები ნელ-ნელა შემოიღეს** და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ **ნელ-ნელა ცდილობენ ქვეყნის მოხრჩობასაც.** საზოგადოება და მათ შორის მომიტინგეებიც ხომ უნდა ხვდებოდნენ, რომ **სანქციები დააზარალებს ქვეყანას.**

„კვირის პალიტრა“

# „ეს კანონი დაუყოვნებლივ გასაუქმებელია, თორემ ქვეყანას დავკარგავთ!“

წავლონ **სააკაშვილის, მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის** მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობა, მაგრამ ჯერჯერობით სრული სიჩუმეა, ნიავი არ იძვრის... ამასობაში საქართველოს სინგაპურიზაცია გრძელდება!

**— სინგაპურიზაცია რას ნიშნავს? უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება!**

— სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ბევრი მეგობარი მყავს და 2024 წელს საქართველოში ჩატარებული აღწერის შესახებ ძალიან საშიში მონაცემები მამცნეს...

**—აღწერის მონაცემები, როგორც ვიცი, ჯერ არ გასაჯაროებულა!**

— მონაცემები ოფიციალურად არ გასაჯაროებულა, მაგრამ მაქვს არაოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართველებს ძალიან ცუდად გვაქვს საქმე! 2024 წლის აღწერის მონაცემების თანახმად, საქართველოში ცხოვრობს მხოლოდ 1 მილიონ 340 ათასი ქართველი და 1 მილიონ 210 ათასი უცხოელი. ყურადღება მიაქციეთ — ეს 1 მილიონ 210 ათასი უცხოელი არალეგალი კი არ არის, არამედ საქართველოს მოქალაქეა! თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს ხუთ წელიწადში საქართველოს მოქალაქე არაქართველთა რიცხვი გაუთანაბრდება ეთნიკური ქართველების რიცხვს, ხოლო კიდევ ხუთ წელიწადში ქართველები არაქართველებთან მიმართებაში ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით! თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და საქართველოს რაიონებსა და სოფლებში მასობრივად სახლდებიან უცხოელები — თურქები, პაკისტანელები, არაბები, ირანელები, ინდოელები... სოფელი ქვემო ჭალა არაბულ სოფლად იქცა; კასპში, ქვათახევის მონასტერთან, არაბებმა ჰექტრობით მიწა იყიდეს; იმავე არაბებმა ჰექტრობით მიწა შეიძინეს კახეთის სოფელ ჩალაუბანში; საგარეჯოში 540 ჰექტარი მიწა ირანელებს აქვთ ნაყიდი... ამ ყველაფერმა მიიღო უაღრესად საშიში სახე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ არსებული კანონმდებლობით, საქართველოში დაბადებული ბავშვი ავტომატურად ხდება ქვეყნის მოქალაქე, საფრთხე კიდევ უფრო იზრდება. დიახ, **საქართველოში მასობრივად ჩამოსახლებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შვილები, რომლებიც საქართველოში დაიბადნენ, ავტომატურად ხდებიან საქართველოს მოქალაქეები!** ეს კანონი დაუყოვნებლივ გასაუქმებელია, თორემ ქვეყანას დავკარგავთ!

**— მაინც რამ განაპირობა საქართველოში ჩვენთვის საშიში დემოგრაფიული ფონის შექმნა?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებს აწყობთ, რომ აზიელი ლტოლვილები და ომს გამოქცეული ხალხი ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებმა შეიფარონ! საქართველოს ხელისუფლებამ გაასაჯაროოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თანხებს სთავაზობდნენ ქვეყანას ამერიკელი და ევროპელი მაღალჩინოსნები სირიელი, ერაყელი ან სხვა ქვეყნებიდან გამოქცეული ლტოლვილების საქართველოში მიღებისა და ჩასახლების სანაცვლოდ! საქართველოს ხელისუფლებამ ამ შემოთავაზებაზე, ცხადია, უარი თქვა, მაგრამ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შემოსვლა-დაფუძნების გეგმა მაინც ხორციელდება... ამასთან, ის ხალხი, რომელიც საქართველოში უცხო ქვეყნებიდან შემოდის და მკვიდრდება, თავისი ქვეყნის მთავრობისგან ფინანსურად მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი. მაგალითად, ჩინეთის ხელისუფლებას ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ თითოეული ჩინელი, რომელიც უცხო ქვეყანაში დაიწყებს ბიზნეს-საქმიანობას, ხელისუფლებისგან საჩუქრად მიიღებს 35 ათას ამერიკულ დოლარს და 100 ათას დოლარამდე იაფ სესხს წელიწადში 1-პროცენტიანი სარგებლით. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ საქართველოში დიდი რაოდენობით თურქული, არაბული და ირანული კაპიტალი შემოდის, ვფიქრობთ, ადვილი წარმოსადგენია, რა დღეშია ჩვენი საცოდავი ქვეყანა. ხომ გაიძახიან, საქართველოში რუსები შემოდიანო! — არა, ბატონო, **საქართველოში რუსები კი არა, არაბები, თურქები, ირანელები, პაკისტანელები და ინდოელები შემოდიან და მკვიდრდებიან!** საქართველოში რაც რუსები შემოვიდნენ, ძირითადად, სულ ლიბერალი რუსები იყვნენ, რომლებიც პუტინის რეჟიმს გამოექცნენ და დიდი ხანია, ევროპაში დაიდეს ბინა.








## „ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით: თუ ეს ენჯეოშნიკები და ე.წ. ოპოზიციის ლიდერები სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზების ბრალდებით ციხეში არ აღმოჩნდნენ, ქვეყანას სიმშვიდე არ ეღირსება!“

**— რა უშველის ქვეყანას და რა ამოგვიყვანს ამ უბედურებიდან?**

— თუ უახლოეს ექვს თვეში საქართველოს ხელისუფლება საემიგრაციო პოლიტიკას არ გაამკაცრებს, უცხოელთა მასობრივად შემოსვლას და საქართველოში დასახლებას არ შეზღუდავს და ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვას არ აკრძალავს, ქართველები საქართველოს დავკარგავთ! ის საკანონმდებლო ხვრელები, რითიც უცხოელები სარგებლობენ და საქართველოში მიწას ყიდულობენ, ამოსავსებია... მიბრძანდით საჯარო რეესტრის დიდ შენობაში და დააკვირდით, **დღის განმავლობაში ორმოცდაათიდან ას ერთეულამდე ქართული მიწის ნაკვეთი უცხოელებზე იყიდება!** ენის მოჩლექით საუბრის დრო წავიდა და დროა, ხელისუფლება კონკრეტულ ქმედებაზე გადავიდეს! საქართველოში სოდომიაში ჩავარდნილი ლგბტ ნახირის კი არა, ქართველი ერის უფლებები ირღვევა! **ეროვნული მოძრაობაა დასაწყები, რათა ქართველი ერი უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოსევა-დასახლებისგან დავიცვათ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



მამუკა ჯინჭარაძე

## „სააკაშვილი მამუკა ჯინჭარაძეს „ლიბერთი ბანკის“ საკონტროლო პაკეტის გადმოფორმებას სთხოვდა, მაგრამ საწადელს რომ ვერ მიაღწია, ბიზნესმენი მოკლა და შემდეგ ყველაფერი ხელში ჩაიგდო!“

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*ანალიტიკოსი*



**მხოლოდ და მხოლოდ არჩევნები,** სხვა არაფერი ამ სიტუაციას არ განმუხტავს. **ოპოზიციამ უნდა თქვას, რას ითხოვს და რა შემთხვევაში აღიარებს არჩევნების შედეგებს,** ხელისუფლება კი უნდა დათანხმდეს.

„კვირის პალიტრა“

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**ახალი არჩევნები რის საფუძველზე უნდა ჩატარდეს?** ეს ხომ ნიშნავს, **მილიონ ორასი ათასი კაცი, რომელმაც „ოცნებას“ ხმა მისცა, უკმაყოფილო იქნება, რომ მისი ხმები ვერ დაიცვეს.**

„კვირის პალიტრა“

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



**არ არსებობს ისეთი მასშტაბის ფიგურა,** რომელიც პროტესტს სათავეში ჩაუდგება. **ყველა ოპოზიციური პარტია არაპოპულარულია,** რაც არჩევნების შემდეგ უფრო გაძლიერდა.

„კვირის პალიტრა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



დადგა დრო, რომ **დაბერებულმა პოლიტიკურმა კლასმა გადააბაროს ქვეყანა ახალ თაობას,** რომელმაც აჩვენა, რომ **ჩვენზე ჭკვიანიც არის, ჩვენზე პატრიოტიც,** უფრო შემართული და ბრძოლისუნარიანიც. რაც მთავარია, მათ **პროცესის მართვაც იციან.**

„კვირის პალიტრა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**სოციალური ბუნტი ყველაზე საშიშია...** ამ ქვეყანაში ადამიანები ისევ დუხჭირი ცხოვრებით ცხოვრობენ და მათი **საარსებო მინიმუმი კატასტროფულად დაბალია.**

„ახალი თაობა“

# მოგელანდებით!



**მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად**

# თვითმარქვია




**მაკკეინის კანტორას** ოფისი გამოუყვია და დაუფინანსებია კიდეც. იმედია, არყი საყლურწე ფულიც გამოუყვეს.

ეს ის არი, მე რომ გეუბნებოდით — სახეზე გატყობთ კმაყოფილებას, ვიწყებთ მეორე განყოფილებას-მეთქი. ჰოდა, გაიხსნა ფარდა და ისევ გამოგოგმანდა პრეზიდენტის ამპლუაში.

**ცოტა ხანს დააცადეთ, ეგრევე ნუ ჩააცვამთ ზოლიან ხალათს და ნუ გააქანებთ ბედიანში, გავერთოთ, რა გენაღვლებათ?!**

☺

იცით, რეები ილაპარაკა?

ამ ქვეყანაში კონსტიტუცია აღარ არსებობსო, ფეხებით გათელესო, ისინი არაფრად თვლიან ხალხის ნებასო... სადაც ახლა მე ვარ, საიდანაც გელაპარაკებით, ეს არი ორბელიანების სასახლის გაგრძელებაო. მართალია, იგეთი მდიდრული ვერ არი, მაგრამ იქაური სული აქა ტრიალებს და აქედან შევასრულებ პრეზიდენტის ფუნქციასო.

სხვათაშორისო, **არავინ არაფერს მეკითხება, ანგარიშს არავინ მაბარებს, ირგვლივ სრული განუკითხაობააო. მთავრობაც არალეგიტიმურია, არჩევნები მომპარესო...**

**საქართველოდან მანქანები გადის ვითომ შუა აზიაში, სინამდვილეში კი რუსეთში გადის და მაგ მანქანებში კიდე რა დევს, ეგეც გასარკვევიაო.**

გაიგონეთ? — საქართველოდან მანქანები რომ გადის ვითომ შუა აზიაში, ეგ რუსეთში გადის, გვატყუებენო! თან მაგ მანქანებში რა დევს, ეგეც გასარკვევიაო!

**ავტოდილერებო, აბა, თქვენ როდის აპირებთ მარშით გავლას რუსთაველზე და როდის უნდა დაუკრათ ტაში სალომე ბაბოს?**

ხედამთ, როგორი ოღრაშია სალომე ბაბო?

**რუსეთში პროდუქცია რომ გააქვთ და თან რუსთაველზე დათოხარიკობენ, ისინი არ ახსენა, მათთვის ყველაფერი მოსულა, ისინი ევროპიელები არიან!**

☺

**იმ კვირაში ტრამპის ინაუგურაციაზე მივდივარო. იქ ფულს არავინ იხდის, მაგას ტყუილად იგონებენო. მე მიმიწვიეს და იქ ძალიან მაღალი დონის შეხვედრები მაქვსო. ამერიკიდან რო დავბრუნდები, რეგიონებში დავიწყებ სიარულს.**

**მე ვარ ამ ქვეყნის პრეზიდენტი და ქვეყანა უნდა გავიყვანო სამშვიდობოსო.**

☺

ჰაიმეეეეეეეეეე!

ტაში, ამხანაგებო!

ეს **ჭუტაანებიც** მაგრად აგიჟებენ, ქვემოთ მიუწერეს — პრეზიდენტის ბრიფინგიო.

# თვითონ მაგას ვინ გამოურთო ტვინი?



ამან, ამ თოვლზე მიშარდულმა — **აფხაზეთს დენი საქართველოს არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ გაუთიშა და ამიტომაც მოხდა ტრაგედია საბერიოშიო.**

ესე იგი, ეს ხელისუფლება არალეგიტიმურია და ავადმყოფი **ემა გოგოხია** ლეგიტიმური ჟურნალისტი?

ვინც ამას მიკროფონი დააჭერინა და სალაპარაკოდ გაუშვა, იმას უნდა მოეკითხოს კეთილები და მოეკითხება კიდევაც, თუ უკვე მოკითხული არა აქვს!

იცით, ეს რომელი „სირაკუზაა“? **თეა წულუკიანმა** მიკროფონი რო წაართვა და სამი თვის მერე დაუბრუნა.

კიდე რით არი ცნობილი?

**ხან პოლიციის „პიკაპს“ გამოეკიდება ხოლმე და „კუზაოზე“ ახტება, ხან კიდე მამაოებს დასდევს და ანაფორებზე ეჯაჯგურება...** სუ აცაბაცა ლაპარაკობს, **„ლ“**-ს და **„რ“**-ს ერთმანეთში ურევს.

არა, ეს მაინც მაგარი იყო — **აფხაზეთს დენი საქართველოს არალეგიტიმურმა ხელისუფლებამ გაუთიშა და ბავშვები ამას ემსხვერპლნენო.** თუ ეგეთი ყოვლისმცოდნეა, იქნებ ის მაინც გაგვაგებინოს, **თვითონ მაგას ვინ გამოურთო ტვინი?**




# აშკარა დასაჯერებელი!

**ომარ ნიშნიანიძე (ყოფილი პარლამენტარი „ქართული ოცნებიდან“):**

*„ქუთაისელმა კაცმა, პროფესორმა, ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა რომ გავიგე, ხუბუა დანიშნესო ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორად, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარ თავს და ჩემ მიერ დაარსებულ პარტიას „არაკორექტულად“ შემოვწყერი... მერე კი ახალგაზრდობის პროსპექტზე ამ უნივერსიტეტიდან მომავალი სტუდენტთა გაფიცული კოლონა რომ დავინახე, „არაკორექტულობა“ გავაათმაგე...*

***მეტი გვეკუთვნის“.***

როცა **ბატონმა ომარმა** ეს დაწერა, ვიფიქრე, შეიძლება აჭარბებს, შეიძლება მოეჩვენა, მაინც გადავამოწმებ-მეთქი.

გადავამოწმე და მართალი ყოფილა. ბიძინა ივანიშვილის აშენებული უნივერსიტეტის სტუდენტს მართლაც უჭირავს ბანერი, სადაც **„ბიძინა“** გადახაზულია და წერია: **„ჩვენი უნივერსიტეტი“.**

ახლა, ბიძინა ივანიშვილს რომ ვკითხოთ, ეს უნივერსიტეტი ვისიაო, გვიპასუხებს, ბაღლებისააო. შეიძლება, ისიც გვითხრას, ჩემი აშენებული არ არიო... ასე იტყვის იმიტომ, რომ დიდსულოვანი ადამიანია, მაგრამ რას ვასწავლით ამ ბაღლს, რომელიც მიწას ჯერ ხეირიანადაც არ ასცილებია, **ვინც უნივერსიტეტი აგიშენა და დაგიმშვენა, მას უნდა აგინოო? მას რუსი უნდა ეძახოო? მისი სახელი უნდა გადახაზოო?**

ასე ხომ ჯავახიშვილსაც გადავახაზინებთ? ასე ხომ ილიასაც გადავახაზინებთ?

არ ვიცი, ვინ რას ფიქრობთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს უკვე კატასტროფაა!

☺

ისე, ვერც მე გამიგია, რანაირად მოხვდა მაგ უნივერსიტეტის რექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსამარებელი **გია ხუბუა?**

# ამორტიზებულთა მარში!




**ქალი, რომელსაც ჩიქორთულად დაწერილი ბანერი უჭირავს,** არ არის ბავშვი. აქეთ-იქიდამ რო უდგანან და სადღაც უკანალში იყურებიან, არც ესენი არიან ბავშვები. მგონი, მაგათი ხნისა ქვა აღარ დაგორამს მთაწმინდის ფერდობზე.

ბანერის ქვემოთა ნაწილს თუ დავაკვირდებით, **პიანინოს კლავიშები მიუხატნიათ,** რაც იმას ნიშნავს, ეს **ამორტიზებულები მუსიკოსები** უნდა იყვნენ, სავარაუდოდ, **კომპოზიტორები.** ამ ქვეყანაში კომპოზიტორი თუ დარჩა ვინმე, ეგ ცალკე განხილვის საგანია, მაგრამ, რაკი კლავიშები დახატეს, ვუწოდოთ ამათაც **კომპოზიტორები,** ოღონდ **იკლიკანტური კომპოზიტორები.**

მაღლა **მიუხატნიათ ზოლიანი ხალათი,** პატიმრებს რო აცმევენ ხოლმე შეზღუდულ დაწესებულებაში. ზოლიან ხალათზე დაუწერნიათ 41, რაც იმას ნიშნავს, რომ **ივანიშვილმა და კალაძემ** უნდა ჩაანაცვლონ ის დიდი „პატრიოტები“, რომლებიც მათ დააპატიმრეს რუსთაველზე.

**აბა, კაცო, აეგრე იდგნენ „პატრიოტები“ თავიანთთვის მშვიდობიანად, არაფერს აშავებდნენ, ერთმანეთს ეფერებოდნენ, ფილოსოფიურ ნაშრომებს არჩევდნენ, ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე მსჯელობდნენ, ივანიშვილი და კალაძე მიცვივდნენ, მათრახებით სცემეს, პანჩურები ურტყეს, კუდუსუნის ძვლები ჩაუმტვრიეს, ტყეში შერეკეს, ხეებზე ჩამოკიდეს, ნამათრახებზე მარილი დააყარეს და ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს. მერე კიდე, კარგად რო დაბრაწეს, „კაპეზეებში“ გადაიყვანეს.**

არ დაგავიწყდეთ, ეს ყველაფერი გააკეთეს რუსულად და პუტინისტურად.

ჰოდა, ახლა, **ეს ჩვენის კომპოზიტორები** აცხადებენ, რომე **ბიძომ** და **კალამ** თავიანთივე ხელებით თავიანთივე ხელებზე ბორკილები დაიდონ და ტყვეები ჩაანაცვლონ.

☺

ისე, კარგი იქნებოდა, ამ **გონებრივად ამორტიზებულებს** ისიც დაეწერათ, **ბიძომ** და **კალამ** როდის უნდა ჩაანაცვლონ ტყვეები — ამ კვარტალში თუ იმ კვარტალში?

ეჰ, ჩვენ გვინდა-არგვინდა, უახლოეს ხანში აუცილებლად მოგვიწევს კიდევ ერთი მუნიციპალიტეტის შექმნა, რომელსაც უნდა ეწოდოს საკრეტინო. თუ ერთ საკრეტინოში არ დაეტევიან, მაშინ დავაარსოთ **ზემო საკრეტინო** და **ქვემო საკრეტინო.** მაგ ორ საკრეტინოში ხალხის გადანაწილება კი საკაშვილის მომ**ბანს** — **პაატა ბურჭულაძეს** მივანდოთ.

## ბონდო მძინარაშვილი:

# ლანა ლოლობერიძე, რომელმაც ლომის წილი შეიტანა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, 96 წლის ასაკში კვლავ საქართველოს ებრძვის!




***96 წლის კინორეჟისორი ლანა ლოლობერიძე, რომელიც ამ 34 წლის წინათ საქართველოში დატრიალებული სისხლიანი პოლიტიკური პროცესების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მთავარი იდეოლოგია, საქართველოს ასარევად დღესაც ძველებური შემართებით იღვწის. ამის გამო ჟურნალისტმა ბონდო მძინარაშვილმა ის მწვავედ გააკრიტიკა და ტელევიზიით გამოსვლისას სისხლიანი წარსული გაუხსენა: — იცით, ვინ იყვნენ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები? ხელოვანები! 96 წლის ქალი, ახლაც რომ აქციებზე დადის — ლანა ლოლობერიძე — ლევან ლოლობერიძის მშვენიერი ქალიშვილი, მამამისმა მთელი არისტოკრატია რომ გაჟლიტა საქართველოში.*** *თურმე, ეს ლანა ლოლობერიძის ბრალი არ არის.. ვითომც არ დახოცილა ხალხი 1992 წელს, ვითომც 1993 წლის სამოქალაქო ომთან არავითარი კავშირი არ ჰქონია...* ***დღეს ლანა ლოლობერიძე გამოდის და ზუსტად იგივე ხმა, იგივე ტექსტები...***

***ბონდო მძინარაშვილს*** *არც საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრი, აწ უკვე პარლამენტარი* ***თეა წულუკიანი*** *ჩამორჩა, რომელმაც სოციალურ ქსელებში შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა:* ***გამოჩენილი ხელოვანი ქალი*** *(საბჭოთა რუსეთისა და მოსკოველი კომუნისტების მიერ ბოძებული პრივილეგიებით სარგებლობას არასოდეს თაკილობდა),* ***ზედმეტსახელად „ტადა კადა“. უფრო მეტიც, პირადად ჩემთვის — დიდი რეჟისორი და კარგი მთარგმნელი. ინტელექტუალი. მაგრამ*** *(However),* ***პრაწესიანალი პუტჩისტი, ასაკშიც რომ პროფესიას არ ღალატობს, ისეთი.*** *რომელიმე უმაღლეს სასწავლებელს წინ კიბე თუ აქვს, მოარიდეთ,* ***რადგან რისკია, ჩამოჯდეს და აღარ ადგეს მანამ, სანამ სისხლი არ დაიღვრება!***

**ბონდო მძინარაშვილი:** — პატივს ვცემ ადამიანის ასაკს, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას იმის შესახებ, რაც ხდებოდა 34 წლის წინათ და რაც დღეს ხდება. **ადამიანები, რომლებიც კომუნისტების დროს რეპრესირებულთა ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ, სინამდვილეში თავად ახორციელებდნენ რეპრესიებს.** მათ შური იძიეს იმ ადამიანებზე, რომლებმაც საქართველოს თავისუფლება მოუტანეს. აქ, უპირველეს ყოვლისა, ქალბატონ **ლანა ლოლობერიძეს** ვგულისხმობ. მამამისი — **ლევან ლოლობერიძე** 23 წლისაც არ იყო, როცა საქართველოში რევკომის თავმჯდომარე გახლდათ, ხოლო 1924 წლის აჯანყების დროს — შინსახკომის თავმჯდომარის მოადგილე. **ქალბატონი ლანა** დაბადებულიც არ გახლდათ, როცა მამამისი კახეთის არისტოკრატიას ხვრეტდა, მიუხედავად იმისა, რომ არ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში. 1926 წლიდან **ლევან ლოლობერიძე** აჭარაში ხელმძღვანელობდა კომპარტიას... 1925 წელს მისი კვალი საქართველოში გაქრა, რადგან საგანგებო მისიით მიავლინეს საფრანგეთში, სადაც მაშინ ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია აფარებდა თავს! **ლევან ლოლობერიძე** ახლოს იცნობდა არაერთ ქართველ ემიგრანტს. ლანა პირდაპირ ამბობს — **ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი ჩვენს ოჯახში ხშირად მოდიოდნენ, ტიციანის კისერზე არაერთხელ ვმჯდარვარო!**

**— ბატონო ბონდო, ლევან ლოლობერიძე საფრანგეთში გადახვეწილ ნოე ჟორდანიას მთავრობაში ჯაშუშად შეაგზავნეს?**

— საბუთი ხელში არ მიჭირავს, მაგრამ, სავარაუდოდ, ასე უნდა ყოფილიყო... არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტიც, რომ იგივე **პაოლო იაშვილი** თბილისის საქალაქო საბჭოს წევრი იყო და შემდეგ ამიერკავკასიის ცაკის წევრიც გახდა. მაშინდელ რეჟიმთან მჭიდროდ თანამშრომლობდა **მიხეილ ჯავახიშვილიც.** პაოლო იაშვილიც და მიხეილ ჯავახიშვილიც დაჯილდოებული იყვნენ შრომის წითელი დროშის ორდენით. 1933-1934 წლებში გამოიცა **მიხეილ ჯავახიშვილის** სამტომეული, ხოლო 1936 წელს მეორედ გამოიცა მისი „არსენა მარაბდელი“... სწორედ ამ დროს იყო **ლევან ლოლობერიძე** საბჭოთა საქართველოს სათავეში და ანადგურებდა ინტელიგენციას. ამ ყველაფრის ფონზე, ამ ოთხი წლის წინათ, 26 მაისს, **ლანა ლოლობერიძე** ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში გამოვიდა და ილაპარაკა, თუ რა კარგი იყო 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება! გეკითხებით — არ არის ეს ფარისევლობა? აი, ასეთი ადამიანი, რომელმაც ლომის წილი შეიტანა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში, 96 წლის ასაკში კვლავ საქართველოს ებრძვის!


ლანა ლოლობერიძე


ლევან ლოლობერიძე

**— რატომ ებრძვის, რა არ ასვენებს, რა უნდა?**

— მგონია, რომ ეს არის **ლანა ლოლობერიძის** შურისძიება თავისი ბავშვობის გამო... მამამისი შეეწირა შიდა დაპირისპირებას, როცა წითელმა კრონოსმა შეჭამა თავისი შვილები. **ლევან ლოლობერიძე** იყო ტროცკისტი. დახვრეტილი ლევან ლოლობერიძის მეუღლე, ლანას დედა **ნუცა ხუციშვილი,** რომელიც პირველი საბჭოთა ქალი კინორეჟისორი იყო, გადაასახლეს. ასეთ სიტუაციაში **ლანა ლოლობერიძე** — ტროცკისტის შვილი — სტალინის სიცოცხლეშივე ახერხებს წარმოუდგენელ რამეს — ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში და ამზადებს დისერტაციას! ასეთი რამ ტროცკისტის შვილს რომ გაეკეთებინა, წარმოუდგენელი იყო, მაგრამ **ლანა ლოლობერიძეს** მფარველობდნენ!

**— ვინ მფარველობდა?**

— ლანა ლოლობერიძეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მამამისის ახლო მეგობარი **ანასტას მიქოიანი** მფარველობდა! ეს ქალი არის მიზანთროპი, რომელიც ყოველთვის იყო პრივილეგირებული. იგი ტკბობას განიცდიდა იმის გამო, რომ **სერგო ფარაჯანოვისა** და **გეგა კობახიძის** გამო შევარდნაძეს მიეჭრა და მაგიდაზე მუშტები უბრახუნა! ეს ქალი იყო „ქართული ფილმის“ დირექტორი და როცა **ზვიად გამსახურდია** ხელისუფლებაში მოვიდა, ოცნებობდა, მისთვისაც ზუსტად ისე ებრახუნებინა მუშტები მაგიდაზე, ანუ ამ ქალმა და კიდევ სხვებმაც, რომლებმაც ეროვნული ხელისუფლების დამხობა იდეურად შეამზადეს, პიროვნულ დონემდე დაიყვანეს ყველაფერი. დღეს **ლანა ლოლობერიძე** თითქოს ძალიან წუხს 1991 წლის 22 დეკემბერს გავარდნილი ტყვიის გამო, მაგრამ ვინ აგებს პასუხს **მამუკა ტერიშვილის, გივიკო რეხვიაშვილის, ლევან თაქთაქიშვილისა** და კიდევ ათეულობით დახვრეტილის სიკვდილზე? მხოლოდ კიტოვანი? მხოლოდ ჯაბა? მხოლოდ სიგუა? **ლანა ლოლობერიძე, ნოდარ ლომოური, ვახტანგ კიკაბიძე და კიდევ სხვები ხომ მაშინ იმ საშინელი პროცესების სათავეებთან იდგნენ და ეს უბედურება სწორედ მათ მოამზადეს?**

**— ლანა ლოლობერიძე ბოლოს შევარდნაძეს რატომ შემოსწყრა?**

— **ლანა ლოლობერიძე,** როგორც გადატრიალების ერთ-ერთი იდეოლოგი, 1992 წელს გახდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, შემდეგ — პარლამენტის წევრი... სხვათაშორის, ამ რამდენიმე დღის წინათ მან ტელევიზიით განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას რაღაც ორგანო, სადაც შევლენ პოლიტიკოსები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები! ანუ **ლანა ლოლობერიძე,** რომელიც სისხლიან 1992 წელშია ჩარჩენილი, სახელმწიფო საბჭოს აღდგენას ითხოვს. 1995-1999 წლების პარლამენტში ლანა გახდა „მოქკავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. ფრაქცია „მოქკავშირის“ თავმჯდომარე მაშინ იყო **სააკაშვილი,** ხოლო **ჟვანია** გახლდათ პარლამენტის თავმჯდომარე. სწორედ აქედან მოდის მათი მეგობრობა... 1999 წელს **ლანა ლოლობერიძე** სტრასბურგში ელჩად დაინიშნა. მერე მიიხედ-მოიხედა, სტრასბურგი ერთ პატარა სოფლად მიიჩნია და შევარდნაძეს პირდაპირ მოსთხოვა — **ბორჩა ჩოგოვაძე** ახლავე გადააყენე და საფრანგეთში საქართველოს ელჩად მე დამნიშნეო! **შევარდნაძემ,** ცხადია, ეს არ გააკეთა, რის გამოც **ლანა ლოლობერიძე** გაუნაწყენდა... სხვათაშორის, საელჩოების თემა ერთ-ერთი საკითხი იყო, რის გამოც ე.წ. ელიტური ინტელიგენციის წარმომადგენლები შევარდნაძეს დაუპირისპირდნენ... მაგალითად, **რამაზ ჩხიკვაძის** გერი, **ნატაშა ჩხიკვაძის ვაჟი,** რომელიც ჩეხეთში ცხოვრობდა, შევარდნაძისგან დიპლომატიურ სტატუსს და ჩეხეთში გენერალური კონსულის თანამდებობას ითხოვდა. ჩეხეთში ჩვენ მაშინ საკონსულო არ გვქონდა... შევარდნაძემ **ჩხიკვაძეების ოჯახს** ეს სურვილი ვერ შეუსრულა, რის გამოც რამაზ ჩხიკვაძე 2003 წლის ნოემბერში მომიტინგე ნაცების გვერდით დადგა!

**— თქვენ ამბობთ, რომ ლანა ლოლობერიძე და ე.წ. ელიტური ინტელიგენცია მხოლოდ პირადი გამორჩენისთვის იბრძოდნენ?**

— ცხადია! **ლანა ლოლობერიძეს** სრულებით არ ადარდებს რუსთაველზე სისხლი დაიღვრება თუ არა, მთავარია, თავად იყოს კარგად და უზრუნველად! მთავარია, მას ეთაყვანებოდნენ... **ლანა ლოლობერიძეს** უნდა, რომ თავისი ბოლო წლები და დაკრძალვა განსაკუთრებულ მოვლენად იქცეს! მისთვის არც **მამუკა ტერიშვილი** წარმოადგენს რამეს და არც **გივიკო რეხვიაშვილი,** მისთვის მთავარია, თავად იყოს პედიესტალზე. ეს ქალი მანიაკურად ესწრაფვის დიდებას, რადგან მამამისის შვილია. მას ახლაც სურს, ტიციან ტაბიძის კისერზე შეჯდეს! ცნობისათვის, 2004 წელს, **სააკაშვილი** ერთპიროვნულ ხელისუფლებაში მოვიდა თუ არა, **ბორჩა ჩოგოვაძე** უმალ საფრანგეთიდან გამოიწვია და ელჩად სწორედ **ლანა ლოლობერიძე** დანიშნა.

**— თქვენ ლანა ლოლობერიძის შესახებ ძალიან მძიმედ ისაუბრეთ ტელევიზიით. ხომ არ გამოგეხმაურათ?**

— ვერც გამომეხმაურება! რა უნდა მითხრას — მამაჩემი ანგელოზი იყოო?! **ლანა ლოლობერიძე კლასიკური მკვლელის შვილია!** იგი გახლავთ ჩვეულებრივი წამქეზებელი, რადგან ძალიან კარგად იცის, რა შეიძლება მოჰყვეს ამ დაპირისპირებას! ამ ათი წლის წინათ **ლანა ლოლობერიძე** „ობიექტივში“ იყო მოსული. მეგონა, რაღაცას გადააფასებდა და კეთილი, მოხუცი ბებია გახდებოდა, მაგრამ არა! **მისი მსგავსი ადამიანები გამუდმებით სისხლს ითხოვენ და არ იცვლებიან!**

## „ლანა ლოლობერიძეს სრულებით არ ადარდებს რუსთაველზე სისხლი დაიღვრება თუ არა, მთავარია, თავად იყოს კარგად!“

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



***კუჭი ის ორგანოა, რომელსაც აუღებელი საახალწლო სუფრებისა და დაუსრულებელი ქეიფების დროს განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობა უწევს. ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი აცხადებს, რომ კუჭის ბუნებრივი მოცულობა 1 ჩაის ჭიქას არ აღემატება, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში მისი ნაკეცები იჭიმება და 5 ლიტრზე მეტი ოდენობის სითხე და საკვები შეუძლია დაიტიოს:***

**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი: ყოველ ჯერზე ვჭამოთ იმდენი საკვები, რამდენსაც ხელისგული დაიტევს!





— ძველი ჩინელები ამტკიცებდნენ — **ყველა დაავადება კუჭიდან იწყებაო!** ეს მართლაც ასეა, რადგან კუჭი საჭმლის მონელების ძირითადი ორგანოა და მისი ანატომიაც გასაოცარია. ჩვეულებრივ მდგომარეობაში კუჭის მოცულობა, სულ რაღაც, ერთ ჭიქას შეადგენს, მაგრამ ის აკორდეონის მსგავსად არის დაკეცილი და გაფართოების უნარი შესწევს. კუჭი იმ დონეზე იზრდება, რომ თავდაპირველი ერთი ჩაის ჭიქის ნაცვლად 4-5 ლიტრი სითხე შეიძლება დაიტიოს. ამიტომაა, რომ მუცელღორობა კუჭს ვნებს.

მართალია, დიდი ოდენობით საჭმელ-სასმლის დატევა შეუძლია, მაგრამ ამით კუჭის კედლები ელასტიკურობას კარგავენ და მისი ქმედუნარიანობა მნიშვნელოვნად მცირდება. აბსოლუტურად ვეთანხმები ჩვენი წინაპრების სიბრძნეს — **ყოველ ჯერზე ვჭამოთ იმდენი საკვები, რამდენსაც ხელისგული დაიტევს!**

**— ცოტა ხნის წინათ ერთ ქართველ პოლიტიკოსს კუჭი გაუსკდა და მოკვდა. როგორ ხდება ეს ფატალური მოვლენა და რა ფარული თუ ხილული პროცესები უძღვის წინ?**

— კუჭის გასკდომისას პაციენტს აღენიშნება ფერმკრთალობა, ძლიერი სისუსტე, მუხლების კვეთა და უეცარი, ხანჯლის ჩაცემის მსგავსი ძლიერი ტკივილი მუცლის არეში, რის შემდეგაც მისი შიგთავსი მუცლის ღრუში აღმოჩნდება. კუჭის წყლული შესაძლოა, გახდეს ფარული სისხლდენის მიზეზი, რომელსაც ადამიანი ვერ ამჩნევს. როცა ეს პროცესი ხილულია, მაშინ განავალი მუქი ყავისფერია, მაგრამ, თუ სისხლდენა მალულია, მაშინ განავლის შეფერილობით ვერაფერს გავიგებთ. ამ შემთხვევაში საჭიროა სხვა ნიშნებსაც დავაკვირდეთ! კერძოდ, ეცემა თუ არა ჰემოგლობინი, ჩამოდის თუ არა დაბლა წნევა უმიზეზოდ... **თუ ასეთი ნიშნები სახეზეა, მაშინ განავალი ფარულ სისხლდენაზე უნდა გამოვიკვლიოთ!** ფარული სისხლდენის მიზეზი შესაძლოა, თორმეტგოჯა ან მსხვილი ნაწლავიც იყოს. ამიტომ ჩვენი რჩევაა, **ნებისმიერმა ადამიანმა განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროს!**

**— კუჭის კიბო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული სენია. მაინც რა იწვევს ამ საშიშ პათოლოგიას?**

— 1980 წელს ავსტრალიელმა ექიმმა **ბარი მარშალმა** და პათანატომმა **უორენმა** კუჭის იმ ნაწილში, სადაც პილორუსის სარქველი მდებარეობს, აღმოაჩინეს სუპერბაქტერია, რომელსაც **ჰელიკობაქტერია პილორი** უწოდეს. ყველა სხვა ბაქტერიისგან განსხვავებით, რომლებიც კუჭის წვენის ზემოქმედების შედეგად იღუპებიან, იგი გამოყოფს განსაკუთრებულ ქიმიურ შენაერთს, რომელიც ქმნის ნეიტრალურ ან ტუტე გარემოს, შესანიშნავად გრძნობს თავს და იწვევს კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებას, ანუ გასტრიტს. ანთების შედეგად გამოყოფილი მედიატორები, ანუ ციტოკინები კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედებს აზიანებენ, რომლებიც კვდებიან და კუჭის შიდა ზედაპირზე წარმოიქმნება ეროზიები. ისინი საბოლოოდ გადაიზრდება ღია ჭრილობაში და ასე წარმოიქმნება კუჭის წყლული. დავიმახსოვროთ: **კუჭის წყლული უკვე კუჭის კიბოს წინარე სტადიაა და თუ სწორად არ იქნა ნამკურნალები, 93-95 პროცენტ შემთხვევაში საბოლოოდ სახეზე გვექნება კიბო!** ასე რომ, გასტრიტი, ეროზია და წყლული ის სტადიებია, რომლებიც კუჭის კიბოს წინ უსწრებს!

**— ეს საშინელი ბაქტერია — ჰელიკობაქტერია პილორი ყველა ჩვენგანის კუჭშია?**

— დნეპროპეტროვსკის სამედიცინო აკადემიის გასტროენტეროლოგიის კათედრაზე ჩატარებული კვლევებით, **ჰელიკობაქტერია პილორი** პაციენტების თითქმის 80 პროცენტს აღმოაჩნდა და ეს არ იყო ის კონტინგენტი, რომელიც უშუალოდ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს უჩიოდა. ცნობისათვის, **ჰელიკობაქტერია პილორის** აღმოჩენისათვის **მარშალმა და უორენმა** ნობელის პრემია მიიღეს.

**— თუ ადამიანების 80 პროცენტი ამ ვერაგი ბაქტერიის მატარებელია, მაშინ რა მეცნიერული ახსნა აქვს იმას, რომ კაცობრიობის 80 პროცენტი კუჭის კიბოთი არ იღუპება?**

— მიმაჩნია, რომ ნობელის პრემია **ბარი მარშალსა და უორენს** არასწორად მისცეს. თავად განსაჯეთ, მათი მტკიცებით, თუ კუჭის კიბოს გამომწვევი **ჰელიკობაქტერია პილორია,** მაშინ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ იმავე დნეპროპეტროვსკის სამედიცინო აკადემიის კვლევებით, 80 პროცენტიდან, რომელსაც **ჰელიკობაქტერია პილორის** არსებობა დაუდასტურდა, კუჭის წყლული მხოლოდ 4 პროცენტს აღმოაჩნდა? დარჩენილ 76 პროცენტს კუჭთან დაკავშირებული არანაირი ჩივილი არ აღენიშნებოდა. გარდა ამისა, ადამიანები, რომლებსაც გასტრიტი, ეროზიები და კუჭის წყლული აწუხებთ, იტარებენ რა კვლევებს **ჰელიკობაქტერია პილორზე,** დადებითი პასუხის მიღების შემდეგ ცდილობენ ამ საშიში ბაქტერიის განადგურებას, მაგრამ, პირველადი ეფექტის მიუხედავად, პრობლემები მაინც არ იხსნება. **ჰელიკობაქტერია პილორის** საწინააღმდეგოდ უამრავი ეფექტური ანტიბიოტიკი და პრეპარატი არსებობს, მაგრამ არც გასტრიტით, არც ეროზიებით, არც კუჭის წყლულით და შემდგომ არც კუჭის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი არ მცირდება!

**— მაშ, რაშია საქმე — კუჭის კიბოს ჰელიკობაქტერია პილორი არ იწვევს?**

— ეს ვერაგი ბაქტერია კუჭის კიბოს ნამდვილად იწვევს, მაგრამ მხოლოდ **ჰელიკობაქტერია პილორის** განადგურება პრობლემას არ ხსნის. გასტრიტის, ეროზიების, კუჭის წყლულისა და კუჭის კიბოს განვითარების მიზეზი, ჩემი აზრით, სულ სხვაგან უნდა ვეძებოთ! როგორც საქვეყნოდ ცნობილია, კუჭში ძლიერი მჟავა რეაქცია მიმდინარეობს, რომელსაც მარილმჟავა, ანუ იგივე კუჭის წვენი განაპირობებს. კუჭის გაგრძელებას წარმოად-

## „კუჭის დასაცავად საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა იმბირი, კოჭა, ანუ იგივე ჯანჯაფილი!“



## კვირგვინოსნები

**ხათუნა იოსელიანი**
*მსახიობი*



**ამერიკის მადლობელი ვარ.** ეს არის ქვეყანა, რომელიც ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, განსაკუთრებით ჩემნაირ პენსიონერებზე. **ყველა სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტი უფასო მაქვს.** ასევე მაქვს უამრავი შეღავათი, რაც, სამწუხაროდ, **საქართველოში არც კი მექნებოდა.**

„სარკე“

**ნინო ძინძიბაძე**
*კულინარიული გადაცემა „პუტკუნების“ წამყვანი, კულინარი*



**დიპლომატი ვარ,** მაგრამ ამ პროფესიით არასდროს მიმუშავია, თუმცა, **საქართველოს პარლამენტში სტაჟირებას დიდი ხანი გავდიოდი.** მქონდა შემოთავაზება, დავრჩენილიყავი, მაგრამ **პოლიტიკას სამზარეულო მირჩევნია.**

„სარკე“

**გეგე სულხანიშვილი**
*მსახიობი*



ვამბობ ხოლმე — **ღმერთო, ალბათ, 8 მარტს იმიტომ გამაჩინე, რომ ქალბატონებისთვის საჩუქარი გაგეკეთებინა ჩემი სახით-მეთქი.** საჩუქარი ვარ ქალებისთვის.

„თბილისელები“

**მარკუს მეტრეველი**
*მომღერალი*



მამაჩემი ხშირად მიმითითებდა ხოლმე — **გინდა კარგი ველოსიპედი? იმუშავე და გექნება! გინდა ნაყინი? იმუშავე და გექნება!** მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს არასდროს ჰქონია ეკონომიური პრობლემა.

„თბილისელები“

**გოგა მესხი**
*მომღერალი*



მიყვარს გარისკვა და ხშირად ვრისკავ. **რამდენჯერმე ცხვირიც წამიმტვრევია,** მაგრამ მაინც მირჩევნია, გავრისკო.

„თბილისელები“

გენს თორმეტგოჯა ნაწლავი, სადაც ძლიერი ტუტე რეაქციაა. ამ ტუტიანობას განაპირობებს თორმეტგოჯა ნაწლავში ჩამდინარე ნაღვლისა და პანკრეასის წვენი. ელემენტარული ქიმია გვასწავლის, რომ მჟავა და ტუტე ერთმანეთთან რეაქციაში შედიან, ამიტომ ისინი განცალკევებით უნდა იყვნენ. მარტივად რომ ვთქვათ, კუჭის წვენს არაფერი ესაქმება თორმეტგოჯა ნაწლავში ისევე, როგორც ნაღვლისა და პანკრეასის წვენს — კუჭში. ამიტომაც კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავს შორის არსებობს გამყოფი კარი — **პილორუსის სარქველი!** როდესაც საკვები კუჭში მოხვდება და კუჭის წვენი გამოიყოფა, ამ დროს პილორუსის სარქველი იხურება და კუჭის წვენი თორმეტგოჯა ნაწლავში ვერ გადადის. კუჭში საკვების მონელების შემდეგ, რაც 4-6 საათი გრძელდება, კუჭის წვენის კონცენტრაცია ეცემა, პილორუსის სარქველი იღება და გადამუშავებული საკვები შემდგომი გადამუშავების მიზნით თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის. აი, აქ უკვე მასზე ზემოქმედებენ ნაღვლისა და პანკრეასის წვენები, რა დროსაც პილორუსის სარქველი ისევ იხურება. აი, ეს არის ნორმალური აქტი, რასაც არავითარი გასტრიტი, ეროზია და კუჭის წყლული არ მოჰყვება. მაგრამ, **თუ ადამიანი ცხოვრობს გამუდმებულ სტრესში, ლოთობს, ეწევა და ბევრს ჭამს, ასეთ შემთხვევაში პილორუსის სარქველი მთლიანად ან ნაწილობრივ ღიაა, რაც იწვევს კუჭის წვენის თორმეტგოჯა ნაწლავში მოხვედრას და მისი კედლების დაზიანებას.** საბოლოოდ სახეზე გაქვს თორმეტგოჯა ნაწლავის ანთება, ანუ **დუოდენიტი და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული.** ანალოგიურად, ძლიერი ტუტე რეაქციის მატარებელი პანკრეასისა და ნაღვლის წვენი ხვდება კუჭში, აზიანებს მის შიდა კედლებს და ვითარდება გასტრიტი, ეროზია და წყლული.

**— ე.ი. რა გამოდის, კუჭის კიბოს, ძირითადად, ჰელიკობაქტერია პილორი კი არა, პილორუსის სარქვლის არასწორი მუშაობა იწვევს?**

— დიახ, სწორედ ასეა! გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანების გარკვეულ ნაწილს საერთოდ არ აღმოაჩნდა **ჰელიკობაქტერია პილორი,** მაგრამ მაინც ჰქონდა კუჭის კიბო!

**— ნაბახუსევზე, და განსაკუთრებით შობა-ახალი წლის გაუთავებელი სუფრებისა და ქეიფების ფონზე, ბევრს აწუხებს ე.წ. იზჟოგა. რა იწვევს მას და რით უნდა ვუმკურნალოთ?**

— ცნობისათვის, „იზჟოგა" შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებს ოთხჯერ უფრო ხშირად ემართებათ! გულძმარვა, ანუ ე.წ. იზჟოგა ის შემთხვევაა, როცა კუჭის წვენი ხვდება საყლაპავ მილში და იწვევს მის გაღიზიანებას, რაც დამწვრობასაც კი შეიძლება შევადაროთ. შემაწუხებელი შეგრძნებისა და დისკომფორტის მოსახსნელად ასეთ დროს ზოგი სოდიან წყალს სვამს, ზოგი — „ბორჯომს", ზოგიც — კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ ომეპრაზოლს და სხვა პრეპარატებს, მაგრამ, როგორც წესი, პრობლემა მხოლოდ დროებით გვარდება.

**— როგორ იქცევა „იზჟოგის" დროს ოფიციალური მედიცინა?**

— მთელ მსოფლიოში ასეთ პაციენტებს კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ მედიკამენტებს უნიშნავენ. უმეტესწილად ეს არის ომეპრაზოლის ჯგუფის პრეპარატები. ოფიციალური სტატისტიკა ადასტურებს, რომ მხოლოდ შეერთებულ შტატებში კუჭის წვენის სიმჟავის დამწევ პრეპარატებს რეცეპტით დაახლოებით 15 მილიონი ადამიანი მაინც ღებულობს. ცხადია, გაცილებით დიდი იქნება მათი რაოდენობა, ვინც იმავე პრეპარატებს ურეცეპტოდ მოიხმარს. მხოლოდ ამ პრეპარატების გაყიდვით შეერთებული შტატების ფარმაცევტული ინდუსტრია ყოველწლიურად 9 მილიარდ დოლარს ღებულობს. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოშიც ანალოგიური სურათი იქნება, ოღონდ მცირე მასშტაბით. არადა, დადასტურებული ფაქტია, რომ კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევი პრეპარატების ხანგრძლივი მიღება სიკვდილის რისკს 25 პროცენტით ზრდის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს — 20 პროცენტით, ხოლო კიბოს განვითარების რისკს — 50 პროცენტით! გასტროეზოფაგურ რეფლუქსსა და მის თანმხლებ „იზჟოგას" კუჭის წვენის სიმჟავის დამწევი მედიკამენტები ვერ არჩენს! ამის მიზეზი ის არის, რომ თავად მკურნალობის არსია არასწორი. კერძოდ, საყლაპავში კუჭის წვენი ხვდება და შემდეგ იწყება „იზჟოგა", მაგრამ ამის მიზეზი არა მაღალი მჟავიანობა, არამედ პირიქით, კუჭის დაბალი მჟავიანობაა.

**— მაშინ გამოდის, რომ როცა „იზჟოგის" ჩასაქრობად კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევ პრეპარატებს ვსვამთ, ამით ცეცხლზე ნავთს ვასხამთ?**

— დიახ, საყლაპავი მილის სარქველი მხოლოდ იმიტომ არ იხურება და კუჭის წვენი მასში შეუფერხებლად იმიტომ ხვდება, რომ მისი მჟავიანობა დაბალია, ხოლო, როცა ამ ისედაც დაბალ მაჩვენებელს პრეპარატების ზემოქმედებით კიდევ უფრო დაბლა ვწევთ, მდგომარეობას ვაუარესებთ! ცნობისათვის, დიაბეტიანებში გასტრიტისა და კუჭის წყლულის შემთხვევები უფრო ხშირია!

**— მაინც როგორ ვუმკურნალოთ „იზჟოგას"?**

— რაც გინდა უცნაურად მოგეჩვენოთ, გასტროეზოფაგური რეფლუქსისა და „იზჟოგის" დროს საუკეთესო საშუალება **ძმრიანი წყალია!** ძმრის მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის მაჩვენებელი 2,5 ერთეულია, რითიც ის კუჭის წვენის მარილმჟავას ანალოგია.

**— არსებობს თუ არა ბუნებაში ისეთი გამორჩეული მცენარე, რომელიც კუჭს კიბოსგან და სხვა საშიში საფრთხისგან დაიცავს?**

— კუჭის დასაცავად საუკეთესო ბუნებრივი საშუალებაა **იმბირი, კოჭა,** ანუ იგივე **ჯანჯაფილი!** მეცნიერულად დადასტურებულია, რომ იგი შეიცავს **პოლიფენოლ ჯინჯეროლს,** რომელიც ხსნის გასტრიტს, ახორცებს წყლულებს და ანადგურებს კუჭის კიბოს უჯრედებს! გარდა ამისა, შეიცავს მანგანუმს, რომელიც აუცილებელია ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების გამოსამუშავებლად, ძვლებისა და გენეტიკური მასალის დასაცავად.

**— როგორ უნდა დავიცვათ ჯანჯაფილის გამოყენებით კუჭი?**

— ამისათვის სრულიად საკმარისია, ყოველდღიურად მივიღოთ მისი ნედლი ან მშრალი ფესვის 1-3 გრამი ოდენობის ფხვნილი, რომელსაც დავუმატებთ ჩაის და ყველა იმ პროდუქტს, რომელსაც უმად მივირთმევთ. ცნობისათვის, დანიასა და ნორვეგიაში უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული კვლევების მიხედვით, კუჭის კიბოსკენ უფრო მიდრეკილი არიან ის ადამიანები, რომლებსაც მეორე ჯგუფის სისხლი აქვთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***






## „კუჭის კიბოსკენ მიდრეკილი ის ადამიანები უფრო არიან, რომლებსაც მეორე ჯგუფის სისხლი აქვთ!"



**„ჰელიკობაქტერია პილორის აღმოჩენისათვის მარშალმა და უორენმა ნობელის პრემია მიიღეს!"**



## „ნებისმიერმა ადამიანმა განავლის გამოკვლევა ფარულ სისხლდენაზე წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩაიტაროს!"

## კვირგვინოსნები

**მარიტა როხვაძე**
*მომღერალი*



ქვეყანაში დაძაბული ურთიერთობაა, **ცოლი ქმარს არ ელაპარაკება, დედა — შვილს, და — ძმას.** ასეთი დამოკიდებულებები მალე უნდა დასრულდეს.

„სარკე"

**გია ფარადაშვილი**
*ილუზიონისტი*



როცა ქორწილში **ნეფე-დედოფალს** პირდაპირ ვუყურებ, ვეუბნები — **ბიჭი ეყოლებათ თუ გოგო.**

„სარკე"

**ონისე ონიანი**
*მსახიობი*



ჩემი გულის კარი იშვიათად არ იღება, **იოლად მიყვარდება ადამიანები.**

„თბილისელები"

**დუეინ ჯონსონი**
*მსახიობი*



რამდენიმე წლის წინ **პოლიტიკაში წასვლაზე სერიოზულად ვფიქრობდი,** მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ **პოლიტიკაში ყოფნას სერიოზული ძალისხმევა სჭირდება** და ბევრ რამეზე, მათ შორის, ოჯახთან ერთად ყოფნაზე უარი უნდა მეთქვა.

„სარკე"

**გია ჯაჯანიძე**
*ტელეწამყვანი*



ჩემთვის **ახალი წელია ყოველი გათენებული დილა.** 63 წლის ვხდები და ყოველდღე ვზეიმობ. **სულ კარგ ხასიათზე ვარ, სულ ბედნიერი ვარ,** სულ ბრჭყვიალები მაცვია, სახლიც სულ ბრჭყვიალებს. **ახალი წელი მეტი რა არის?!**

„თბილისელები"

# რუსეთი ბაკალავრიატს აუქმებს და უმაღლესი განათლების ძველ სისტემას უბრუნდება!

***2026 წლის 1 სექტემბრიდან რუსეთის უმაღლესი სასწავლებლები განათლების ახალ სისტემაზე გადადიან! ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც 2022 წლის 11 აპრილს ბოლონიის ჯგუფმა რუსეთთან და ბელორუსთან ურთიერთობა გაწყვიტა და რუსეთი ამ უვარგის სისტემას“ მთლიანად ჩამოაშორა! ამის მიზეზი 2022 წლის 22 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრა და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გახდა, რომელიც დღემდე გრძელდება! განათლების რეფორმით, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფის პროცესშია, რუსეთი უბრუნდება ძველ, პრუსიული განათლების ხუთწლიან სისტემას და საერთოდ აუქმებს ე.წ. ბაკალავრიატს, რაც უსათუოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს!***

როდის გამოჩნდება ვინმე ღვთიან-მადლიანი, რომ რუსეთის მსგავსად, **„ბოლონიის პროცესიდან“** საქართველოც გამოაგდოს და გამორიცხოს, რათა იღბლად შემორჩენილი ეროვნული მეცნიერების მბჟუტავი კვარი ამ გზით მაინც გადავარჩინოთ და მერე, **თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, იმ დიდი განათლების ღვთაებრივი ცეცხლი ავაგიზგიზოთ, რომლის შუქითაც ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, ნიკო მუსხელიშვილის, ილია ვეკუას, ანდრია რაზმაძის, სიმონ ხეჩინაშვილის, ეგნატე ფიფიას, აკაკი შანიძის, სვიმონ ყაუხჩიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ანდრია აფაქიძის, ელეფთერ ანდრონიკაშვილის, თინათინ წერეთლის** და სხვა ლეგენდების საქართველო ბრწყინავდა.

მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი საქართველოშიც უნდა დაიწყოს, რადგან ე.წ. **ბაკალავრიატი და მაგისტრატურა** სხვა არაფერია, თუ არა ბავშვების გამოშტერებისა და მასობრივად გამოთაყვანების მართული პროცესი. **ე.წ. „4+2“ სისტემა საქართველოს პროფესიონალებს კი არა, უწიგნურ და მოღორებულ თაობებს სძენს.**

ეს ის ბნელი, უღმერთო და უმადური სისტემაა, რომლის ნაყოფიც სულ ახლახან ვიხილეთ — **ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ლგბტ აგენტურას უჭერენ მხარს, ამ რამდენიმე დღის წინათ გამოვიდნენ და ბიძინა ივანიშვილის პორტრეტი გადახაზეს, აქაოდა, უნივერსიტეტი ჩვენიაო!** არადა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი **სწორედ ბიძინა ივანიშვილმა ააშენა,** რისთვისაც მან და მისმა ოჯახმა 1 მილიარდი დოლარი გადაიხადეს!

**ეს იმიტომ ხდება,** რომ **ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის** რექტორად დედაუნივერსიტეტის დამაქცევარი **გია ხუბუა** დანიშნეს!

**ეს იმიტომ ხდება,** რომ

**საქართველოს განათლების სისტემიდან ღმერთი გამოაძევეს და ზნეობა გამოაპანღურეს. შესაბამისად, ხელში შეგვრჩა უღმერთო და უზნეო თაობა, რომლისთვისაც ყველაფერი სულერთია!**

**ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემას ძირეული ცვლილებები სჭირდება და არა განათლების მინისტრ წულაძის მოადგილეების სიმრავლე...** როგორც მეუბნებიან, საქართველოს განათლების მინისტრს ექვსი მოადგილე ჰყავს. ამდენი მოადგილე სტალინსა და ნაპოლეონს არ ჰყოლიათ!

ყველა წესიერი პროფესორი და, მათ შორის, სტუდენტიც დამეთანხმება, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესი, ფაქტობრივად, მოშლილია; **პროფესორი სტუდენტს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს ვერ უწერს — ვერც კურსზე ტოვებს და ვერც უმაღლესიდან რიცხავს, რადგან ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი შემოსავალს დაკარგავს.** არაერთი ჩემი კოლეგისგან მსმენია, რომ კერძო უნივერსიტეტებიდან მხოლოდ იმის გამო დაითხოვეს, სტუდენტს ნიშანი რომ არ დაუწერა. **ამის გამო მაჩანჩალა და უწიგნურმა სტუდენტმა სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადაიტანა საბუთები და სხვისი ბიუჯეტი შეავსო,** ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ პროფესორი შინ გაუშვა — დიდი ბოდიში, მაგრამ სტუდენტი თქვენ გამო გამექცა და შემოსავალი დამაკარგვინეო!

**ვიდრე ეს დამღუპველი სისტემა იარსებებს, საქართველოში განათლების სისტემის საშველი არ იქნება!**







## როდის გამოჩნდება ვინმე ღვთიან-მადლიანი, რომ რუსეთის მსგავსად, „ბოლონიის პროცესიდან“ საქართველოც გამოაგდოს!

**დროა, საქართველოში უფასო განათლების სისტემა დაინერგოს! თუ ეს მოხდება, პროფესორ-მასწავლებლებს ავტომატურად მიეცემათ უფლება, უნივერსიტეტიდან უსაქმური და უტვინო სტუდენტები გარიცხონ, რაც სწავლის ხარისხს გააუმჯობესებს!**

ევროპაში უნივერსიტეტების ისტორია სწორედ ჩრდილოეთ იტალიიდან, ანუ **ბოლონიიდან** დაიწყო. მე-11 საუკუნეში **ბოლონიის** უნივერსიტეტში მოღვაწეობდა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, იურისტი **ირნერი.** წესით და რიგით, **„ბოლონიის პროცესი“** დედამიწაზე განათლებისა და მეცნიერების გაფურჩქვნას უნდა მოხმარებოდა, მაგრამ როგორც წყეულმა **კახა ლომაიამ** და მისმა პატრონებმა პროექტ **„ილია ჭავჭავაძის“** სახელით მოკლეს ქართული განათლება, სწორედ ისე, მსოფლიო მაფიამ **„ბოლონიის პროცესით“** გაანადგურა საუნივერსიტეტო სწავლება!

მართლაც, უკანასკნელმა ათწლეულებმა აჩვენა, რომ არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში სწავლა-განათლების ხარისხი მიწასთან არის გასწორებული. ე.წ. **დიფ სთეითმა,** ანუ ფარულმა დასმა, ვირების ბაგად აქცია მსოფლიოს არაერთი სახელოვანი და ოდესღაც წამყვანი უნივერსიტეტი. დღესდღეობით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი დაახლოებით ათამდე უნივერსიტეტია, რომელიც ძველ მოთხოვნებს პასუხობს, თორემ სწავლა ყველგან გაუფასურებულ-მიფუჩეჩებულია.

საბჭოთა კავშირის დროს 5-მილიონიან საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებლი იყო, რომელიც ჩვენს ქვეყანას ყელამდე ყოფნიდა... დღეს საქართველოში 3 მილიონი კაცი ცხოვრობს და 70-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, რომელთა უდიდეს ნაწილს არავითარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და გამართული ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

**„ბოლონიის პროცესმა“,** რომელსაც საქართველო ავადსახსენებელი **კახა ლომაიას** მინისტრობის დროს შეუერთდა, ქართული განათლების სისტემა მთლიანად დაშალა და დაანგრია. **უმწიფარმა, უწიგნურმა, ცუნდრუკმა და სოროსის ძუძუნაწოვმა ლომაიამ, რომელმაც დაფაზე „ბავშვი“ ვერ დაწერა, სწორედ „ბოლონიის პროცესის“ დირექტივით და თანხმობით დაანგრია დედაუნივერსიტეტი.** უსამშობლო ხუნვეიბინებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები პოლიციის ძალით გამოდევნეს, 22 ფაკულტეტი 7 ფაკულტეტამდე დაიყვანეს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაანგრიეს, მოშალეს, ან გაყიდეს, ხოლო უმაღლესი სასწავლებლები ნაცაქტივისტებითა და გეი-აგენტებით გამოტენეს!

**სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის პირდაპირი პროდუქტია სატანისტების, ღვთისმგმობელებისა და ლგბტ აგენტურის პირდაპირი სამჭედლო — ე.წ. ილიაუნი და ბენდუქიძის უნივერსიტეტი!**

1918 წლის შემოდგომაზე ცნობილი პატრიოტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი **სპირიდონ კედია** გაზეთ **„საქართველოში“** წერდა, რომ თბილისელი ხელოსნების, მეტწილად სომხური წარმოშობის მეთუნუქეების, დურგლების, ხარატების, მჭედლებისა და შუშის ოსტატების საამქროებში საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ტყვია იჭედებოდა და ყუმბარა მზადდებოდა!

სწორედ ასე, ე.წ. **ილიაუნსა** და **ბენდუქიძის უნივერსიტეტშიც,** რომლებსაც აუცილებლად უნდა დავუმატოთ **ბიულის ალასანიას** ფრთებქვეშ შეფარებული **„ფრანკლინის კლუბი“ და სხვა პროფაშისტური ორგანიზაციები,** ამზადებენ, წვრთნიან, აფინანსებენ და მოძღვრავენ საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის დაუძინებელ მტრებს, რომლებიც დანდობასა და შეწყალებას არ ექვემდებარებიან!

გადახედეთ სოციალურ ქსელებს, როგორი უწიგნური და გაუნათლებელი თაობა ეზრდება საქართველოს!

**არავითარი მორალი, არავითარი წიგნიერება, არავითარი პატივისცემა და სიყვარული!**

**ე.წ. ჯენზი,** რომელიც საქართველოს გადაბუგვას უპირებდა, პირდაპირი შედეგია გაუნათლებლობის, უღმერთობისა და უწიგნურობის!

**იმ ქართული დიპლომების მფლობელთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებსაც ევროკავშირი აღიარებს, სინამდვილეში არავითარი ცოდნა არ გააჩნია და უწიგნურია! აქედან გამომდინარე, განათლების არსებული სისტემა უნდა დაინგრეს!**

რუსეთი **„ბოლონიის პროცესიდან“** გამოაგდეს!

**საქართველომ „ბოლონიის პროცესი“ თავად უნდა დატოვოს, რადგან დღევანდელი სასწავლო პროგრამები და სისტემა არა ნიჭიერი ქართველების მეცნიერულ აღზრდა-განათლებას, არამედ ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე მომსახურე პლებსის ფორმირებას ემსახურება!**

სუფრის გაშლას და შარვლის გაუთოებას დიპლომი არ სჭირდება!

ცხონებული ბებიაჩემი ამას შვიდი წლიდან უდიპლომოდაც კარგად აკეთებდა!

***დიტო ჩუბინიძე***

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი უძველესი ქართული ცივილიზაციის სათავეების შესახებ მოგვითხრობს და ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველოს უძველესი ისტორიის გამოსამზეურებლად დღევანდელი განათლების სისტემა მხოლოდ დამანგრეველ ფუნქციას ასრულებს და არაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა მომავალ თაობას ჩვენი ღირსეული წარსული გაახსენოს და ასწავლოს:***

## სვიმონ მასხარაშვილი:

## ქართველებს არავისგან არაფერი გვაქვს სასწავლი, ჩვენ, უბრალოდ, უძველესი და დიდი ისტორიის გახსენება გვჭირდება!

— 7 ათასი წლის წინანდელი ქვევრისა და ღვინის ნაშთის საქართველოში აღმოჩენამ დაამტკიცა, რომ დაახლოებით 10 ათასი წლის წინათ ჩვენ კი არ წამოვედით შუმერიდან წინა აზიაში, არამედ შუმერები წავიდნენ აქედან. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ უძველეს შუმერულ ტექსტებში პირდაპირ წერია — **ჩვენ მთიანი ქვეყნიდან მოვედითო!** შუმერულ ენაზე სამყაროს ეძახიან **გორგორას,** რაც მთიან ქვეყანას ნიშნავს... შუმერულად **გორა** ნიშნავს მთას და აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია... მოკლედ, შუმერები, როგორც თავად ამბობენ, **მთიანი ქვეყნიდან, ანუ ტიგროსის, ევფრატისა და ჭოროხის სათავეებიდან** არიან ჩასული მესოპოტამიაში, კერძოდ, დღევანდელი ერაყის უკიდურეს სამხრეთში. ყურადღება მიაქციეთ იმასაც, რომ შუმერული კულტურის თანადროული და ხშირად უფრო ძველიც კია სპილენძისა და ადრინდელი **ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურა,** რომელიც მთელ მცირე აზიასა და კავკასიას მოიცავდა, მაგრამ კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე ათასწლეულით თარიღდება ისევ და ისევ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი **არახლოს გორა** — სპილენძ-ქვის ხანის კულტურა, რომელიც მტკვარ-არაქსისა და შუმერული კულტურის აშკარა წინაპარია. **მტკვარ-არაქსის კულტურის** შემქმნელ ხალხს — **პროტოქართველებს** უსათუოდ ჰქონდათ სახელმწიფო ან სახელმწიფოები, სხვანაირად ეს უზარმაზარი კულტურა ვერ შეიქმნებოდა. ასე რომ, თუ ცნობილი მეცნიერი **სამუელ კრამერი** აცხადებს, რომ **„ისტორია იწყება შუმერიდან!“** — უკაცრავად, მაგრამ **ისტორია შუმერიდან კი არა, არახლოს გორიდან და მტკვარ-არაქსის კულტურიდან იწყება!**

შუმერულმა ტექსტებმა ბიბლიური ტექსტების ნამდვილობა არათუ დაამტკიცა, არამედ ისიც დაადასტურა, რომ ბიბლიაში მთელი რიგი ისტორიები სწორედ შუმერულიდან და, კერძოდ, გილგამეშის ეპოსიდან არის შესული. აი, მაგალითად, თქმულებას ადამისა და ევას შესახებ, წარღვნის შესახებ და ნოეს შესახებ შუმერული ლურსმული წარწერები კარგად იცნობს. **შუმერული უთანაფიშთი და აქადური ზიუსუდრა** იგივეა, რაც **ბიბლიური ნოე,** ხოლო **შუმერული მინურთა,** რომელიც ქართულად **ნეკნს** ნიშნავს, ბიბლიური ევას უძველესი პროტოტიპია. **მინურთა** შუმერულში სიცოცხლის წყაროა... ანუ სიუჟეტები ბიბლიაში ზუსტად მეორდება.

**— ცნობილია, რომ ბიბლიის უძველესი ხელნაწერი ტექსტები ძველი წელთაღრიცხვის მე-9 საუკუნით თარიღდება. თქვენ მიერ ხსენებული შუმერული ტექსტები რომელი საუკუნისაა?**

— ბიბლიური სიუჟეტები შუმერულ ტექსტებში, სულ მცირე, ათასი წლით ადრე მაინც გვხვდება! **მოსე** ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნის დასასრულს და მე-12 საუკუნის დასაწყისში. ვიდრე ებრაელები ეგვიპტელების ტყვეობაში იმყოფებოდნენ, არავითარ ბიბლიურ ტექსტებზე საუბარი არ შეიძლება იყოს... უფრო სავარაუდოა, რომ ბიბლიის უძველესი ტექსტების უდიდესი ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში უნდა იყოს ჩაწერილი. სხვათაშორის, მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი **კულაშის ბიბლიაა...** მოგეხსენებათ, კულაში სოფელია სამტრედიის რაიონში.

**— მაინც რა სამყაროში ცხოვრობდნენ ჩვენი უშუალო წინაპრები, ანუ პროტოქართველები?**

— ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულიდან ძველი წელთაღრიცხვის 500 წლამდე მსოფლიო ისტორიის ცენტრი იყო კავკასია, შუამდინარეთი, ირანი, მცირე აზიის ნახევარკუნძული, სირია-პალესტინის ტერიტორია და ეგვიპტე. სწორედ ამ სივრცეს უკავშირდება **მტკვარ-არაქსის კულტურა, თრიალეთის კულტურა, კოლხური კულტურა, შუმერი, აქადი, ძველი ეგვიპტე, ელამი, აიეტი, მედეა, ხამურაბის ბაბილონი, თრიალეთის კულტურა, აბრაამი, იაკობი, იოსები და ძმანი მისნი.** აქ შეიქმნა ჰიქსოსების, ხეთების სამეფოს, კასიტების, ხური-მითანის, ეხნატონის, ნეფერტიტის, ტუტანჰამონის, რამზესების, ქადეშის ზავის, ხალიბების (ხალდების) მიერ რკინის მეტალურგიის განვითარების, „ზღვის ხალხების შემოსევის“, ტროას ომის, მოსეს მიერ ეგვიპტელთა ტყვეობიდან ებრაელების გამოხსნის ისტორია. აქ ბობოქრობდნენ **ასურეთი, დიაოხი, კოლხური კულტურა, ურარტუ, კიმერიელები და სკვითები, ფინიკია და მიდია...** აქ დაანგრია **ნაბუქოდონოსორ მეორემ** ებრაელთა სამეფო, აქ გაძლიერდა **კრეზის ლიდია** და დაიბადა **კიროს აქემენიანის სპარსეთი.**

**— რა ცნობები მოგვეპოვება დამწერლობამდელი ჩვენი წინაპრების სოციალური ცხოვრების შესახებ?**

— არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და უცხოური წერილობითი წყაროები ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან ჩვენს წინაპართა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ საკითხზე, მაგრამ მათგან დღეს უპრიანი იქნება განვიხილოთ სამი თემა: **1. ქალთა უფლებები; 2. პარლამენტარიზმი; 3. წარმოების საშუალებებსა და ქონებაზე კოლექტიური და ინდივიდუალური საკუთრების ფორმების ურთიერთმიმართების საკითხი. ჩვენი წინაპრები მსოფლიოში, ფაქტობრივად, ერთადერთნი იყვნენ, რომლებიც მზის ქალის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ და არა — მამაკაცის!**

ძველ ქართულ წარმართულ აზროვნებაში მამაკაცის სიმბოლოებია **მთვარე და ხარი,** ხოლო დედის — **მზე და მიწა.** სწორედ მზით შთაგონებული ანათებს ღამის მზე — მთვარე და სწორედ მიწასთან მიმართებაში ხნავს და ილვწის ხარი. მზე და ქალი არის არამარტო თაყვანცემისა და სიქველეთა მიძღვნის სუბიექტი, არამედ უძველეს წინარექართველთა წარმოდგენაში ქალი თავად ქმედებათა შთამაგონებელია. საქართველოში **მეხრე** ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, ფიზიკურად ყოველთვის მამაკაცი იყო, მაგრამ საქართველოში მას უწოდებდნენ არა **გუთნისმამას,** არამედ **გუთნისდედას,** რადგან ხარისთვის, ანუ რჩეულ ვაჟკაცთა სიმბოლოსთვის მიმართულების განმსაზღვრელი მხოლოდ და მხოლოდ დედა, ქალი შეიძლება ყოფილიყო.

საინტერესოა, რომ შუმერულ მითოლოგიაშიც, თურქმენული, ინდოევროპული თუ სხვა მითოლოგიებისაგან განსხვავებით, ქალი არნახული პატივისცემით სარგებლობს! **ურუქის** მთავარი ღვთაება იყო **ინანა,** რომელიც გახლდათ გილგამეშის ქმედებათა მთავარი შთამაგონებელი. **ხამურაბის** კანონები აწ უკვე იშთარად გარდასახულ ინანას უწოდებს **ქალღმერთ მამას.** ბუნებრივად გვახსენდება ქართული სიტყვა — **დედაკაცი.** შესაბამისად, აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ ქართველები დღემდე ვამბობთ **დედაბოძს** და არა **მამაბოძს, დედამიწას** და არა **მამამიწას...** უძველეს **„კოლხურ თეთრზეც“** ნანა — დედაა გამოსახული. შესაბამისად, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრობა ერგუნა საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ მოციქულებმა **ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ** საქართველოში იქადაგეს, ქალისა და დედის თაყვანისმცემელ ივერიელთა ქრისტეს რჯულზე საბოლოოდ მოქცევა მხოლოდ ქალწული ნინოს ჯვარმა, ცრემლმა და სიტყვამ შეძლო! საქართველოში სწორედ ქალის განსაკუთრებულ უფლებებს ადასტურებს სამი ფაქტი: 1. რუსთველის მტკიცება, რომ „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია“; 2. ქართულ ენაში არ არსებობს მდედრობითი და მამრობითი სქესი; 3. საქართველოში სამართლებრივად არსებობდა ასეთი ფენომენი — **„ქალის საქმე“,** ანუ, როდესაც ადამიანს არ ჰყავდა ვაჟი, მთელი ქონება გადადიოდა მის ქალიშვილზე და ამ ქალის შვილები და ქმარიც მხოლოდ ამ ქალის გვარზე ეწერებოდნენ. ეს ხდებოდა მაშინაც, როცა ქალი ქმართან შედარებით დაბალ სოციალურ საფეხურზე იდგა. მაგალითად, ერთ-ერთი აზნაურის — მაჭავარიანის თავადიშვილი სიძე — ვინმე წერეთელი, რაკიღა დაქორწინდა **„საძეო ქალზე“,** გვარი შეიცვალა და გახდა მაჭავარიანი. ეს მე-17 საუკუნის დოკუმენტია... ზუსტად ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ირანის სამეფო ოჯახის შთამომავალი უფლისწული **მირიანი** ჩასიძების გზით გახდა **მირიან ფარნავაზიან-ქართლოსიანი.**

**— რამდენად ადასტურებს ამ ფაქტს უცხოური წყაროები?**

— მაგალითად, სტრაბონის (ძვ. წ. 64 — ახ. წ. 24 წ.წ.) ცნობის თანახმად, ქრისტიანობამდელ საქართველოში მეფობა მემკვიდრეობით მამიდან შვილზე არ გადადიოდა და მეფედ ირჩევდნენ ქართლოსიანთა სამეფო გვარის ყველაზე ღირსეულ წარმომადგენელს. **მირიანი** შვიდი წლის იყო, როცა რიტუალურად დააქორწინეს ქართლის მეფის ასულზე, რომელიც ადრე გარდაიცვალა. ამის შემდეგ გარდაიცვალა მისი სიმამრიც... შეიკრიბა სამეფო გვარი ახალი მეფის ასარჩევად. თავადებმა გადაწყვიტეს — ვინაიდან ქართლოსიანთა გვარში არავინ გვყავს უმჯობესი მირიანზე, დაე, ის იყოს მეფე ქართლისა! ანუ მიუხედავად იმისა, რომ მირიანის პირველი ცოლი უკვე გარდაცვლილი იყო, ქართული წესის თანახმად, ჩასიძებულ მირიანს ქართლოსიანთა გვარის ჭეშმარიტ წარმომადგენლად მიიჩნევდნენ.

**— როგორი იყო საკუთრების ფორმები ძველ საქართველოში?**

— არსებობდა ინდივიდუალური საკუთრება საბრძოლო იარაღებზე, ტანსაცმელსა და ყოველდღიური მოხმარების საგნებზე, მაგრამ იმავე **სტრაბონის** თანახმად, წარმოების საშუალებები და მიწა გვარს ეკუთვნოდა. ეს მთლიანად დასტურდება მე-19-მე-20 საუკუნის ეთნოგრაფიული კვლევით, რომელიც საქართველოს მთიანეთში ჩატარდა.

**— რამდენად აისახებოდა საკუთრების გვაროვნული ფორმები ჩვენს წინაპართა პოლიტიკურ მოწყობაზე?**

— **მსოფლიო პარლამენტარიზმის აკვნად საქართველო და კავკასია უნდა მივიჩნიოთ!** ანგლოსაქსს, კელტსა და ლათინს ეს ყველაფერი ჩვენს მონათესავე წინაპართაგან, ანუ პროტოევროპელთაგან აქვთ აღებული. გენეტიკურად სუფთა ინდოევროპელებს, მაგალითად, გერმანელებისა და სლავების დიდი ნაწილს, საერთოდ არ გააჩნდა გვარის ფენომენი. იქ საზოგადოება არ იყოფოდა გვარებად და სახლებად ისე, როგორც ეს ჩვენთან იყო დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე, **სუფთა ინდოევროპულ საზოგადოებაში მხოლოდ ერთსახოვანი ბრბო და ბელადი არსებობდა.** სახალხო კრებებზეც **ბრბო** ღრიალით ირჩევდა ფიზიკურად გამორჩეულ **ბელადს** და მერე ყველა მის ბრძანებას მონასავით ემორჩილებოდა. არსებობდნენ ე.წ. **უხუცესებიც,** რომლებიც ბელადის მიერ შერჩეული მლიქვნელი მრჩევლები იყვნენ და არა გადამწყვეტი სიტყვის მქონე კაცები. ამისგან განსხვავებით, ჩვენი წინაპრების საზოგადოების ყველაზე პატარა და ლოკალური სოციალური ინსტიტუტი იყო **სახლი, ანუ ოჯახი,** რომელსაც თავისი **მამასახლისი** ჰყავდა. სახლები ერთიანდებოდნენ ერთ გორაზე მცხოვრებ გვარად, მიწაზე ჰქონდათ საერთო საგვარეულო საკუთრება და ყველა საკითხს ოჯახთა მამასახლისების საბჭოზე წყვეტდნენ ბჭობითა და ხმათა უმრავლესობით. სხვათაშორის, **მდივან-ბეგს** მე-18 საუკუნემდე წყაროებში **ბჭე** ეწოდებოდა... გვარები ერთიანდებოდნენ **ხევებად,** ხევის საბჭოზე საკითხებს **გვართა მამასახლისები** წყვეტდნენ, ხოლო მთელი ხევის მამასახალისი, ანუ **ხევისბერი** არჩეული, ერთ-ერთი გვარის მამასახლისი იყო და მხოლოდ და მხოლოდ **სპიკერის** ფუნქცია ეკისრებოდა. თავის მხრივ, ხევები დიდი მდინარეების — მტკვრის, რიონის, ჭოროხის ხეობებად ერთიანდებოდნენ და იქაც საქვეყნო საქმეები მხოლოდ **მამასახლისთა ყრილობაზე** მსჯელობითა და კენჭისყრით წყდებოდა. ამის დასტურია თუნდაც ორი ფაქტი: 1. **აგათია სქოლასტიკოსის ცნობა** 554 ან 555 წელს კოლხეთში გამართული სახალხო კრების შესახებ; 2. უძველესი ასურული წყაროები, სადაც მოხსენიებულია ერთდროულად მოქმედი და საერთო გადაწყვეტილების მიმღები ოცი **მოსხი მეფე...** ანუ იმათ, ვისაც ასურელები **მოსხ** თუ **ნაირელ მეფეებად** აღიქვამდნენ, ჩვენ წინაპარ მესხთა, ნაირელთა, დიაოხელთა და კოლხთა გაგებით, ხევთა მამასახლისები და თავკაცები, ანუ **ხევისბერები** იყვნენ. სწორედ ეს გვაროვნული მოწყობა და ჩვენ წინაპარ ხევისბერთა **საბჭოები, საფიხვნოები და საკრებულოები** წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში ფიქსირებულ ყველაზე ძველ წარმომადგენლობით ორგანოებს, ანუ პარლამენტებს! მოკლედ, **ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ქალთა უფლებებისა და საპარლამენტო დემოკრატიის უპირველესი დამამკვიდრებელნიც და დამცველნიც სწორედ ჩვენი წინაპრები იყვნენ!**

კაცმა რომ თქვას, ქართველებს არავისგან არაფერი გვაქვს სასწავლი, ჩვენ, უბრალოდ, ჩვენი წარსულის — უძველესი და დიდი ისტორიის გახსენება გვჭირდება! **სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი განათლების სისტემა ამ მიმართულებით მხოლოდ დამანგრეველ ფუნქციას ასრულებს და არაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა მომავალ თაობას ჩვენი ღირსეული წარსული გაახსენოს და ასწავლოს!**



## „მსოფლიო პარლამენტარიზმის აკვნად საქართველო და კავკასია უნდა მივიჩნიოთ!“



*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

*„მთაში ერთბაშად ხდება ის, რასაც ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ აღწევენ — ეს არის საკუთარი თავის შეცნობა“,* **— ამბობს მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე, ქართული ალპინიზმის ისტორიის უბადლო მცოდნე, გეოლოგი და ჟურნალისტი ივანე ჯაფარიძე, რომელიც საოჯახო არქივის დამუშავებისა და უნიკალური დოკუმენტაციის მოძიების კვალდაკვალ ქართული ალპინიზმის განვლილ გზას იხსენებს:**



ივანე ჯაფარიძე მამიდასთან – პირველ ქართველ მთამსვლელ ქალთან – ალექსანდრა ჯაფარიძესთან და მამასთან – ნოე ჯაფარიძესთან ერთად



# ლეგენდარული ალპინისტების

## ივანე ჯაფარიძე:

# ქართული მთამსვლელობის ისტორია საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაცაა, მთაში რწმუნდები, სად გადის შენი პიროვნული შესაძლებლობის ზღვარი!

— მამიდაჩემის — პირველი ქართველი მთამსვლელი ქალისა და ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის **ალექსანდრა ჯაფარიძის** (რომელმაც შემდეგ მიშვილა და იურიდიულად მის მემკვიდრედ ვითვლები) გარდაცვალების შემდეგ ორი თვე სახლიდან არ გავსულვარ, ვსწავლობდი მის არქივსა და დოკუმენტაციას, დეტალურად გავეცანი სპორტული ალპინიზმისა და მთამსვლელობის ყველა ნიუანსს, წლების განმავლობაში მთაში პირადადაც დავდიოდი, ამიტომ, რასაც გიამბობთ, ყველაფერი უტყუარ დოკუმენტებს ეყრდნობა, რეალურია, განცდილი და გააზრებული.

**— უპირველესი თვისება, რაც უნდა ახასიათებდეს მწვერვალებზე ასვლის მსურველს..**

— ამ საქმის მოთავეობას ფიზიკური მონაცემებისა და მატერიალური მხარის გარდა ესაჭიროება სათანადო ნიჭი, ცოდნა, ღირსება და მთამსვლელობისთვის თავდადება. ადამიანმა საკუთარ სისუსტეებს უნდა სძლიოს და გააცნობიეროს, სად გადის მისი პიროვნული შესაძლებლობის ზღვარი. ჩვენი მთამსვლელები იყვნენ ღირსეული, ვაჟკაცი ადამიანები, რომლებიც მთაში მიდიოდნენ უდიდესი ენთუზიაზმითა და თავდადებით, ხშირად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

თუ ძველი ბერძნებისთვის კავკასიონი ლეგენდარული, მითური მხარე იყო, ქართველებისთვის ის რეალურ სამყაროს წარმოადგენს, რომლისკენაც უხსოვარი დროიდან ილტვოდნენ. კავკასიონის მწვერვალებზე ასვლით ადამიანები ღმერთთან მიახლოებას ცდილობდნენ, უნდოდათ, იქიდან ლოცვით უკეთ მიეწვდინათ ხმა მამაზეციერისთვის. დაჭრილი ჯიხვის დევნაში მონადირეებსაც ხშირად მიუღწევიათ მყინვართა საუფლოსთვის, ზოგიერთი რომანტიკულად განწყობილი კაცი მიჯაჭვულ ამირანსაც კი ეძებდა კავკასიონზე. ასე რომ, მწვერვალების დაპყრობის სპორტული და სამეცნიერო კლუბების წარმოების ინტერესი თანდათან გაჩნდა და განვითარდა საქართველოში.

**— საიდან იწყება ქართული მთამსვლელობის ისტორია?**

— ქართული მთამსვლელობის ისტორია ამავე დროს საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაც არის. ოფიციალურად, ის 1923 წლიდან იწყება, როცა პროფესორების — **გიორგი ნიკოლაძისა და ალექსანდრე დიდებულიძის** ხელმძღვანელობით მყინვარწვერზე ორი ექსპედიცია მოეწყო. თუმცა, კავკასიონზე მასობრივი გადასვლის საუცხოო მაგალითს წარმოადგენს 1724 წელს **მეფე ვახტანგ მეექვსის** ემიგრაცია რუსეთში საქართველოს სამეფო კარის 1200 წარჩინებულთან ერთად. ვახტანგ მეფის ამალამ გეზი ცხინვალისკენ აიღო, საიდანაც რაჭაში გადავიდა. შემდეგ მათი მარშრუტი გადიოდა ნოწარულის ხეობიდან **ბურძიევცეკის გადასასვლელით,** ფასტაგის მყინვარის გავლით დიგორაში. ეს მარშრუტი დღესაც რთულ სამთო ტურისტულ მარშრუტთა რიცხვს მიეკუთვნება.

აქვე გაგახსენებთ ბეთლემის გამოქვაბულის ლეგენდასაც კავკასიონზე, რომელიც შესანიშნავად აქვს აღწერილი ილია ჭავჭავაძეს თავის პოემაში „განდეგილი“. ამ გამოქვაბულს მოიხსენიებს **ვახუშტი ბაგრატიონიც.** 1948 წელს ილიას ლეგენდა ცხადად იქცა, როდესაც **ალექსანდრა ჯაფარიძემ** მყინვარწვერის მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე კლდოვან ქარაფში ეს გამოქვაბული აღმოაჩინა, შიგ შევიდა, იქაურობა გამოიკვლია, აღწერა და პირველი ფოტოებიც გადაიღო.

**— დავუბრუნდეთ ქართული მთამსვლელობის ისტორიის საწყისს...**

— მასობრივ სპორტულ მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა 1918-1921 წლებში, როცა ქართული უნივერსიტეტი დაარსდა. სწორედ ამ დროს შეიქმნა საქართველოში პირველი სპორტული ორგანიზაცია **„შევარდენი“,** სადაც თავი მოიყარეს ქართული ინტელექტუალური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებმა. ვინაიდან ჩვენი მთამსვლელები ყურადღებით განებივრებულნი არასოდეს ყოფილან, ბევრმა არ იცის, ამ საქმემ როგორი სრულყოფილი პიროვნებები აღზარდა. 1923 წელს მყინვარწვერზე პირველი ალპინისტური ექსპედიციებიც სწორედ უნივერსიტეტის ცნობილ მეცნიერებსა და სტუდენტობას უკავშირდება.

ქართული ალპინიზმის აკვანია **მყინვარწვერი** — ეს ულამაზესი მწვერვალი, რომელიც ყაზბეგის რაიონში, ხოხის ქედზე მდებარეობს. იქამდე კავკასიონზე ევროპელი მთამსვლელები აწყობდნენ ექსპედიციებს, რომლებსაც მთებში ქართველი გამყოლები ჰყავდათ. მათი სახელები ცნობილია: **ჭავლე, ანუ ბახვა ფიფია, მურათბი კიბოლანი, მიტო არღუნიანი, ძმები ბეზურთანოვები, ლალა ხუციშვილი** და სხვები. ასევე ცნობილი გამყოლები იყვნენ მოხევეები: **ბახა წიკლაური და იაგორ კაზალიკაშვილი,** რომლებიც მყინვარწვერზე პირველ საბჭოთა ასვლაში მონაწილეობდნენ.

მართალია, 1922 წელს ზემონახსენები პირველი ქართული სპორტული ორგანიზაცია „შევარდენი“ გაუქმდა, რომელიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას წვრილბურჟუაზიულ, ნაციონალისტურ ორგანიზაციად მიაჩნდა, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო, რომ „შევარდენის“ წევრთა უმეტესობამეროვნული მუხტი შეინარჩუნა და მთას მიაშურა. სწორედ ამიტომაც 1923 წელს თითქმის ერთდროულად მყინვარწვერზე ორი ასვლა დაიგეგმა და განხორციელდა. პირველ ექსპედიციას, რომელსაც სპორტული მიმართულება ჰქონდა, პროფესორი **გიორგი ნიკოლაძე** მეთაურობდა, ხოლო მეორეს — სამეცნიეროს ხელმძღვანელობდა გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, პროფესორი **ალექსანდრე დიდებულიძე.**

28 აგვისტოს **ნიკოლაძის** ხელმძღვანელობით დევდორაკის მყინვარით მწვერვალზე ავიდა 18 ადამიანი (მათ შორის ხუთი ქალი): **გიორგი ნიკოლაძე, იაგორ კაზალიკაშვილი, მარიამ ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ასმათ ნიკოლაიშვილი, მარიამ ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე, ატო აღნიაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ზაქარია მამამთავრიშვილი, მიხეილ მათიაშვილი, ვასილ მჭედლიშვილი, მიხეილ ჯინჭარაძე, აბზი ბეზურთანოვი** — გამყოლი, სტავროპოლელი **ალექსანდრე ჩუმიხინი,** შვედი სტუდენტი **კურტ პაკენდორფი, გიორგი ალიხანოვი,** გერმანელი მასწავლებელი **ფრიდრიხ ბაუმჰაუერი.**

მყინვარწვერიდან დაბრუნებულ ამ ჯგუფს დევდორაკის მყინვარზე შემოხვდა გეოფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიცია **პროფესორ დიდებულიძის** ხელმძღვანელობით, რომელიც გზადაგზა მეტეოროლოგიურად, მაგნიტოლოგიურად, გლაციოლოგიურად და ტოპოგრაფიულად იკვლევდა მყინვარწვერის მიდამოებს, მთის სნეულებებს და ნელნელა მიიწევდა მწვერვალისაკენ. ჯგუფში 18 კაცი იყო, მაგრამ 3 სექტემბერს, 15 საათზე, მწვერვალზე მხოლოდ 7 ადამიანი ავიდა. ესენი იყვნენ: **ბახა წიკლაური, ალექსანდრა ჯაფარიძე, იოსებ ასლანიშვილი, ანდრია თოფაძე, ვალენტინ თულაშვილი, არნოლდ ვეისი და ტარასი ზაგაშვილი.** ამ ორი ასვლით საფუძველი ჩაეყარა მთამსვლელობას არამარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და დაიწყო ალპინისტური სექციებისა და ორგანიზაციების შექმნა. 1924 წლის 18 იანვარს დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება — სულ მალე, **18 იანვარს, ამ საზოგადოების დაარსებიდან 101 წელი სრულდება.**

1924 წლის 29 თებერვალს ცალკე ჩამოყალიბდა მთასვლამგზავროსნობის განყოფილება, შეიქმნა „პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება“. ამ ორგანიზაციების მეშვეობით განხორციელდა არაერთი ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე.

**— საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლამგზავროსნობის განყოფილებას ვინ ხელმძღვანელობდა?**

— თავმჯდომარედ აირჩიეს **გიორგი ნიკოლაძე,** ხოლო მოადგილედ — **იოსებ ასლანიშვილი,** სწავლულ მდივნად — **მიქელ პატარიძე.** დაიგეგმა მნიშვნელოვანი ექსპედიციები: **გიორგი ნიკოლაძის** თაოსნობით — იალბუზზე, ხოლო მეორე — მეცნიერული კვლევის განზრახვით, ისევ მყინვარწვერზე **ალექსანდრე დიდებული-**



გიორგი ნიკოლაძე



ალექსანდრე დიდებულიძე




ივანე ჯაფარიძის ბიძები – სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეები



1923 წელი. **მყინვარწვერზე პირველი სამეცნიერო ექსპედიციის მონაწილენი** თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ეზოში. *სხედან:* **ევგენი ლიპინსკი, ანდრია თოფაძე, სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი ქავთარაძე, სერგი ცხაკაია, შალვა ხუჭუა.** *დგანან:* **არჩილ ბენაშვილი, კონსტანტინე პაპინაშვილი, ვალენტინ თულაშვილი, გიორგი ავალიშვილი, გიორგი ერიქაშვილი, არნოლდ ვეისი, ტარასი ზაგაშვილი, ვიქტორ კოჩერგინი, დიმიტრი გურგენიძე, ნიკო ინწკირველი**

# მემკვიდრე მოგვითხრობს

**ძის** ხელმძღვანელობით.

თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად 1924 წლის ზაფხულში **ნიკოლაძემ** საწვრთნელი მოგზაურობა მოაწყო ჩრდილო კავკასიაში წეის მყინვარის გავლით და რაჭაში გადასვლით. ამ ლაშქრობაში პირველად გამოჩნდნენ შემდგომში შესანიშნავი მთამსვლელები და ექსპედიციების ორგანიზატორები — **დევი მიქელაძე და სიმონ ჯაფარიძე.**

1925 წლის 12 აგვისტოს **გიორგი ნიკოლაძემ** განახორციელა პირველი ქართული და საჭოთა ასვლა **იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე** და ეს ასვლაც, პირველი ექსპედიციის მსგავსად, მასობრიობით იყო მნიშვნელოვანი — მწვერვალზე ავიდა 19 კაცი, მათ შორის, მყინვარწვერზე პირველი ასვლის მონაწილე ხუთივე ქალი. ორი კვირის შემდეგ, 28 აგვისტოს, პროფესორ **ალექსანდრე დიდებულიძის** ექსპედიციის 11 წევრმა დალაშქრა მყინვარწვერი. მათ შორის ერთადერთი ქალი **ალექსანდრა ჯაფარიძე** იყო.

1926 წელს **გიორგი ნიკოლაძე** სამწლიანი სამეცნიერო მივლინებით უცხოეთში გაემგზავრა და მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას ჩემი ბიძა **სიმონ ჯაფარიძე** ჩაუდგა სათავეში. გარდა სპორტული ასვლების ორგანიზებისა, მან მყინვარწვერი და მისი მიდამოები სამეცნიერო კვლევის ობიექტად აქცია, კვლავ გააგრძელა დაკვირვებები მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიაში.

**— ცნობილია მყინვარწვერზე ასასვლელი ე. წ. სიმონ ჯაფარიძის გზაც...**

— ეს არის უხიფათო გზა გერგეტის მყინვარიდან, რომელიც **სიმონ ჯაფარიძემ იაგორ კაზალიკაშვილთან** ერთად 1926 წლის 9 სექტემბერს აღმოაჩინა. შემდგომ ამ გზას **სიმონ ჯაფარიძის** გზად მოიხსენიებდნენ. მწვერვალზე დადგეს მეტეოროლოგიური ჯიხური, სადაც მოთავსებული იყო თვითმწერი ხელსაწყოები ამინდზე დაკვირვებისათვის, გაკეთდა მწვერვალზე ტემპერატურის ცვალებადობის ამსახველი ერთკვირიანი დიაგრამა, იმ დროისათვის ასეთ სიმაღლეზე ეს იყო პირველი ავტომატური ჩანაწერი მსოფლიოში. იმავე წელს, ნოემბრის სუსხიან დღეებში, მყინვარწვერზე ასვლით **სიმონ ჯაფარიძემ** კიდევ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგა მთამსვლელობაში. 1928 წელს მისი ხელმძღვანელობით კვლავ განხორციელდა მყინვარწვერზე ასვლა. მწვერვალზე ავიდა პირველი რადიო და კინოექსპედიცია, ჯგუფში შედიოდა 41 კაცი, მათ შორის — 7 ქალი. სტეფანწმინდაში მთამსვლელთა ჯგუფს კინორეჟისორი **ნიკოლოზ შენგელაია** შეხვდა, რომელიც იქ მხატვრულ ფილმ „ელისოს" იღებდა და მყინვარზე მთამსვლელთა ასვლის ზოგიერთი მომენტიც დააფიქსირა.

**— იმ პერიოდში სიმონ ჯაფარიძეს გეოლოგიაშიც ჰქონდა აღმოჩენები...**

— 1924 წელს **სიმონ ჯაფარიძემ** კახეთში, ლოპოტის ხეობაში, თეთრი მარმარილოს საბადო აღმოაჩინა. ეს მარმარილო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაჰქონდათ და დიდი მოწონებით სარგებლობდა. ამ აღმოჩენით აღტაცებულმა სიმონმა დიდი მონდომებით დაიწყო მუშაობა თავის სპეციალობაში — გეოლოგიაში. 1929 წლის ზაფხულში ის უკვე კახეთში სახურავი ფიქლების გამოკვლევაზე მუშაობდა და მწვერვალებზე წასვლას აღარ აპირებდა, მითუმეტეს, პირველი სერიოზული აღმოჩენა უკვე ჰქონდა. მაგრამ, ეტყობა, ბედი არ იყო...

**— რა მოხდა?**

— უცხოეთიდან **გიორგი ნიკოლაძის** დაბრუნების შემდეგ საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, ნიკოლაძისვე ხელმძღვანელობით, დაგეგმა 25-კაციანი ექსპედიცია თეთნულდზე. ლაშქრობისათვის საჭირო სახსრები მოიპოვა **პიმენ დვალმა,** რომელიც 1924-1926 წლებში ზემო სვანეთის ადგილობრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი იყო. 1924 წელს, სწორედ მისი ინიციატივით, ბეჩოდან მესტიაში გადმოიტანეს ადმინისტრაციული ცენტრი.

თეთნულდის ექსპედიციის მომზადებაში **სიმონ ჯაფარიძე** არ მონაწილეობდა, მაგრამ ჯგუფის წევრებს ვერც კი წარმოედგინათ თავიანთი განუყრელი მეგობრის გარეშე უცნობ მწვერვალზე წასვლა. ამიტომ ისინიც და **გიორგი ნიკოლაძეც** სიმონს დაჟინებით სთხოვდნენ თეთნულდზე მათთან ერთად წასვლას. სიმონი ყოყმანობდა, თუმცა, მათ გასაცილებლად თბილისში მაინც ჩავიდა, ბოლოს კი მეგობრების თხოვნას დათანხმდა და მათთან ერთად წასვლა გადაწყვიტა. 27 აგვისტოს, დილით, ნაგების მყინვარიდან მწვერვალისაკენ სამნი დაიძრნენ: **გიორგი ნიკოლაძე, პიმენ დვალი და სიმონ ჯაფარიძე.** ეს იყო **სიმონ ჯაფარიძის** ბოლო გზა. მწვერვალზე ასვლისას იგი ყინულზე დაცურებულ **პიმენ დვალს** მიეშველა, თუმცა, მისი შეჩერება ვერ შეძლო და თან გადაჰყვა. ნიკოლაძე მათ გარეშე დაბრუნდა.

**სიმონისა და პიმენის** დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა მთელ სვანეთში, ყველაზე შორეულ სოფელშიც კი დასტიროდნენ, საუკეთესო სვანი მონადირეები თავდაუზოგავად ეძებდნენ დაღუპულებს. **პიმენის** ნეშტი მალე იპოვეს, ხოლო **სიმონს** ვერ მიაკვლიეს. ბოლოს, დაღუპვიდან 10 დღის შემდეგ, ღრმა ნაპრალში ჩავარდნილ **სიმონ ჯაფარიძეს** მიაგნეს **ტელემაკ ჯაფარიძემ, ვალიკო ყურაშვილმა, არჩილ გუჯეჯიანმა, ბართლომე ავალიანმა, გოჯი, მუსა და პავლე ზურაბიანებმა.** ამ ტრაგედიამ ააზმაურა ალპინისტთა ფართო წრეები და თეთნულდი ყველაზე ცნობილ მწვერვალად იქცა.

**სიმონის** დაღუპვის წლისთავზე, 1930 წლის ივლისში, თეთნულდზე ავიდნენ მისი დაძმა **ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, იაგორ კაზალიკაშვილი და ადსილ ავალიანი.** ალიოშა ჯაფარიძე სამ დღეში ორჯერ ავიდა მწვერვალზე, ჯერ მარტო, შემდეგ კი — თანამგზავრებთან ერთად. ასე შემოაბიჯა მთამსვლელობაში **სიმონ და ალექსანდრა ჯაფარიძეების** ძმამ **ალიოშა ჯაფარიძემ,** რომლის შესახებაც შემდგომში გიამბობთ.

**— რა ბედი ეწია გიორგი ნიკოლაძეს?**

— **გიორგი ნიკოლაძემ** ვერ მოასწრო მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება, რადგან სიმონის დაღუპვიდან წლინახევრის შემდეგ, 1931 წლის 5 თებერვალს, მოულოდნელად, 42 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა.



მყინვარწვერის პლატოზე – თამაზ შარაშენიძე, ელგუჯა ბერიშვილი, ივანე ჯაფარიძე და ჯიმშერ ხიდეშელი

„კავკასიონის მწვერვალებზე ასვლით ადამიანები ღმერთთან მიახლოებას ცდილობდნენ, უნდოდათ, იქიდან ლოცვით უკეთ მიეწვდინათ ხმა მამაზეციერისთვის. დაჭრილი ჯიხვის დევნაში მონადირეებსაც ხშირად მიუღწევიათ მყინვართა საუფლოსთვის, ზოგიერთი რომანტიკულად განწყობილი კაცი მიჯაჭვულ ამირანსაც კი ეძებდა კავკასიონზე!"

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

***გაგრძელება იქნება***



# მიხეილ ცაგარელი:

# რეტროგრადული პლანეტა მარსი და მისი ზემოქმედება

*— რას განაგებს პლანეტა მარსი და რომელი ფუნქციები უკნინდებათ ადამიანებს მისი რეტროგრადულობისას? ამ დროს მარსი რას გვაიძულებს? რა და რა ნეგატიური ემოციები შეიძლება გაძლიერდეს და რისი რისკი, შესაძლოა, გაიზარდოს? რისგან მოგვიწევს თავის დაცვა და რატომ? რისი შენარჩუნებაა მეტად მნიშვნელოვანი? რეტროგრადული ფაზის დროს პლანეტა მარსი რას ამუხრუჭებს, რას უშლის ხელს ანდა საგრძნობლად რამ შეიძლება იმატოს? დაძაბული გარემო რაზე შეიძლება აისახოს, რა არ არის რეკომენდებული და რისგან გვმართებს თავის შეკავება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— ამჟამად ენერგიის, აქტიურობის, ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა მარსი რეტროგრადულად (უკუსვლით) მოძრაობს. რამდენად მნიშვნელოვანია ეს მოვლენა ჩვენთვის, დედამიწელებისთვის?**

— ზოგადად, როდესაც რეტროგრადულ პლანეტებზე ვსაუბრობთ, ყველაზე უფრო ხშირად გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველ პლანეტა **მერკურს** ვიხსენებთ, რადგან, ერთი მხრივ, იგი წელიწადში სამ-ოთხჯერ ხდება რეტროგრადული და, მეორე მხრივ, ასეთ დროს ბევრი რამ ისე არ მიმდინარეობს, როგორც ვვარაუდობდით და განსაკუთრებულ ყურადღებასა და წინდახედულობას ითხოვს. **პლანეტა მარსის რეტროგრადულობას რაც შეეხება, ეს უფრო იშვიათი, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ. ნიშანდობლივია, რომ პლანეტა მარსი რეტროგრადული ორწელიწადნახევარში ერთხელ ხდება და მისი უკუსვლა საშუალოდ 80 დღე გრძელდება. ამჯერად მისი უკუსვლა 6 დეკემბერს დაიწყო და 24 თებერვლამდე გაგრძელდება.** მოგეხსენებათ, რომ მარსი არის ომის, ბრძოლის, ენერგიის მმართველი პლანეტა და განაგებს ქმედებებს, აქტიურობას, მიზანსწრაფვას, ამბიციურობას, ნებისყოფას, გამარჯვების სურვილს და, შესაბამისად, მისი რეტროგრადულად მოძრაობის პერიოდში ყველა ეს ფუნქცია სუსტდება, კნინდება. ამიტომაც მარსის რეტროგრადულობას მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი იგრძნობს. ამგვარ პერიოდში მნიშვნელოვნად ქვეითდება სასიცოცხლო ძალები, ენერგია, ხალისი, ინიციატორობის და ახლის კეთების სურვილიც იკლებს. საქმეები მუხრუჭდება.

**— რეტროგრადული მარსის პერიოდში რა რჩევები უნდა გავითვალისწინოთ?**

— ამ პერიოდში სასურველია, ზედმეტ და დამღლელ სამუშაოს თავი ავარიდოთ. ჩვენი დრო და საქმიანობა ისე გადავანაწილოთ, რომ დასვენებისთვისაც დრო დავიტოვოთ და არც საქმეს ვავნოთ. გარდა ამისა, **რეტროგრადული მოძრაობისას პლანეტა მარსი გვაიძულებს, თავიდან ისევ გადავხედოთ ჩვენს დამოკიდებულებებს, სხვადასხვა ფაქტების, წამოწყების, სადავო საკითხის, პროექტის მიმართ.** აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში მოქმედების სურვილი და შესაძლებლობანი იმდენად სუსტდება, რომ აუცილებელია ამა თუ იმ წამოწყების შეჩერება, რათა სავალალო შეცდომა არ იქნეს დაშვებული. ამავდროულად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **ზოგიერთ ადამიანს ამ დროს უძლიერდება საპირისპირო ნეგატიური ემოცია, წყენა, ბოღმა და უჩნდება სამაგიეროს გადახდის, შურისძიების სურვილი.** ამ დროს ასევე იმატებს ახლობლებთან კონფლიქტის წარმოქმნის რისკი. ადამიანები ადვილად გაღიზიანებადნი, ფიცხნი ხდებიან, ძველ წყენას იხსენებენ. არ არის გამორიცხული საოჯახო კონფლიქტები, მეუღლესთან ან საქმიან პარტნიორთან ურთიერთობების გარკვევა. შესაბამისად, **ამგვარ პერიოდში მნიშვნელოვანია ინტერესთა ბალანსის შენარჩუნება. იმ ადამიანთა შეხედულებების გათვალისწინება, ვისთანაც თანაცხოვრება ან თანამშრომლობა გვიწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, კავშირი სამუდამოდ გაწყდეს. რეტროგრადული მარსის პერიოდში ასევე ყველამ თავი უნდა დავიცვათ ნეგატივისაგან.** პროვოკაციებს ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. გარდა ამისა, **უკუსვლით მავალი მარსი** ხშირად მერყეობას, თავდაჯერებულობის შესუსტებას, ემოციურ სიცარიელესაც იწვევს. ბევრ ჩვენგანს, შესაძლოა, გაუჩნდეს შიშები, ეჭვი. პირადი ურთიერთობები ეჭვქვეშ მოაქციოს, ძველი მეგობრების და ნაცნობების წრეში თავი არაკომფორტულად იგრძნოს. ამ პერიოდში, შესაძლოა, არაერთ საიდუმლოს ფარდა აეხადოს და ფარული საქმიანობა თუ ინტრიგა გამოაშკარავდეს. ნიშანდობლივია ისიც, რომ **რეტროგრადული მარსი ნებისმიერ ბიზნესპროცესზე უარყოფითად მოქმედებს, ამუხრუჭებს და ანელებს მათ.** ასევე ხელს უშლის შეჯიბრებებს, მათ შორის, სპორტულ ღონისძიებებს. გარდა ამისა, საგრძნობლად იმატებს ავარიების, ხანძრის, კატასტროფების რიცხვი. კონფლიქტური სიტუაცია და დაპირისპირება, შესაძლოა, ადვილად გადაიზარდოს ჩხუბსა და უსიამოვნებებში, რაც შეიძლება სავალალოდაც დასრულდეს. ამასთან ერთად, **დაძაბული გარემო ჯანმრთელობაზეც უარყოფითად მოქმედებს, ქრონიკულ დაავადებას ამწვავებს, იმუნიტეტსა და ორგანიზმის ამტანობას აქვეითებს. ხშირდება ანთებითი პროცესების წარმოქმნა. ნიშანდობლივია, რომ რეტროგრადული მარსის პერიოდში არ არის რეკომენდებული ქირურგიული ოპერაციების ჩატარება.** ცხადია, ეს არ ეხება სასწრაფო ან გადაუდებელ ოპერაციებს. მოგეხსენებათ, რომ **პლანეტა მარსი** ასევე განაგებს ტექნიკურ მოწყობილობებს, დანადგარებს, ავტომობილებს, ღუმლებს, იარაღს და ა.შ. ამიტომ **მარსის რეტროგრადული ფაზის დროს თავი უნდა შევიკავოთ მათი შეძენისგან, რადგან აღნიშნული ნივთები შეიძლება მალე გამოვიდეს მწყობრიდან.**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***



## 13-19 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
მოერიდეთ რისკსა და საეჭვო ადამიანებთან ურთიერთობას. რეალურად შეაფასეთ მოვლენები და გარემოებები, რათა ადვილად გააკეთოთ არჩევანი. გაგიადვილდებათ როგორც პროფესიული ცოდნის გაღრმავება, ისე უცხო ენების შესწავლაც. უცხოელებისგან კი შესაძლოა, საჩუქრები მიიღოთ. პირად ურთიერთობებში პრეტენზიები ჯობს, დროულად განაცხადოთ. ერიდეთ ხალხის თავშეყრის ადგილებსა და მოგზაურობებს, რათა არ დაშავდეთ ან ავად არ გახდეთ.

**კურო** (21.04-20.05)
თავს მეტად ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ახალი საქმის დაწყებას გარკვეული გარემოებები შეუშლის ხელს. საქმეში პრობლემების გამოსასწორებლად რადიკალურ ცვლილებებს ერიდეთ. გაიზრდება კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა. მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ. ახლობლებისგან მიღებული საჩუქრები გაგახარებთ და შემდგომი საქმიანობის სტიმულს მოგცემთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი ყველა პრობლემას დაგავიწყებთ და რომანტიკულ განწყობას დაგიბრუნებთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ამ პერიოდში გადადებული ნებისმიერი საქმე შემდგომ დიდ პრობლემებს შეგიქმნით. თანამოაზრეების გარეშე ნუ დაიწყებთ რადიკალურ ცვლილებებს ნურც საქმეებში და ნურც პირად ცხოვრებაში. ეცადეთ, არ გააფუჭოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, მითუმეტეს, თუ ის თქვენი მეუღლეა, რადგან უთანხმოება დიდხანს გასტანს. ჯანმრთელობის მყარი მდგომარეობის მიუხედავად, კარგი იქნება დიეტის დაწყება ან გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ახალი ცხოვრებისეული მიზნების არჩევისას ნუ დაივიწყებთ სხვათა ინტერესებსა და სურვილებს. ნუ გააკრიტიკებთ გარშემო მყოფებს და ნურავის გაუმხელთ საკუთარ გეგმებს. უცნაურ სიტუაციებში მოხვედრისას აკონტროლეთ ემოციები და უყაირათოდ არ ხარჯოთ ფული. შვილებთან, საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან ურთიერთობა მეტად მეგობრული და სასიამოვნო გახდება. მიუხედავად ენერგიის უკმარისობისა, შორეული მოგზაურობა დადებითად აისახება თქვენს განწყობაზე.

**ლომი** (23.07-23.08)
რთული დროა, რომლის მიმდინარეობისას შეიძლება, მიიზიდოთ ექსტრემალური და სარისკო სიტუაციები. სხვის ფულს საქმისთვის ნუ გამოიყენებთ და ეცადეთ, თავი აარიდოთ კრედიტების აღებას. უცხოელებთან დაკავშირებით მოსალოდნელია პრობლემები. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა მჭიდრო და სანდო გახდება, რაც შეგმატებთ ქმედითუნარიანობასა და თავდაჯერებულობას. მოგზაურობები დამატებით სირთულეებსა და საზრუნავს გაგიჩენთ. კარგი დროა მკურნალობის დაწყებისა და ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის.

**ქალწული** (24.08-23.09)
ენერგიისა და განწყობის გაუმჯობესების მიუხედავად, სიფრთხილე გმართებთ მოქმედებისას, რათა არ დაშავდეთ, განსაკუთრებით შორეული მოგზაურობებისას. შესაძლოა, მოგიწიოთ ქონებასთან, ბინასთან ან მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა. დრო დაუთმეთ წარსულის ანალიზს, რათა გაერკვეთ, თუ რაზე უნდა თქვათ უარი. ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებამდე დაასრულეთ ძველი, რათა გულნატკენი არავინ დარჩეს და არ გიმტრონ.

## 13-19 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული საქმეები ნერვულ სტრესსა და დაღლაში პოვებს გამოხატულებას. შემოქმედებითი საქმიანობა შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს. უცხოეთიდან მიღებული ინფორმაცია კარგად გააანალიზეთ, რათა არ დაუშვათ შეცდომები. ეცადეთ, დამატებითი ცოდნა და გამოცდილება შეიძინოთ ნაცნობებისგან და გამოიყენოთ იგი პრაქტიკაში. ზედმეტად ნუ იაქტიურებთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების მოსაზიდად.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, ეცადეთ, მიაღწიოთ მიზანს. გარშემო მყოფები დაგეხმარებიან პროფესიულ და თანამდებობრივ ზრდაში, თუმცა, ყველასთან ურთიერთობა მარტივი არ იქნება, რადგან შესაძლოა, მოგატყუონ როგორც საქმეში, ასევე პირად ურთიერთობებში. ნუ დაარღვევთ კანონს და მოერიდეთ რისკს. უცნობ ადგილებში შორეული მოგზაურობა ჯობს, დროებით გადადოთ. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობამ კი შეიძლება ცვლილებები განიცადოს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
არ აჩქარდეთ გადაწყვეტილებების მიღებისას. განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ საქმიან კონტრაქტებსა და საბუთებს. ნუ დახარჯავთ ზედმეტ ენერგიას და გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. ცხოვრებისეული ცვლილებები გაიძულებთ, ეძიოთ მომავალი საქმიანობის ახალი გზები და ინტერესები. პარტნიორულ და სასიყვარულო ურთიერთობებს ადვილად დაარეგულირებთ ოჯახში გულახდილი საუბრების მეშვეობით. მოგზაურობები კი ჯობს, გადადოთ.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მატერიალური მდგომარეობა დამოკიდებული იქნება კონკრეტულ მიზნებსა და თქვენ მიერ გაწეულ სამუშაოზე. მოერიდეთ თქვენთვის უცნობ სფეროში მუშაობას. მოთმინებითა და შრომით ადვილად დაძლევთ ბარიერებს. ეს კარგი დროა ახალი კავშირებისა და მოკლე გადაადგილებებისთვის. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტს. განცდა და ნერვიულობა ცუდად აისახება თქვენს განწყობაზე. აუცილებლობის გარეშე მოერიდეთ შორეულ მოგზაურობას.

**მერწყული** (20.01-18.02)
თავს იჩენს დაღლილობა და უხასიათობა, ამიტომ იდეების ხორცშესხმა ჯობს, მოგვიანებით დაიწყოთ, როცა თქვენი ფსიქოემოციური და ფინანსური მდგომარეობა მეტად მყარი იქნება. ოჯახურ ურთიერთობებში დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად მეტი დრო დაჭყავით სახლში და არ დაიზაროთ მეუღლესთან ან ბავშვებთან გულღია საუბარი. დაუოჯახებელმა კი ყურადღება მიაქციოს თანამშრომლებს. აქ შესაძლოა, ახალ რომანს ჩაეყაროს საფუძველი.

**თევზები** (19.02-20.03)
დაუგეგმავი საქმეები და კონტაქტები თქვენს ცხოვრებას ქაოტურს გახდის. მიუხედავად ამისა, ახალი შემოქმედებითი იდეები და წინადადებები სიურპრიზებსა და სიხარულს გპირდებათ. საქმეებში წარმატებისთვის ყური უგდეთ საკუთარ ინტუიციას, საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებს, რათა მათი დახმარებით სიტუაციიდან გამოსვლის უმარტივესი გზა იპოვოთ. ჰარმონიული ფსიქოსომატური მდგომარეობა ხელს შეუწყობს მყარ სასიყვარულო ურთიერთობას.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**13, 15 და 18 იანვარი**

**14 იანვარი - სავსემთვარეობა**
**29 იანვარი - ახალმთვარეობა**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 13 იანვარი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.53 სათთზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 16.06 საათზე, ჩადის 14 იანვარს 07.22 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.17 საათზე. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს დაწყებულ საქმეს კარგი დასასრული ექნება. შედეგიანი იქნება ხერხემლის, ძვლოვანი სისტემის, სახსრების მკურნალობა. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, სხვათა რჩევების გასათვალისწინებლად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, შემოქმედებითობის გასავლენად, ბავშვის ჩასახვისთვის, ხელოვნების ნიმუშების, ხალხური რეწვის ნივთებისა და ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, აქსესუარების, ავეჯის, სასამართლო პროცესებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ბინის შეცვლა, სესხის აღება, ქორწინება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ამიტომ ხელმოწერამდე საბუთები გულდასმით შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 14 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.54 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.00) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 17.18 საათზე, ჩადის 15 იანვარს 08.06 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 17.45 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.17 საათიდან 13.13 საათამდე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 02.28 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** მძიმე ენერგიების დღეა. იმატებს აგრესიადეპრესიის, ცდუნებების, შეცდომების, კონფლიქტების, ავარიების, ტრავმების, სულსწრაფობის, ტყუილების გავრცელების და სხვა ნეგატიური მოვლენების ალბათობა. მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, ახალი საქმის დაწყებას, უჰაერო სივრცეებს, ქორწინებას, ბინის შეცვლას, სესხის აღებას, ფინანსურ გარიგებას, ხელშეკრულების დადებას, ნერვიულობასა და სიმძიმეების აწევას. კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხალხური შემოქმედებისთვის. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა. გულს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა, მთის ბროლი, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 15 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.26 საათზე, ჩადის 16.56 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 18.29 საათზე, ჩადის 16 იანვარს 08.40 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 19.30 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სულსწრაფობა დაიოკეთ, ნუ იჩქარებთ, ყველაფერი გადაამოწმეთ, აზრები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ქორწინება, პრეტენზიების გამოხატვა, ხელმძღვანელობის კრიტიკა, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, სიმძიმეების აწევა, ორთქლისა და ცხელი აბაზანების მიღება, ნერვიულობა. გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, გავლენიან პირთან ურთიერთობისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, თმის შეჭრა-მოვლისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 16 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 16.57 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.37) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 19.37 საათზე, ჩადის 17 იანვარს 09.07 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 20.38 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 08.11 საათიდან 20.47 საათამდე. **ტენდენციები:** იმატებს სიამოვნების მიღების, აღიარების, ყურადღების ცენტრში ყოფნის, არტისტულობის გამოვლენის მოთხოვნილება. კარგი დღეა ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, საბავშვო ზეიმებისთვის, კოსმეტიკური პროცედურებისთვის. არ არის სასურველი ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, ქორწინება, ბინის შეცვლა, ზედმეტი კრიტიკულობა და პრეტენზიულობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა და ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ბრილიანტი, ქარვა, სერდოლიკი, ყვითელი და მწვანე იასპი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 17 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.25 საათზე, ჩადის 16.58 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 20.43 საათზე, ჩადის 18 იანვარს 09.30 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 20.59 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** მოთმინება გამოავლინეთ. მოერიდეთ ნეგატიურ ემოციებსა და კონფლიქტს. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, სწავლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, ცხოველებთან კონტაქტისთვის, დიეტის დასაწყებად. სასიკეთოა ქორწინება, გარისკვა, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდის ჩაბარება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, ონიქსი, ოპალი, აქატი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 18 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.24 საათზე, ჩადის 16.59 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 21.45 საათზე, ჩადის 19 იანვარს 09.50 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 23.16 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ჯანმრთელობის საკითხებს მეტი დრო დაუთმეთ. შედეგიანი იქნება ლიმფური სისტემის, მხედველობის, ტერფების მკურნალობა. მოერიდეთ ზედმეტ პირდაპირობასა და მეწვრილმანეობას. კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, აუდიტისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საბანკო-საფინანსო ოპერაციებისთვის, საბუთის გასაფორმებლად, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, გასაუბრებისთვის, ცხოველებთან ურთიერთობისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის, დიეტის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 19 იანვარი , კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 07.24 საათზე, ჩადის 17.00 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.34) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 22.45 საათზე, ჩადის 20 იანვარს 09.55 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.52 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.02 საათიდან 07.34 საათამდე. **ტენდენციები: ნათლისღებას გილოცავთ!** სასიკეთო დღეა ლოცვისთვის, მედიტაციისთვის. დღეს და ხვალ სახლში მეტი დრო გაატარეთ და საოჯახო საქმეები გადაწყვიტეთ. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, შემოქმედებისთვის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის, აქსესუარების, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შარდსასქესო სისტემის სამკურნალოდ. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის, მარილიანი საკვებისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება, ცეცხლთან და მჭრელ საგნებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.



✝ **13 იანვარი. ორშაბათი. წარგზავნა ქრისტეშობის დღესასწაულისა;** ღირსისა საბიანასი, სამცხის დედათა მონასტრის წინამძღვრისა; ღირსისა მელანია რომაელისა.

✝ **14 იანვარი. სამშაბათი. წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი. ხსენება ბასილი დიდისა, კესარია-კაპადოკიის მთავარეპისკოპოსისა;** წმიდისა ემელიასი, ბასილი დიდის დედისა; გრიგოლ უფროსისა, ნაზიანზელი ეპისკოპოსისა, წმიდა გრიგოლ ღმრთისმეტყველის მამისა; ღირსისა თეოდოსისა, ტრიგლიელი იღუმენისა; მოწამისა პეტრე ტრიპოლისელისა. წმიდა პეტრე აღმსარებლისა.

✝ **15 იანვარი. ოთხშაბათი.** სილიბისტრო რომის პაპისა; მღვდელმოწამე თეაგენოსისა, ჰელესპონტოს პაროსის ეპისკოპოსისა; ღირსისა სერაფიმე საროველისა; მოწამისა გიორგი გურჯისა, კუნძულ ლესბოსზე ვნებულისა; მოწამისა ბასილი ანკვირელისა, რომელი იწამა კესარიას. ღირსისა დედისა თეოდოტესი, წმიდათა უვერცხლოთა კოზმა და დამიანე აზიელთა დედისა; მღვდელმოწამისა ისიდორესი, ანტიოქიის ასურეთიდან; ღირსისა მარკოზ ყრუისა; კოზმა I-ისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა, სასწაულმოქმედისა; მართლისა სერიოლოს ვალიელისა.



**19 იანვარი – ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი**

✝ **16 იანვარი. ხუთშაბათი. წმიდისა ექვთიმე ღმრთისკაცისა;** იოანესი, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსთა: ევაგრესი, შიო მღვიმელის მოწაფისა და ელია დიაკონისა, იოანე ზედაზნელის მოწაფისა; წინასწარმეტყველისა მალაქიასი.

**17 იანვარი. პარასკევი.** შიომღვიმეში მოღვაწეთა: ევაგრესი, ილია დიაკონისა და სხვათა; კრება სამეოცდაათთა მოციქულთა; ღირსისა თეოქტისტესი, სიკელიის კუკუმოს იღუმენისა, სასწაულთმოქმედისა; ღირსმოწამეთა ზოსიმე მონაზონისა და მოწამისა ათანასე კომენტარისა.

✝ **18 იანვარი. შაბათი.** მღვდელმოწამეთა თეოპემპტისა, ნიკომიდიელი ეპისკოპოსისა და მოწამისა თეონასი; ღირსისა სვინკლიტიკია ალექსანდრიელისა; წინასწარმეტყველისა მიქეასი; ღირსისა ფოსტირი მეუდაბნოისა; ღირსისა გრიგოლ აკრიტელისა; მოწამისა რომანოზისა.

✝ **19 იანვარი. კვირა. ნათლისღება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.**




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.



ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. ქინაქინა; 8. ქარავანი; 12. ფიურერი; 13. სენატორი; 14. ლიტურგია; 15. შანდალი; 16. ჩინეჩიტა; 20. კანონიკი; 22. ბასილი; 25. დეკემბერი; 26. მარადია; 30. ნახშირი; 31. დინამიტი; 35. მაგნიტი; 36. ვეჯინი; 39. კლავიატურა; 40. ბიკინი; 43. იარანგი; 44. სემინარია; 49. ძედუნი; 50. ზავინული; 53. როსინანტი; 54. ატიპია; 58. მაზანდა; 60. არაბული; 62. პაროდია; 63. სი; 64. რისკი; 65. ირიბი; 66. კლიპი; 67. ადიგენი.**

შვეულად: **2. იმედი; 3. ალაგე; 4. იპონი; 5. აფიშა; 6. რუანდა; 7. მეტალი; 8. ქილიკი; 9. როტონდა; 10. ვერანდა; 11. იმამი; 16. ჩადი; 17. ნაკლი; 18. ჩამჩა; 19. ტრეკი; 21. კიი; 22. ბინი; 23. სახრე; 24. ლეილი; 26. მიმი; 27. რაგბი; 28. დაისი; 29. ანისი; 31. დოლჩე; 32. ნავსი; 33. მჭადა; 34. ტიული; 36. ვაი; 37. ჯართი; 38. ნანდუ; 40. ბიძია; 41. კადრი; 42. ნანტი; 44. სარდალი; 45. მასკანი; 46. ნონიუსი; 47. რენდი; 48. აზიმუტი; 51. ვეზირი; 52. ნუნისი; 55. ტორსი; 56. პადრე; 57. ალალი; 59. აპია; 61. ლი.**

**სანტიმეტრიკაბარელიმონაკოდალაქიმინორისიონი**
**ბრასისინიორაგულივერიკობალტიმორიელინებიერა**

| მეტრის მეასედი | ფილმი მინელის მონაწილეობით | „თეთრ ბაირაღებში“ ქურდი დედარიანი | ხეკაკუნა ფრინველი | რისამე წაწვეტებული ნაწილი | მსახიობი ჩაკ... | ქალაქი რაჭაში |
|---|---|---|---|---|---|---|

| ფერმწერი რაფაელ ... | დაბადების მოწმობა | მოცულობის საზომი აშშ-ში | ქალაქი საფრანგეთში | ფიგაროს პროფესია (ლიტ.) | ნაღვლიანი განწყობილება | ტაძარი თბილისში |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ციებ-ცხელების სამკურნალო თეთრი ფხვნილი; 8. აქლემების მწკრივი; 12. ასე უწოდებდნენ ჰიტლერს, რაც გერმანულ ენაზე მთავარს ნიშნავს; 13. სენატის წევრი; 14. ჟამისწირვა; 15. დიდი სასანთლე; 16. იტალიური კინოსტუდია ე.წ. კინოს ქალაქი; 20. საკათედრო ტაძრის მღვდელი კათოლიკურ ეკლესიაში; 22. ბიზანტიის იმპერატორი, მაკედონელთა დინასტიის დამაარსებელი; 25. ზამთრის თვე; 26. სესილია თაყაიშვილის როლი ფილმში „ნატვრის ხე“; 30. საწვავი მასალა; 31. ასაფეთქებელი ნივთიერება; 35. ანდამატი; 36. სოფელი გურჯაანის რაიონში; 39. პიანინოს კლავიშთა ერთობლიობა; 40. ქალის საბანაო სამოსი; 43. ჩუქჩების საცხოვრებელი ქოხი; 44. სასულიერო სასწავლებელი; 49. ჩინელი ბელადი მაო ...; 50. მუსიკოსი (ჯაზი) ჯო ...; 53. დონ კიხოტის ცხენი; 54. არატიპურობა; 58. რისამე ფასი კერძო ბაზარში; 60. ქართველი პოეტი; 62. სატირული ხასიათის მიბაძვა; 63. მე-7 ნოტი; 64. ალალბედზე მოქმედება; 65. დამრეცი, ალმაცერი; 66. ვიდეორგოლი; 67. რაიონი მესხეთში.

შვეულად: 2. ერთ-ერთი ქართული ტელევიზია; 3. ღობეზე გადასაბიჯი ადგილი; 4. სუფთა გამარჯვება ძიუდოში; 5. კედელზე გაკრული რაიმე ღონისძიების მაუწყებელი; 6. აფრიკის სახელმწიფო; 7. ლითონი; 8. ოხუნჯი, ხუმარა; 9. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 10. სახლს მიშენებული ღია აივანი; 11. საიმამოს მეთაური; 16. აფრიკის ქვეყანა; 17. ვისიმე, რისამე ცუდი თვისება; 18. წვნიანის დასასხმელი დიდი კოვზი; 19. სპორტული ნაგებობა მოტოსპორტში შეჯიბრებისათვის; 21. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 22. ინგლისელი კომიკოსი; 23. საქონლის გასარეკი ჯოხი; 24. მაჯნუნის სატრფო; 26. პანტომიმის მსახიობი; 27. სპორტის სახეობა; 28. ფალიაშვილის ოპერა; 29. ქალაქი თურქეთში; 31. დიზაინერები ... და გაბანა; 32. თარსი; 33. სოკოს სახეობა; 34. თხელი გამჭვირვალე ქსოვილი; 36. ა. გრიბოედოვი — „... ჭკუისაგან“; 37. ძველი, უსარგებლო ლითონი; 38. სამხრეთამერიკული სირაქლემა; 40. ჰ. ბიჩერ სტოუ — „...თომას ქოხი“. 41. ფილმის ცალკე სცენა; 42. ქალაქი საფრანგეთში; 44. ჯარების უფროსი; 45. იტალიელი კომპოზიტორი; 46. ასტრონომიული ხელსაწყოს სკალა; 47. სამხრეთ აფრიკის ფული; 48. სვლის პირდაპირი მიმართულება დედამიწაზე; 51. მეფის მრჩეველი მინისტრი მუსლიმანურ ქვეყნებში; 52. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 55. ადამიანის სხეული; 56. მღვდელი კათოლიკეებში; 57. მტაცებელი ფრინველი; 59. დასავლეთ სამოას დედაქალაქი; 61. მსახიობი ბრიუს ... .

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 39-ე გვერდზე*

| სპორტული ცურვის სახეობა | ქალბატონი იტალიაში | ჯ. სვიფტის პერსონაჟი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ობობას მსგავსი შხამიანი ცხოველი | შორენას შვლის ნუკრი |
|---|---|---|---|---|---|

| კედლის სანათი | გველის ხმიანობა | თევზის სახეობა | ... ანჯაფარიძე | ქალაქი აშშ-ში | ძველი ბერძნები | ეპოქა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 13-19 იანვარი №3 (1574)
გამოდის ორშაბათობით

2009882637296

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

